საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში

2022

სარჩევი

შესავალი 5

საქმიანობის სტატისტიკური ანგარიში 6

- უწყებებთან წარმატებული კომუნიკაციის შედეგები 10
- სახალხო დამცველის რწმუნებულთა საქმიანობაში ხელშეშლა 13

სიცოცხლის უფლება 14

- ხანძარი N17 პენიტენციურ დაწესებულებაში 14
- შ.ა.-ს საქმე 16
- ნ.ქ.-ს საქმე 18
- შ.მ.-ს საქმე 19
- ე.წ. ხორავას საქმეზე მიმდინარე სამსახურებრივი შემოწმება 21
- შეწყალების საქმე 21

წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა 22

- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობა 22
- იაღლუჯის ბაზის სამხედროების საქმე 28
- ლუკა სირაძის საქმე 29
- ნინოწმინდის პანსიონის საქმე 31
- თემურ აბაზოვის ბრალდების საქმე 33
- ექსტრადიციის საქმეები 34
  - ი.ჯ.-ს საქმე 34
  - ი.ს.-ს საქმე 35
  - ნ. მ.-ს საქმე 36
- სამედიცინო მომსახურების პრობლემები პენიტენციურ სისტემაში 38
  - გ.მ.-ს საქმე 38
  - ტ.გ.-ს საქმე 39
  - ი.ვ.-ს საქმე 40
  - გ.შ.-ს საქმე 41
  - გაჭიანურებული რეფერალის შემთხვევები 41
- ფსიქიატრიული ექსპერტიზის გაჭიანურება 42

აქციები 43

- 5 ივლისის აქცია 43

20-21 ივნისის საქმე 44
აქციებზე ადმინისტრაციული წესით დაკავებულების მიმართ არასათანადო მოპყრობა 47
მიხეილ სააკაშვილის საქმე 49
სისტემური ხარვეზები პენიტენციურ სისტემაში 55
საშეღავათო მექანიზმები პენიტენციურ სისტემაში 56
გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა 57
არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებები 61
დისციპლინური სახდელების გავლენა 64
სოციალურ აქტივობებში ჩართულობის გავლენა გადაწყვეტილების მიღებისას 64
ადგილობრივი საბჭოების ადამიანური რესურსი 67
უარყოფითი გადაწყვეტილებების გასაჩივრების შემაფერხებელი გარემოებები 68
დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა პენიტენციურ დაწესებულებებში 69
რ.შ.-ს საქმე 70
გენერალური ინსპექციები 70
სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის უფლებამოსილებები და ამოცანები 71
შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფლებამოსილებები და ამოცანები 72
სახალხო დამცველის საქმიანობა გენერალური ინსპექციების საქმიანობის შემოწმების მიმართულებით 72
სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი კონკრეტული საქმეები და გამოვლენილი ხარვეზები 74
სახალხო დამცველის წინადადებების შეუსრულებლობა შსს გენერალური ინსპექციის მიერ 78
სამედიცინო ექსპერტიზის დაგვიანებით გაცემა 80
თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება 81
აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა და გასაჩივრების ხარვეზები 81
პასპორტის დაუსაბუთებლად ჩამორთმევა 82
საექსტრადიციო პატიმრობის ვადები 83
ყოფილი მსჯავრდებულების პოლიციაში დაბარების პრაქტიკა 84
ბრალდებულად ცნობამდე პირის იძულებით გადაყვანა და მოწმის სახით გამოკითხვა 84

ივანე მერაბიშვილის საქმე 85
ადმინისტრაციული დაკავებების პრაქტიკა 86
სამართლიანი სასამართლოს უფლება 86
ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას ბრალდება („კარტოგრაფების საქმე") 87
მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის საქმე 88
საქმის მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ განხილვის უფლება 89
ს.გ.-ის საქმე 93
ი.ფ.-ს და დ.ი.-ს საქმე 94
დავით კეზერაშვილის საქმე 94
ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე ჩატარებული ჩხრეკის კანონიერება 96
განაჩენის ხელმისაწვდომობის პრობლემა 97
ნორმის განჭვრეტადობის პრინციპი სსკ 375-ე მუხლთან მიმართებით 98
კანონიერების პრინციპის დარღვევა 99
არასრულწლოვანი მოწმის კანონიერი წარმომადგენლის დაკითხვა 100
დისტანციური სასამართლო პროცესების მიმდინარეობა 101
ადვოკატთან კომუნიკაციის შეზღუდვა პენიტენციურ დაწესებულებაში 101
საპროცესო შეთანხმების გაფორმების სხდომაზე მიცემული განმარტების გამოყენება 102
სასჯელის პროპორციულობა შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე 103
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება 104
სავარაუდოდ სუს-ის მიერ უკანონოდ მოპოვებული ფარული მასალების გავრცელება 104
ანა დოლიძის მიყურადების საქმე 106
ვ.კ.-ს საქმე 106
პატიმართა გარე სამყაროსთან კომუნიკაციის უფლების დარღვევა 107
მსჯავრდებულთა წერილობითი მიმოწერის უფლების დარღვევა 108
საკუთრების უფლება 109
მინისტრის მიერ სავარაუდო დანაშაულის ჩადენის ფაქტი 109
დაკავებული პირისთვის ტელეფონის უკანონო ჩამორთმევა 110
გამოძიების ფარგლებში საკუთრების უფლების არაგონივრული შეზღუდვა 110
ა.მ.-ს საქმე 110
ა.ბ-სა და შ.ბ.-ს საქმე 111

შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი უკვე მესამედ წარმოადგენს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საკითხებზე ფოკუსირებულ საქმიანობის ანგარიშს. წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის მიერ 2021 წელს (შემდეგში - „საანგარიშო წელი") შესრულებული საქმიანობის შედეგებს. დოკუმენტში გაანალიზებული იქნება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არსებული პრობლემები და ქვეყანაში არსებული გამოწვევები, რომელზეც სახალხო დამცველის აპარატი მუშაობდა წლის განმავლობაში.

გასული წლების მსგავსად, სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად აგრძელებდა პენიტენციური სისტემის პროაქტიულ მონიტორინგს და სისტემატიურად ახორციელებდა ვიზიტებს პენიტენციურ დაწესებულებებში შემოსული განცხადებების შესაბამისად. ასევე, გრძელდებოდა საგამოძიებო უწყებებისა და მართლმსაჯულების სექტორის მონიტორინგი. კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდებოდა კომუნიკაცია საქართველოს პარლამენტთან. სახალხო დამცველმა არაერთი წინადადებით, რეკომენდაციითა თუ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა შესაბამის სახელმწიფო უწყებას/სასამართლოს და არაერთი მოქალაქის (როგორც თავისუფლებაზე მყოფი, ისე პატიმრის) უფლებების დაცვის მიზნით გამოიყენა მანდატით გათვალისწინებული უფლებამოსილება.

საანგარიშო წელს სახალხო დამცველმა პირველად მიმართა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს მიკუთვნებულ საკითხზე უცხო ქვეყნის სასამართლოს, საქართველოს მოქალაქის უფლებების დაცვის მიზნით. ასევე, ითანამშრომლა არაერთ ომბუდსმენთან საზღვარგარეთ დაკავებულ საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებით.

2021 წლის მანძილზე სახალხო დამცველის აპარატმა ითანამშრომლა არაერთ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთანაც, და მათ შორის, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" ურთიერთთანამშრომლობით განახორციელა საპილოტე პროექტი პატიმართა უფლებების დაცვისთვის სტრატეგიული სამართალწარმოების მიზნით (პროექტი მხარდაჭერილი იყო EWMI/PROLOG-ის მიერ).

სახალხო დამცველის აპარატმა გააუმჯობესა პატიმართა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხისა და ადეკვატურობის მონიტორინგის მექანიზმებიც. ამ მიზნით 2021 წლის მარტიდან სახალხო დამცველის აპარატში დასაქმდა ექიმი, მედიცინის დოქტორი, რომელიც აქტიურადაა ჩართული პატიმართა სამედიცინო საკითხების შესწავლის პროცესში.

საანგარიშო წლის მანძილზე სახალხო დამცველის აპარატმა არსებითი ყურადღება დაუთმო საგამოძიებო უწყებების გენერალური ინსპექციების საქმიანობას,

განსაკუთრებით კი შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მუშაობას.

ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხად კვლავ რჩება პატიმართა პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პროცესთან დაკავშირებული საკითხები და შესაბამისად, სახალხო დამცველის საქმიანობის ფოკუსიდან ეს თემა კვლავ არ გამქრალა.

2021 წელს სახალხო დამცველის აპარატის ინტერესის საგანი გახდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის/გამოძიების ხარისხის შეფასება და წინამდებარე ანგარიშში დეტალურად იქნება წარმოდგენილი ამ სამსახურის დაახლოებით ორწლიანი მუშაობის შედეგები.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა იმუშავა არაერთ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც დევნის მიმდინარეობისა და სასამართლო განხილვის პროცესში დაფიქსირებული პრობლემები შეეხებოდა როგორც სისხლის სამართლის მატერიალური გარანტიების, ისე - საპროცესო გარანტიების უხეშ დარღვევებს.

ყურადღების ფოკუსში კვლავ დარჩა თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების რეალიზების პროცესში გამოვლენილი უფლებადარღვევის შემთხვევები.

პირადი ცხოვრების უფლების მხრივ 2021 წლის მთავარი გამოწვევა სავარაუდოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ უკანონოდ მოპოვებული მასალების გავრცელება იყო. გასული წლების ტენდენცია ასევე გაგრძელდა პენიტენციურ სისტემაში, პატიმართა პირადი ცხოვრების უფლების უსაფუძვლო შეზღუდვის სახით.

2021 წლის მანძილზე კვლავ იდგა გამოძიების პროცესში საკუთრების უფლების არაპროპორციული შეზღუდვის პრობლემა, გამოვლინდა პოლიციის მხრიდან მოქალაქეებისთვის პირადი ნივთების კანონსაწინააღმდეგო ჩამორთმევის შემთხვევები და რაც ყველაზე მეტად საყურადღებოა, დაფიქსირდა მოქმედი მინისტრის მიერ საკუთრების უფლებისა და ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის სავარაუდო შემთხვევა.

ანგარიშში დეტალურად იქნება განხილული საქართველოს მესამე პრეზიდენტის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიხეილ სააკაშვილის საქმე, რომელიც გამოირჩეოდა კომპლექსურობით და სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სხვადასხვა უფლების ჭრილში.

საქმიანობის სტატისტიკური ანგარიში

2021 წელს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტში განსახილველად შევიდა 2 781 განცხადება/ოქმი. აქედან 2 185 განცხადება/ოქმი შემოვიდა პატიმრებისგან ან პატიმართა უფლებების შესახებ სხვა პირებისგან. კერძოდ, N8 პენიტენციურ

დაწესებულებაში განთავსებული პატიმრების შესახებ - 549, N6 – 436, N2 – 339, N3 – 315, N18 – 176, N10 – 121, N5 – 74, N12 – 39, N14 – 33, N17- 27, N15 – 21, N16 – 15, N9 – 2, ასევე 4 მომართვა შემოვიდა რუსეთის ფედერაციის ციხეებში განთავსებულ პატიმრებთან დაკავშირებით, 1 - თურქეთის ციხეში განთავსებულ პატიმართან დაკავშირებით, ხოლო 33 - აკად. ბ.ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში განთავსებულ პაციენტებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება პატიმართა მომართვიანობას - ხსენებული 2 185 განცხადება/ოქმიდან 1 641 მომართვის ავტორი უშუალოდ პატიმარი იყო. ყველაზე მეტი მომართვა კვლავ დახურული დაწესებულებებიდან დაფიქსირდა, ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებიდან შემოსული განცხადებების რაოდენობა ისევ მცირეა. მომართვები ციხეების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: N8 – 408, N6 – 336, N2 – 253, N3 – 242, N18 – 145, N10 – 95, N5 – 60, N12 – 28, N14 – 24, N17 – 20, N15 – 18, N16 – 11, N9 – 1.

ყველაზე ხშირად პენიტენციური სისტემიდან შემოსული განცხადებები გასული წლების მსგავსად, ეხებოდა დაგვიანებულ ან უხარისხო სამედიცინო მომსახურებას, გარე სამყაროსთან კომუნიკაციის პრობლემებს, მათ შორის, მიმოწერის უფლების დარღვევას, სატელეფონო კომუნიკაციის უფლების დარღვევას, ასევე, ციხის არასათანადო პირობებს, პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლების უკანონო ქმედებებს და სხვა. მოქალაქეთა მომართვიანობა ისევ მიემართებოდა გაჭიანურებულ და არაეფექტიან გამოძიებებს. სამწუხაროდ, კვლავ ხშირი იყო პოლიციელთა მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფისა თუ სხვაგვარი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ საჩივრები.

2021 წელს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა დაკავებული/დაპატიმრებული პირების მონახულების მიზნით სულ განახორციელეს 404 ვიზიტი და მოინახულეს 1 493 დაკავებული/დაპატიმრებული პირი[1]. აქედან 364 ვიზიტი განხორციელდა პენიტენციურ დაწესებულებებში და მონახულებულ იქნა 1 395 პატიმარი. 17 ვიზიტი განხორციელდა აკად. ბ.ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში, სადაც შევხვდით 31 პაციენტს. 15 ვიზიტი განხორციელდა შსს დროებითი მოთავსების იზოლატორებში და ვინახულეთ 35 დაკავებული. ასევე, 2 ვიზიტი განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში, სადაც ვინახულეთ 21 დაკავებული პირი. დაკავებული მოქალაქეების მონახულების მიზნით განხორციელდა 1 ვიზიტი სასამართლოშიც, სადაც შევხვდით 6 დაკავებულს. დაპატიმრებულ პირებთან შეხვედრის მიზნით 5 ვიზიტი განხორციელდა სამკურნალო დაწესებულებებშიც და შევხვდით 5 პატიმარს.

2021 წელს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა მოამზადა სახალხო დამცველის 7 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება. მათგან 6 გაიგზავნა საერთო

[1] სტატისტიკაში მოცემულ პირთა ოდენობაში იგულისხმება შეხვედრების ჯამური რაოდენობა და მოიცავს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ერთ პატიმართან ხორციელდება რამდენიმე ვიზიტი.

სასამართლოებში, ხოლო ერთ შემთხვევაში სახალხო დამცველმა მინსკის (ბელარუსი) საქალაქო სასამართლოს მიმართა:

- 1 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ეხებოდა სასჯელის პროპორციულობის საკითხს;
- 2 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ეხებოდა კანონიერების პრინციპს;
- 1 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ეხებოდა ნეიტრალური მტკიცებულებების პრობლემას;
- 1 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ეხებოდა ადმინისტრაციულ სამართალში კანონიერი ნდობის პრინციპს;
- 1 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ეხებოდა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის უფლებებს, ჯვარედინი დაკითხვის უფლებას;
- 1 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ეხებოდა საქართველოს მოქალაქის ბელარუსიდან ლიბანში ექსტრადიციის დაუშვებლობას.

ასევე, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის ფარგლებში მომზადდა და გაიგზავნა 25 წინადადება და რეკომენდაცია. აქედან იუსტიციის მინისტრს გაეგზავნა 9 წინადადება/რეკომენდაცია:

- 4 წინადადება ეხებოდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ არაჯეროვნად ჩატარებულ სამსახურებრივ შემოწმებას;
- 1 წინადადება ეხებოდა პატიმრის უფლებას კონფიდენციალური წერილობითი კომუნიკაცია ჰქონოდა თავის ადვოკატთან;
- 1 წინადადება ეხებოდა პატიმრის სატელეფონო საუბრის უფლებით სარგებლობას;
- 1 წინადადება ეხებოდა პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეების გათვალისწინებით, მისი ჰაერზე ხანგრძლივი ყოფნის შესაძლებლობით უზრუნველყოფას;
- 1 წინადადება ეხებოდა პატიმრისთვის სათანადო სამედიცინო მომსახურების მიწოდებას;
- 1 რეკომენდაცია ეხებოდა მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე უარყოფითი გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცესში შეფერხების აღმოფხვრას.

8 წინადადება/რეკომენდაცია გაეგზავნა გენერალურ პროკურორს:

- 1 წინადადება ეხებოდა პენიტენციურ დაწესებულებებში სახალხო დამცველის რწმუნებულებზე ზემოქმედების განხორციელების ფაქტებს;
- 1 წინადადება ეხებოდა არაეფექტიანი გამოძიების ფაქტებს;
- 1 წინადადება ეხებოდა საქმის კვალიფიკაციისა და საგამოძიებო უწყების შეცვლისა და ეფექტიანი გამოძიების წარმოების აუცილებლობას;
- 1 წინადადება ეხებოდა აზერბაიჯანში მოქალაქის ექსტრადიციის დაუშვებლობის საკითხს;

- 2 წინადადება ეხებოდა კონკრეტულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკითხს;
- 1 წინადადება ეხებოდა მინისტრის ქმედებაზე გამოძიების დაწყების აუცილებლობას;
- 1 წინადადება ეხებოდა გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის მიერ არაჯეროვნად ჩატარებულ სამსახურებრივ შემოწმებას.

5 წინადადება/რეკომენდაცია გაეგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრს:

- 2 წინადადება ეხებოდა შსს გენერალური ინსპექციის მიერ არაჯეროვნად ჩატარებულ სამსახურებრივ შემოწმებას;
- 1 წინადადება ეხებოდა სამართალდარღვევის ოქმის სასამართლოში დაგვიანებით გადაგზავნის საკითხს;
- 1 წინადადება ეხებოდა ადმინისტრაციული წესით დაკავებული მოქალაქის ტელეფონის კანონის დარღვევით ამოღების საკითხს;
- 1 წინადადება ეხებოდა მიმდინარე გამოძიების ფარგლებში საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობას.

2 წინადადება გაეგზავნა საქართველოს პარლამენტს:

- 1 წინადადება საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების ან/და გაგრძელების საკითხებს;
- 1 წინადადება ეხებოდა არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის ჩანაცვლების შესაძლებლობას.

1 წინადადება გაეგზავნა სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს და ეხებოდა ერთ-ერთი სამოქალაქო კლინიკის მიერ პატიმრისთვის მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ხარისხს.

გაგზავნილი სასამართლო მეგობრის მოსაზრებების, წინადადებებისა და რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი 2021 წელს ამგვარი იყო:

7 სასამართლოს მეგობრის მოსაზრებიდან:

- გაზიარებულ იქნა 1
- ნაწილობრივ იქნა გაზიარებული 1
- საქმის განხილვა ჯერ არ დასრულებულა 2 საქმეზე
- ვერ შესრულდა (ობიექტური მოცემულობის შეცვლის გამო) 2
- არ იქნა გაზიარებული 1.

რაც შეეხება წინადადება/რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელს - გაგზავნილი 25 წინადადება/რეკომენდაციიდან:

- შესრულდა 7

- ნაწილობრივ შესრულდა 3
- ვერ შესრულდა (ობიექტური მოცემულობის ცვლილების გამო) 1
- მიმდინარეა/ჯერ პასუხი აპარატს არ მიუღია - 4
- არ შესრულდა 10.

შესრულებული წინადადება/რეკომენდაციებიდან: ერთი შეასრულა სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ; პროკურატურამ -3, იუსტიციის სამინისტრომ - 3. წინადადება/რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულდა 2 შემთხვევაში იუსტიციის სამინისტროს მიერ, ხოლო 1 შემთხვევაში პროკურატურის მიერ.

რაც შეეხება წინადადება/რეკომენდაციების შეუსრულებლობას: პროკურატურამ არ შეასრულა - 4 წინადადება, შსს-მ - 3, იუსტიციის სამინისტრომ - 2, პარლამენტმა კი - 1.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ ასევე შესწავლილ იქნა არაერთი სისხლის სამართლის საქმეც, რომლებზეც განსაკუთრებულად მაღალი ინტერესი იყო საზოგადოებაში, მათ შორის მაგალითად, ე.წ. კარტოგრაფების საქმე, გაგრძელდა წინა წლებში დაწყებული მონიტორინგი 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების საქმეზე, ივანე მერაბიშვილის ე.წ. საკნიდან გაყვანის საქმეზე და სხვა.

უწყებებთან წარმატებული კომუნიკაციის შედეგები

სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის შედეგები, ცხადია, არსებითად აღემატება მხოლოდ წინადადება/რეკომენდაცია/სასამართლოს მეგობრების მოსაზრებებით მიღწეულ შედეგებს. აპარატი ყოველდღიურად ახორციელებს წერილობით თუ ზეპირ კომუნიკაციას შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თუ უფლებამოსილ პირებთან, რასაც კონკრეტული შედეგები მოყვება მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების სასარგებლოდ. კონკრეტული უფლებების დაცვის შედეგების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება თემატურ თავებში დეტალურად, თუმცა, წინამდებარე თავში საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ კონკრეტულ მაგალითებს სხვა წარმატებული კომუნიკაციის შედეგების შესახებ.

მაგალითად, იყო შემთხვევა, როდესაც N3 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულები საკნის არადამაკმაყოფილებელ საყოფაცხოვრებო პირობებზე მიუთითებდნენ (კედლების სინესტე, ბათქაშის ჩამოცვენა, ონკანების პრობლემა). სპეციალურ პენიტენციურ სამსახურთან სახალხო დამცველის აპარატის კომუნიკაციის შედეგად, დაიგეგმა მითითებული საყოფაცხოვრებო გარემოს რეაბილიტაცია, შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩანაცვლება და მოდერნიზება.[2]

აღსანიშნავია N10 დაწესებულებიდან პატიმართა მომართვა, რომლებიც უსაფრთხოების მიზნით, ითხოვდნენ სხვა პატიმრებისგან განცალკევებით განთავსებას ისეთ საკანში, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა ვიდეომეთვალყურეობის სისტემით. სახალხო დამცველის

[2] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის 2021 წლის 19 ოქტომბრის №248641/01 წერილი.

აპარატის მიერ №10 პენიტენციურ დაწესებულებასთან წერილობითი კომუნიკაციის შედეგად, დასახელებული უსაფრთხოების პრობლემა აღმოიფხვრა.[3]

უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე განცალკევებით განთავსების თხოვნა სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას დააფიქსირა N8 დაწესებულებაში განთავსებულმა ტრანსგენდერმა ქალმაც. აპარატის მიერ დაწესებულებასთან კომუნიკაციის შედეგად, ბრალდებულს საკანი შეუცვალეს, განცალკევებით განათავსეს, სადაც უსაფრთხოებიდან გამომდინარე განხორციელდა 24-საათიანი ვიზუალურ-ელექტრონული მეთვალყურეობა.[4]

N6 დაწესებულებაში განთავსებული პატიმარი მიუთითებდა მისი განცხადების დაწესებულებიდან არგაგზავნის სავარაუდო პრობლემაზე. სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის საფუძველზე სამსახურებრივი შემოწმება სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტში ჩატარდა. შედეგად დადასტურდა მსჯავრდებულის ვარაუდი და დაწესებულების თანამშრომელს შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა.[5]

N2 დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებული კი ექიმისა და ექთნის მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვან შესრულებაზე აპელირებდა. აპარატის მიმართვის საფუძველზე სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით დადასტურდა პატიმრის უფლების დარღვევა.[6]

დაახლოებით ორი წელი უშედეგო მოლოდინის რეჟიმში იმყოფებოდა მსჯავრდებული, რომელიც ფეხის პროთეზის ნაწილის შეცვლას ითხოვდა. აპარატის ინტენსიური ჩართულობით პრობლემა მოგვარდა.[7] სახალხო დამცველის აპარატის ჩართულობის შემდეგ საჭირო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდა N2 დაწესებულებაში განთავსებულ სხვა მსჯავრდებულსაც. პატიმრის ჩართვა მოხდა C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში.[8] სპეციალურ პენიტენციურ სამსახურთან აპარატის კომუნიკაციის შედეგად ბრალდებულს ჩაუტარდა თერაპევტ-სტომატოლოგის და ორთოპედ-სტომატოლოგის

[3] N10 პენიტენციური დაწესებულების 2021 წლის 31 დეკემბრის № 320970/25 წერილი.
[4] N8 პენიტენციური დაწესებულების 2021 წლის 23 სექტემბრის № 224739/24 წერილი.
[5] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2022 წლის 24 იანვრის N19656/01 წერილი.
[6] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2022 წლის 2 თებერვლის №30405/01 წერილი.
[7] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2021 წლის 3 ივნისის №127736/01 წერილი და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2021 წლის 14 მაისის № 07/3958 წერილი. ასევე, პრობლემის აღმოფხვრის შესახებ აპარატს შეატყობინა მსჯავრდებულის დედამ.
[8] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2021 წლის 2 სექტემბრის №207775/01 და 2021 წლის 13 ოქტომბრის №243808/01 წერილები.

კონსულტაციები. შედეგად, დაიწყო ზედა ყბის პროთეზირების მიზნით, შესაბამისი მანიპულაციების ჩატარება.[9]

არაერთ სხვა პატიმარსაც, სახალხო დამცველის აპარატის აქტიური ჩართულობის შედეგად, სხვადასხვა რელევანტური სამედიცინო მომსახურება გაეწიათ. ზოგ შემთხვევაში ეს იყო ფიზიოთერაპიის კურსი, მუცლის ღრუსა და თირკმელების ექოსკოპია, ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია, სხვადასხვა ანალიზები და ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციები.[10] სხვა შემთხვევაში პატიმარს მიეწოდა ექიმის მიერ დანიშნული სათვალე, რომლის გადაცემის საკითხი დროში ჭიანურდებოდა[11] და ა.შ.

სახალხო დამცველის აპარატის ჩართულობით დაუბრუნდა მსჯავრდებულს მისი დაკავების დროს ჩამორთმეული პირადი ნივთები.[12]

იუსტიციის სამინისტროსთან კომუნიკაციის შედეგად მსჯავრდებული სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით, მისი სურვილის შესაბამისად, თურქეთის რესპუბლიკაში გადაიყვანეს.[13]

აპარატის ჩართულობით იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ საგამონაკლისო წესით ადვოკატი დაენიშნა გადახდისუუნარო ბრალდებულს.[14] სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის საფუძველზე, შესაბამისი სამართლებრივი კონსულტაციები და დახმარება გაეწიათ N5[15], N6[16] და N8[17] დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებსაც. აპარატის ჩართულობით, პატიმარის სურვილი დაკმაყოფილდა კონკრეტული მიზეზებზე დაყრდნობით ადვოკატის შეცვლასთან დაკავშირებით.[18]

სახალხო დამცველის აპარატის დახმარებით მსჯავრდებულს დაუბრუნდა გირაოს სახით შეტანილი თანხა, რომელიც 2007 წლის განჩენის თანახმად უნდა დაბრუნებოდა.[19] უსაფუძვლოდ ჩამორთმეული პასპორტები დაუბრუნდათ ისრაელის მოქალაქეებს პროკურატურასთან კომუნიკაციის შედეგად.[20]

---

[9] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2021 წლის 18 ოქტომბრის №247481/01 წერილი.
[10] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2021 წლის 5 ოქტომბრის №253971/01 წერილი.
[11] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 3 იანვრის №568/01 წერილი.
[12] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 14 იანვრის MIA 9 21 00084162 წერილი.
[13] N14 პენიტენციური დაწესებულების № 79204/01 წერილი.
[14] სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 2022 წლის 26 იანვრის LA 1 22 00001708 წერილი.
[15] სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 2021 წლის 14 დეკემბრის LA 5 21 00032817 წერილი.
[16] სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 2021 წლის 28 დეკემბრის LA 4 2 00034166 წერილი.
[17] სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 2021 წლის 2 დეკემბრის LA 2 21 00031446 წერილი.
[18] სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 2021 წლის 3 დეკემბრის LA 3 21 00031609 წერილი.
[19] კახეთის სააღსრულებო ბიუროს 2021 წლის 4 მარტის № 12546 წერილი.
[20] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 23 თებერვლის №13/10078 წერილი.

აპარატის ჩართულობით შშმ სტატუსის მქონე პირს გონივრული მისადაგების შესაბამის პირობებში გამოკითხვა შესთავაზა შინაგან საქმეთა სამინისტრომ.[21] ასევე აპარატის მიმართვის შემდეგ, მესაკუთრეს კუთვნილი ავტომანქანა დაუბრუნა საგამოძიებო უწყებამ.[22] ყადაღა მოეხსნა გამოძიების ფარგლებში მოქალაქის მფლობელობაში არსებულ საცხოვრებელ ფართს, რომელიც 2018 წლიდან იყო დაყადაღებული.[23] ერთ შემთხვევაში მოქალაქე მიუთითებდა, რომ გამოძიების მიმდინარეობის გამო, დაახლოებით ნახევარი წელი, არ ეძლეოდა თავის საცხოვრებელ სახლში შესვლის შესაძლებლობა. სახალხო დამცველის აპარატის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მიმართვის შემდეგ[24] პრობლემა აღმოიფხვრა.[25]

სახალხო დამცველის რწმუნებულთა საქმიანობაში ხელშეშლა

2020 წლის 31 ოქტომბრის საარჩევნო პერიოდის მსგავსად,[26] სამწუხაროდ, 2021 წლის დასაწყისში სახალხო დამცველის რწმუნებულებზე პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელდა მიზანმიმართული და სავარაუდოდ ორგანიზებული უკანონო ქმედებები, რომლის თაობაზე გენერალურ პროკურატურაში გამოძიება მიმდინარეობს.[27] საგანგაშოა, რომ სახალხო დამცველის რწმუნებულების მიმართ განხორციელებულმა უკანონო ქმედებებმა, რომელსაც ციხის ადმინისტრაციასა და პატიმრების მცირე ჯგუფს შორის კოორდინირებული ხასიათი გააჩნდა, უკიდურესად საფრთხის შემცველი სახე მიიღო.[28]

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების შესახებ აპარატმა არაერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა პროკურატურას, თუმცა ამ დრომდე სავარაუდო დანაშაულში მონაწილე კონკრეტული პირების ბრალეულობა გამოკვეთილი კვლავ არ არის.[29] დანაშაულებრივი ქმედებების ნაწილი ასახულია სახალხო დამცველის აპარატის მოთხოვნის საფუძველზე დაარქივებულ ვიდეომასალაში,[30] რის შესახებაც დამატებით ეცნობა საქართველოს გენერალურ პროკურორს.[31]

---

[21] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 28 იანვრის MIA 7 22 00231381 წერილი.
[22] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 1 დეკემბრის MIA 0 21 03155369 წერილი.
[23] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 22 დეკემბრის N35526 წერილი.
[24] სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 2 ივნისს №15-8/5249 წერილი.
[25] შედეგი დადგინდა მოქალაქესთან დამატებითი გასაუბრების გზით.
[26] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3AvVYXb > [ბოლოს ნანახია 26.01.2022].
[27] სისხლის სამართლის N010040221801 საქმის გამოძიება, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის დაწესებულებებში, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებზე, სამსახურებრივი საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზნით, შესაძლო ზემოქმედების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილით.
[28] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3HawzVy > [ბოლოს ნანახია 26.01.2022].
[29] საქართველოს პროკურატურის 2021 წლის 5 ოქტომბრის N13/60615 და 2021 წლის 1 დეკემბრის N13/72644 წერილები.
[30] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული მეთვალყურეობის სამმართველოს 2021 წლის 28 იანვრის N20221/01 წერილი.
[31] გამოძიება სახალხო დამცველის რწმუნებულებზე სამსახურებრივი საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზნით შესაძლო ზემოქმედების ფაქტზე მიმდინარეობს, სისხლის სამართლის კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

ვიდეომასალის გაცნობამ აჩვენა, რომ 2021 წლის 14 იანვარს N15 დაწესებულებაში სახალხო დამცველის რწმუნებულების შესვლამდე და შესვლის შემდეგაც, დაწესებულების ხელმძღვანელობას, კერძოდ, დირექტორის ერთ-ერთ მოადგილეს ზ.ა.-ს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა პატიმრების გარკვეულ ჯგუფთან, რის შემდეგაც აღნიშნული ჯგუფი დაუყოვნებლივ მიემართება სახალხო დამცველის რწმუნებულებთან, მათი საქმიანობისთვის ხელშეშლისა და მუქარის მიზნით, ხოლო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა შეფარვით აკვირდება მოვლენების განვითარებას და არ ერევა პროცესში.

ასევე, ვიდეოჩანაწერებით დგინდება, რომ რწმუნებულების დაწესებულებაში შესვლის თითქმის პარალელურ დროს, ადმინისტრაციის შენობიდან გამოდის ორი პატიმარი (შესაძლოა იმყოფებოდნენ დაწესებულების ხელმძღვანელობასთან შეხვედრაზე), რომლებიც ვიზუალურად აფიქსირებენ რწმუნებულებს და მიემართებიან პატიმრების კორპუსის მიმდებარე ეზოში. ვიდეოჩანაწერების დათვალიერებით თვალსაჩინო გახდა, რომ სახალხო დამცველის რწმუნებულების ვიზიტის დროს, დაწესებულების ხელძღვანელები აქტიურად გამოიყენებდნენ მობილურ ტელეფონებს - მიმოწერისა და საუბრის მიზნით, რაც შესაძლოა მათი მხრიდან სავარაუდო დანაშაულის ორგანიზებისთვის იყო განპირობებული და გამოძიება უნდა დაინტერესდეს შესაბამისი მონაცემების/ინფორმაციის მოპოვებითაც.

სიცოცხლის უფლება

სიცოცხლის უფლების ჭრილში სახალხო დამცველის აპარატმა, საანგარიშო პერიოდში, იმუშავა არაერთ საქმეზე, სადაც სამწუხაროდ სახეზე იყო არა მხოლოდ პროცედურული სახის პრობლემები, არამედ იკვეთებოდა სახელმწიფოს მხრიდან უფლების შესაძლო დარღვევის მატერიალური ასპექტი.

სახალხო დამცველის აპარატმა კვლავ არ შეწყვიტა იმ საქმეთა მონიტორინგიც, რაც გასული წლების ანგარიშებში ხვდებოდა და რაც სამწუხაროდ, კვლავ არსებითი შედეგების გარეშე მიმდინარეობს.

ხანძარი N17 პენიტენციურ დაწესებულებაში

2021 წლის 14 ოქტომბერს, N17 პენიტენციურ დაწესებულებაში გაჩენილი ხანძრის შედეგად, ორი მსჯავრდებული გარდაიცვალა. ფაქტზე გამოძიებას აწარმოებს სპეციალური საგამოძიებო სამსახური, რომლის ფარგლებშიც ჩატარებულია სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები.[32]

[32] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 29 ოქტომბრის SIS 7 21 00026809 და 2021 წლის 31 დეკემბრის SIS 9 21 00033687 წერილები.

მოცემული საქმის შესწავლის ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა ის გარემოება, არსებობს თუ არა პენიტენციურ დაწესებულებებში სახანძრო უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით შესაბამისი რეგულაციები/გაიდლაინები და ხორციელდება თუ არა პენიტენციურ დაწესებულებებში სახანძრო უსაფრთხოების დაცვის კონტროლი, რა პერიოდულობით და ვის მიერ.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის დაქვემდებარებაში არსებულ პენიტენციურ დაწესებულებებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების შემოწმება ტარდება „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს 2018 წლის 27 ივნისის კანონისა და „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №371 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მოთხოვნათა შესაბამისად.

დებულება აწესრიგებს სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების წესებსა და პირობებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს უფლებამოსილი თანამდებობის პირების მიერ სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებულ ობიექტებზე.

დებულების თანახმად, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებს მიეკუთვნება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების შენობა-ნაგებობები, რომლებიც შედის სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობას მიკუთვნებული ობიექტების ნუსხაში. აღნიშნული ობიექტების დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება ტარდება არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ, ხოლო საკონტროლო შემოწმება – არანაკლებ წელიწადში ერთხელ. ხოლო, ის ობიექტები, რომლებშიც ღამის საათებში იმყოფებიან ადამიანები ექვემდებარებიან მიზნობრივ (ოპერატიულ) შემოწმებებს ღამის საათებში არანაკლებ ნახევარ წელიწადში ერთხელ.

ასევე, დებულება დეტალურად აწესრიგებს ხსენებულ ობიექტებში შემოწმების ჩატარებისა და მიღებული შედეგების საფუძველზე რეაგირების განხორციელების წესს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა ბოლო წლების განმავლობაში არაერთხელ შეიცვალა დაქვემდებარება. სპეციალური პენიტენციური სამსახურის დაქვემდებარებაში არსებულ კონკრეტულ - №17 პენიტენციურ დაწესებულებაში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების შემოწმების ფორმით ზედამხედველობის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სამსახურში დაცულ მასალებში ვერ იქნა

მოძიებული.[33] ვერ იქნა მოძიებული, ბოლო წლებში, ვერც სხვა რომელიმე პენიტენციური დაწესებულების სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შესახებ ინფორმაცია (დოკუმენტაცია).[34] აღნიშნული კი შესაძლოა იმაზე მიუთითებდეს, რომ მსგავსი შემოწმება არც ჩატარებულა.

მოცემული საქმის შესწავლის ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურსაც.[35] სამწუხაროდ, აპარატს სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან, დღემდე არ მიუღია საბოლოო ინფორმაცია[36] იყო თუ არა N17 პენიტენციური დაწესებულება ან სხვა პენიტენციური დაწესებულებები კანონმდებლობის შესაბამისად შემოწმებული წარსულში.

თუმცა, პროცესის დადებით შედეგად ხაზგასმით უნდა გამოიყოს ის, რომ N17 დაწესებულებაში მომხდარი ხანძრის შემდეგ, 2021 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში პენიტენციური სამსახურის მიმართვის საფუძველზე, შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა შეამოწმა ყველა პენიტენციური დაწესებულება სახანძრო უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად. შემოწმების შედეგად გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა დაიწყო შესაბამისი ღონისძიებების გატარება - ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმის მომზადება/ განახლების სამუშაოები.[37]

შ.ა.-ს საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, მედიით გავრცელებული ინფორმაციის[38] - 2021 წლის 26 ივლისს N17 პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულებს შორის მომხდარი ჩხუბის შედეგად მსჯავრდებულ შ.ა.-ს გარდაცვალებისა და ორი მსჯავრდებულის დაჭრის ფაქტთან დაკავშირებით - საფუძველზე, საკუთარი ინიციატივით დაიწყო საკითხის შესწავლა[39].

შესწავლის ფარგლებში სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან გამოძიების მიმდინარეობის

---

[33] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2021 წლის 4 ნოემბრის N 15-3/10550 წერილი.

[34] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2022 წლის 23 მარტის MIA 8 22 00720398 წერილი.

[35] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 19 ოქტომბრის N 15-3/9909 და 2022 წლის 18 იანვრის N 15-3/605 წერილები.

[36] მიღებულია ე.წ. შუალედური პასუხები, კერძოდ, სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2022 წლის 31 იანვრის №27498/01 და №27919/01 წერილები.

[37] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2022 წლის 4 თებერვლის №32360/01 წერილი.

[38] იხ. <https://bit.ly/36RF76u>,
< https://mtavari.tv/news/52194-arsebuli-inpormatsiit-rustavis-tsikheshi >

[39] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ", მუხ.12.

შესახებ,[40] სპეციალურ პენიტენციურ დეპარტამენტში დათვალიერებულ იქნა 2021 წლის 20-26 ივლისის N17 პენიტენციური დაწესებულების შესაბამის ლოკაციებზე განთავსებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერები. ვიდეოჩანაწერების დათვალიერებით იკვეთება დაწესებულების ადმინისტრაციის შესაძლო დაგვიანებული რეაგირება. აქედან გამომდინარე, დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შესაბამისი კითხვები დაესვა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციების[41] თანახმად, გამოძიება მიმდინარეობს როგორც განზრახ მკვლელობის,[42] ასევე N17 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან სამსახურში დადგენილი წესის დარღვევის ფაქტზე, რამაც მსჯავრდებულის გარდაცვალება გამოიწვია,[43] და ასევე ი.ჩ.-სა და ბ.ჭ.-ს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების[44] ფაქტზე.

გამოძიების მიერ ჩატარებული არაერთი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების მიუხედავად, მათ შორის, გარდაცვლილის გვამზე დანიშნული სამედიცინო ექსპერტიზისა და კომპლექსური გენეტიკურ-ბიოლოგიური, მიკრონაწილაკური, დაქტილოსკოპიური, ტრასოლოგიური და სამედიცინო-კრიმინალისტიკური ექსპერტიზების დანიშვნისა, 2022 წლის 28 იანვრის[45] მდგომარეობით გამოძიებას მიღებული არ ჰქონდა მიკრონაწილაკური, ტრასოლოგიური და სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და დადგენილი და შეფასებული არ იყო კონკრეტული პირების, მათ შორის პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის გარემოებები, შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირების მიმართ დაწყებული არ არის.

პატიმრის გარდაცვალების ფაქტის მნიშვნელობის გათვალისწინებით, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს მისთვის პენიტენციურ დაწესებულებაში უსაფრთხოების საკმარისი გარანტიების არარსებობით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, საგამონაკლისო წესით, ნება დაერთო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის, გაცნობოდა სისხლის სამართლის საქმის მასალების გამოძიების მიმდინარეობის პარალელურად[46]. თუმცა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, მოცემულ ეტაპზე, ვერ შეძლო აღნიშნული მასალების წარმოდგენა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის, საქმეზე ინტენსიური საგამოძიებო

---

[40] 2021 წლის 3 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის N15-2/7572 წერილი, 2021 წლის 15 სექტემბრის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის N15-2/8880 წერილი, 2021 წლის 5 ნოემბრის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის N15-2/10576 წერილი.

[41] 2021 წლის 12 აგვისტოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის NSIS 2 21 00019730 წერილი, 2021 წლის 24 სექტემბრის სახელმწიფო ინსპექტორის NSIS 4 21 00023430 წერილი, 2021 წლის 15 ნოემბრის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის NSIS 1 21 00028531 წერილი.

[42] საქართველო სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ.108.

[43] იქვე, მუხ. 342[1], ნაწ.2.

[44] იქვე, მუხ.117, ნაწ.1.

[45] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 28 იანვრის SIS 0 22 00001952 წერილი.

[46] 2021 წლის 17 დეკემბრის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის N15-4/12060 წერილი.

მოქმედებების მიმდინარეობის გამო[47]. სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს საქმის მონიტორინგს.

ნ.ქ.-ს საქმე

სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს N3 პენიტენციურ დაწესებულებაში, მსჯავრდებულ ვ.ა.-ს მიერ მსჯავრდებულ ნ.ქ.-ს მკვლელობის მცდელობის საქმეს. 2021 წლის 4 მარტს, დილის საათებში, მარილით სავსე ბოთლისა და ბასრი იარაღის გამოყენებით, მსჯავრდებულმა ვ.ა.-მ მძინარე მდგომარეობაში მყოფ ნ.ქ.-ს მიაყენა მრავლობითი დაზიანებები თავის, კისრის, სახისა და ყურის არეში. ფიზიკური ძალადობა განხორციელდა ვიდეომეთვალყურეობის სისტემით აღჭურვილ საკანში და გრძელდებოდა 3 წუთის განმავლობაში.

სახალხო დამცველის წარმომადგენელი სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გაეცნო ვიდეო ჩანაწერებს, საიდანაც დგინდება, რომ ამ სამი წუთის განმავლობაში ხდება რამდენიმე საყურადღებო გარემოება: 1. მსჯავრდებულ ვ.ა.-ს მიერ მსჯავრდებულ ნ.ქ.-ს მიმართ ფიზიკური ძალადობის განხორციელების პროცესში დაწესებულების თანამშრომლები ორჯერ იხედებიან საკანში კარის პატარა სარკმლიდან (საკვებურიდან), როცა სავარაუდოდ უნდა დაენახათ სარკმლის წინ მიმდინარე ფიზიკური ძალადობის ფაქტი, თუმცა, საკანში შემოდიან მხოლოდ 47 წამის შემდეგ; 2. ამის შემდეგ საკანში შედის 3 თანამშრომელი, რომლებიც ხედავენ როგორ აგრძელებს პატიმარი მეორე პატიმრისთვის დაზიანებების მიყენებას. თანამშრომლები საკანში ყოვნდებიან 24 წამი, არ ცდილობენ ვ.ა.-ს შეჩერებას და გადიან საკნიდან; 3. საკანში დაწესებულების თანამშრომლები სამედიცინო პერსონალის თანხლებით ბრუნდებიან მხოლოდ 53 წამის შემდეგ.

გარდა ამისა, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით ერთ-ერთმა პატიმარმა სახალხო დამცველის აპარატს კონფიდენციალურად აცნობა, რომ დანაშაულებრივი ფაქტის განხორციელებამდე, მიაწოდა ინფორმაცია დაწესებულების ხელმძღვანელობას, რომ ნ.ქ. და ვ.ა. (ასევე, მათ საკანში განთავსებული მესამე პატიმარი) ცალ-ცალკე განეთავსებინათ. თუმცა აღნიშნული დაწესებულებამ არ გაიზიარა. პატიმრის განმარტებით, მისი ეს პოზიცია განპირობებული იყო N3 დაწესებულებაში ნ.ქ.-ს გადმოყვანისას შექმნილი კონფლიქტური სიტუაციით. კერძოდ, პატიმარი მიუთითებდა, რომ ნ.ქ.-ს მიმართ განხორციელდა სიტყვიერი შეურაცხყოფები და აგრესია, რაშიც ასევე მონაწილეობას იღებდა ვ.ა.

ხსენებულმა პატიმარმა განცხადებით მიმართა საგამოძიებო უწყებასაც და აცნობა, რომ მზად იყო საგამოძიებო ორგანოს მიაწოდოს ინფორმაცია თუ რამ განაპირობა სისხლიანი

[47] 2021 წლის 27 დეკემბრის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის NSIS 2 21 00033220 წერილი.

დაპირისპირება N3 დაწესებულებაში. თუმცა მსჯავრდებულს გამომძიებელი მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის[48] შემდეგ შეხვდა და გამოკითხა.[49]

მითითებულ ფაქტთან დაკავშირებით, იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში გამოძიება და მოგვიანებით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო, ვ.ა.-ს მიერ უმწეო მდგომარეობაში მყოფი მსჯავრდებულ ნ.ქ.-ს სავარაუდო განზრახ მკვლელობის მცდელობისა და N3 დაწესებულების ორი თანამშრომლის მიერ სამსახურში დადგენილი წესის სავარაუდოდ არაჯეროვნად შესრულების ფაქტზე, მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო.[50] დღეის მდგომარეობით, საქმეები[51] ქუთაისის საქალაქო სასამართლოში არსებითად განიხილება.

საგამოძიებო უწყების ამგვარი რეაგირების მიუხედავად, სახალხო დამცველის აპარატს დარჩა შეკითხვები პენიტენციური სისტემის სხვა თანამშრომლების და განსაკუთრებით თავად N3 პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელობისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების ქმედებებთან დაკავშირებით. უცნობი დარჩა, დაადგინა თუ არა გამოძიებამ რა პრევენციული ღონისძიებები იყო გატარებული დაწესებულების მხრიდან ვ. ა.-სა და ნ.ქ.-ს ერთად განთავსებამდე, შესწავლილი და გამორიცხული იყო თუ არა უსაფრთხოების რისკები, დანაშაულებრივი ფაქტის წინარე ურთიერთობის გარემოებები, შესწავლილი და შეფასებული იყო თუ არა დაწესებულების ხელმძღვანელების ქმედებები (ქმედებით ან შესაძლო უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის პრიზმაში) და სხვა.

შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატმა საგამონაკლისო წესით მოითხოვა გამოძიების მასალების გაცნობა,[52] რაზეც გენერალური პროკურატურის მიერ აპარატს უარი ეთქვა.[53]

შ.მ.-ს საქმე

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალურ პროკურორს მიმართა წინადადებით[54] სამოქალაქო სექტორის კლინიკაში ყოფილი პატიმრის გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე გამოძიებისთვის კვალიფიკაციის შეცვლის, საქმის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის გადაცემისა და ეფექტიანი გამოძიების ჩატარების თაობაზე. სახალხო დამცველის აპარატმა დაადგინა, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონოდა პენიტენციური სისტემის სამედიცინო პერსონალის მხრიდან სამოხელეო დანაშაულის ჩადენას, რასაც შედეგად პატიმრის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე შ.მ. დაკავებულ იქნა 2018 წლის 25 აგვისტოს და განთავსებული იყო N5 პენიტენციურ

---

[48] სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 22 ივნისის N15-15/5997 მიმართვის წერილი.
[49] იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2021 წლის 30 ივნისის N8737 წერილი.
[50] სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტითა და 342[1] მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ნიშნებით.
[51] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 30 დეკემბრის N17142-2 და 2022 წლის 12 იანვრის N236-1 წერილი.
[52] სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 11 მაისის N 15-15/4516 წერილი.
[53] გენერალური პროკურატურის 2021 წლის 18 მაისის №13/28390 წერილი.
[54] 2021 წლის 12 აპრილის საქართველოს სახალხო დამცველის N15-2/3379 წინადადება.

დაწესებულებაში. სასჯელის მოხდის პერიოდში აღენიშნებოდა ჯანმრთელობის პრობლემები, ხოლო 2019 წლის 26 ნოემბერს იგი გადაყვანილ იქნა სამოქალაქო სექტორის კლინიკაში, სადაც გარდაიცვალა 2020 წლის 17 იანვარს. შ.მ.-ს გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება დაიწყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი რაიონული სამმართველოს განყოფილებამ[55], სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ფაქტზე[56].

მსჯავრდებულის სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებმა ცხადყო, რომ პატიმრისთვის განსაზღვრული დაჩქარებული წესით (2-5 დღეში) ჩასატარებელი ოპერაციული მკურნალობა დაახლოებით 7 თვით დაგვიანდა. ამ პერიოდში მისთვის მიწოდებული სამედიცინო მომსახურება მხოლოდ შეტევების დროს სიმპტომურად ანალგეტიური და სპაზმოლიზური პრეპარატების გამოყენებით შემოიფარგლებოდა. დაავადების გამწვავების ეტაპზე კი, პროცესის რემისიის ფაზაში გადასაყვანად, არ მოხდა სპაზმოლიზური და ანტიბაქტერიული პრეპარატებით მკურნალობის კურსის ჩატარება, რაც დროულ ჰოსპიტალიზაციასთან ერთად, სავარაუდოდ მნიშვნელოვნად შეამცირებდა ოპერაციის შემდგომი გართულების რისკებს.

საქმის შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველმა წინადადებით[57] მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს და მოითხოვა საქმის კვალიფიკაციის შეცვლა, გამოძიების სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის დაქვემდებარება და გამოძიების ეფექტიანად ჩატარება, რათა პასუხი გაეცეს პენიტენციურ სისტემაში პატიმრისთვის მიწოდებული სამედიცინო მომსახურების დროულობასა და ადეკვატურობასთან, ოპერაციული მკურნალობის დაყოვნებასთან დაკავშირებულ კითხვებს. ამასთან, გამოძიების მიერ დასადგენი იყო, რამდენად მოახდინა გავლენა სასჯელის მოხდის პერიოდში პატიმრისთვის არასათანადო და დაგვიანებულმა მკურნალობამ მის გარდაცვალებაზე და რა იყო მკურნალობის ხარვეზების მიზეზი.

საქართველოს გენერალურმა პროკურორმა გაიზიარა საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება, შ.მ.-ს გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების კვალიფიკაცია შეიცვალა სამოხელეო დანაშაულის შესაბამისი მუხლით[58] და საქმე შემდგომი გამოძიების მიზნით გადაეცა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს[59].

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ გამოძიების ფარგლებში სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დანიშნულ სამედიცინო კომისიურ ექსპერტიზას დამატებით დაესვა შეკითხვები, თუ რამდენად დროული და სათანადო სამედიცინო დახმარება გაეწია და მკურნალობა/კვლევები ჩაუტარდა შ.მ.-ს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურსა და სამოქალაქო კლინიკაში.

[55] 2020 წლის 6 ივლისის საქართველოს გენერალური პროკურატურის N13/36825 წერილი.
[56] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 116, ნაწ. 1.
[57] საქართველოს სახალხო დამცველის N 15-2/3379 წინადადება.
[58] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 342. ნაწ. 2.
[59] 2021 წლის 30 აპრილის საქართველოს გენერალური პროკურატურის N13/26148 წერილი.

ექსპერტიზის დასკვნა გამოძიებას 2022 წლის 28 იანვრის მდგომარეობით მიღებული არ ჰქონდა[60].

პატიმრის გარდაცვალების ფაქტის მნიშვნელობის გათვალისწინებით, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს მისთვის პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის დროს მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და დროულობის პრობლემებს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, საგამონაკლისო წესით, ნება დაერთო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის, გაცნობოდა სისხლის სამართლის საქმის მასალების გამოძიების მიმდინარეობის პარალელურად[61]. თუმცა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, მოცემულ ეტაპზე, ვერ შეძლო აღნიშნული მასალების წარმოდგენა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის, საქმეზე ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობის გამო[62]. სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს საქმის მონიტორინგს.

ე.წ. ხორავას საქმეზე მიმდინარე სამსახურებრივი შემოწმება

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ წლებია სახალხო დამცველის აპარატი გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში მიმდინარე სამსახურებრივი შემოწმების შედეგების მოლოდინშია და სისტემატიურად ითხოვს ინფორმაციას მოკვლევის მიმდინარეობასთან დაკავშირებით.[63]

სამწუხაროდ, გენერალურ პროკურატურას არც 2021 წლის მანძილზე დაუყენებია შედეგები ამ პროცესში. უფრო მეტიც, გენერალური პროკურატურა არ განმარტავს მიზეზს, თუ რა უშლის ხელს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებას და სამართალდამცავების ქმედებების სამართლებრივ შეფასებას. პროკურატურა ოთხი წელია შემოიფარგლება იდენტური აბსტრაქტული და ფორმალური პასუხებით, რომ გენერალურ ინსპექციაში შემოწმება კვლავ მიმდინარეობს.[64]

შეწყალების საქმე

2019 წელს სახალხო დამცველმა სიცოცხლის უფლების დარღვევად შეაფასა საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის მიერ იმ მსჯავრდებულთა შეწყალება, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ განზრახი მკვლელობებისთვის და მსჯავრის მნიშვნელოვანი ნაწილის მოუხდელად დატოვეს პენიტენციური დაწესებულებები. ამ საკითხს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიშშიც დაეთმო ყურადღება.[65] თუმცა, სამწუხაროდ, შეწყალების

---

[60] 2022 წლის 28 იანვრის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის SIS 1 22 00001953 წერილი.

[61] 2021 წლის 17 დეკემბრის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის N15-4/12060 წერილი.

[62] 2021 წლის 27 დეკემბრის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის NSIS 2 21 00033220 წერილი.

[63] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 6 იანვრის N13/555 წერილი; ასევე, 2019 წლის 9 დეკემბრის N13/86091 და 2020 წლის 17 ივლისის №13/39978 წერილები.

[64] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 6 იანვრის №13/555, 2021 წლის 6 ოქტომბრის №13/60918 და 2022 წლის 11 იანვრის №13/771 წერილები.

[65]იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2019 და 2020 წლების საპარლამენტო ანგარიშები, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf> გვ. 44; <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf> გვ. 40.

საკითხებთან დაკავშირებით[66] 2019 წლის 20 სექტემბერს დაწყებული სისხლის სამართლის გამოძიება ისევ ხელშესახები შედეგის გარეშე მიმდინარეობს.[67]

იმ გარემოების ფონზე, რომ გენერალურმა პროკურატურამ არ მისცა სახალხო დამცველის აპარატს მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის გაცნობის საგამონაკლისო შესაძლებლობა[68], უცნობია თუ როგორ მიმდინარეობს გამოძიება, რამდენად ეფექტიანად, დროულად და ზედმიწევნით ტარდება შესაბამისი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები. საგამოძიებო უწყებამ აპარატს მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია მიაწოდა გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და ასევე, აცნობა, რომ გამოძიების ფარგლებში გამოიკითხა საქართველოს პრეზიდენტი.[69]

წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობა

გასული წლების მსგავსად, 2021 წელსაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობის საუკეთესო ხარისხით გამოირჩეოდა. ათეულობით სისხლის სამართლის საქმეზე აპარატი შეუფერხებლად და დეტალურად იღებდა ინფორმაციას მიმდინარე გამოძიებების შესახებ.

თავის მხრივ, სავარაუდო დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დროული ინფორმირების მიზნით, საქმიანობა კიდევ უფრო მეტად გააუმჯობესა სახალხო დამცველის აპარატმა. საანგარიშო წლის დასაწყისში ამ მიზნით სახალხო დამცველმა გამოსცა სპეციალური ბრძანება[70] და დაარეგულირა სახალხო დამცველის აპარატის მიერ ინსპექტორის სამსახურისთვის ინფორმაციის სწრაფად მიწოდების პროცედურები.

2021 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატმა 35 სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე შეატყობინა[71] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. აქედან 17 ფაქტი ეხებოდა პოლიციის თანამშრომლების ქმედებებს, 17 ეხებოდა პენიტენციური სისტემის

---

[66] იხ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2020 წლის ანგარიში, გვ. 12, < https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040113411364936.pdf >

[67] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 28 დეკემბრის №13/78621 წერილი. გამოძიება შეწყალების პროცესში სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

[68] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 14 სექტემბრის N13/53054 წერილი.

[69] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 28 დეკემბრის №13/78621 წერილი.

[70] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 26 თებერვლის N20 ბრძანება „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის სავარაუდო დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესის დამტკიცების შესახებ“.

[71] ოცდათხუთმეტივე ფაქტის შემთხვევაში, სახალხო დამცველის აპარატისთვის არ იყო ცნობილი ინსპექტორის სამსახური ინფორმირებული იყო თუ არა სავარაუდო დანაშაულის შესახებ. შესაბამისად, აპარატმა მიიჩნია, რომ სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედების შესახებ პირველადი ინფორმაცია ინსპექტორის სამსახურში შედიოდა სახალხო დამცველის აპარატიდან.

თანამშრომლებს, ხოლო 1 შემთხვევაში სავარაუდო მსხვერპლი ვერ აზუსტებდა[72] დანაშაულებრივი ქმედება განახორციელეს შსს-ს თუ პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებმა. ხსენებული 35 შემთხვევიდან 8 ფაქტზე ინსპექტორის სამსახურმა გამოძიება არ დაიწყო, ვინაიდან სავარაუდო მსხვერპლებმა დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ ინფორმაცია ინსპექტორის სამსახურთან არ დაადასტურეს.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატი დაინტერესდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ გამოძიებული და დასრულებული საქმეების შესწავლითაც. 2021 წლის ბოლოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ გამოძიებული 52 სისხლის სამართლის საქმე სრულად. სახალხო დამცველის აპარატის მიზანი იყო შეესწავლა ყველა ის საქმე, რომელიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა აწარმოა და შეწყვიტა გამოძიება კონკრეტული პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის გარეშე, 2019 წლის 1 ნოემბრიდან[73] 2021 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან 2021 წლის 30 სექტემბერს მიღებული ინფორმაციის თანახმად[74], ასეთი სულ 53 საქმე[75] იყო.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი 52 სისხლის სამართლის საქმიდან 43 სისხლის სამართლის საქმე იყო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველოს წარმოებაში, 7 სისხლის სამართლის საქმე იყო დასავლეთის სამმართველოს წარმოებაში, ხოლო 2 სისხლის სამართლის საქმე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს წარმოებაში.

აღნიშნული 52 სისხლის სამართლის საქმიდან 51 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, ხოლო 1 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ი" ქვეპუნქტით (პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე და გამოიყენა განრიდება).

საქმეთა კვალიფიკაცია იყო შემდეგნაირი: 45 საქმის კვალიფიკაცია მოხდა სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით ან იარაღის გამოყენებით)[76]; 1 საქმის კვალიფიკაცია სსკ-ის 333-ე მუხლთან ერთად სსკ-ის 335-ე მუხლიც (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება); 1 საქმის გამოძიება სსკ-ის 333-ე მუხლთან ერთად მიმდინარეობდა 150-ე მუხლის I ნაწილით (იძულება); 1 საქმის[77] კვალიფიკაცია იყო სსკ-ის 126-ე მუხლის I ნაწილით (ძალადობა); 1

[72] ფაქტი განხორციელდა პენიტენციურ დაწესებულებაში და ადგილზე იმყოფებოდნენ როგორც შსს-ს, ისე პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები.
[73] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ფუნქციის ამოქმედების დღე.
[74] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის N SIS 1 21 00023978 წერილი.
[75] აქედან ერთი საქმე სახალხო დამცველის აპარატს წინარე პერიოდში ჰქონდა უკვე შესწავლილი და არ იყო იდენტიფიცირებული ხარვეზები ეფექტიანი გამოძიების სტანდარტების შესაბამისად.
[76] ერთ შემთხვევაში კვალიფიკაცია თავდაპირველად იყო 144^3 II „ა", „ბ" და „ვ" ქვეპუნქტებით და მოგვიანებით პროკურორის დადგენილებით შეიცვალა.
[77] ეს საქმე დასრულდა განრიდებით.

შემთხვევაში გამოძიება მიმდინარეობა სსკ-ის 187-ე მუხლით (ნივთის დაზიანება ან განადგურება); 1 საქმის კვალიფიკაცია იყო სსკ-ის 342-ე მუხლის II ნაწილი (სამსახურებრივი გულგრილობა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი); 1 შემთხვევაში გამოძიება მიმდინარეობა სსკ-ის 144^3 I ნაწილით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა); ხოლო 1 შემთხვევაში გამოძება მიმდინარეობდა სსკ-ის 144^3 მუხლის II ნაწილის „ა", „ბ" და „ზ" ქვეპუნქტებით (მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ)[78].

საქმეთა სრულყოფილად შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებები ძირითადად აკმაყოფილებს ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს. გამომძიებლები, როგორც წესი, დროულად და ზედმიწევნით ატარებენ ყველა საჭირო და გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებას. გამოძიება დაუყოვნებლივ ცდილობს ისეთი მტკიცებულებების მოპოვებას, რაც შესაძლოა განადგურდეს დროის გასვლის გამო (მაგ. ვიდეოჩანაწერები, სამედიცინო ექსპერტიზები, შემთხვევის ადგილის დათვალიერება და სხვა). გამოძიება ორიენტირებულია ყველა რელევანტური მტკიცებულების მოპოვებაზე, მაქსიმალურად ცდილობს შეკრას სავარაუდო დანაშაულის ერთიანი სურათი და არ ტოვებს რომელიმე პირის პასუხიმგებლობის გარეშე დატოვების განზრახვის განცდას. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ გარდა ერთი შემთხვევისა, სავარაუდო მსხვერპლის დაზარალებულად ცნობა ხსენებულ საქმეებში არ მომხდარა[79], ხშირ შემთხვევაში გამოძიება ინფორმირებულს ხდის მათ გამოძიების მიმდინარეობისა თუ შეწყვეტის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამოძიებებს არ ახასიათებთ სისტემური, სისტემატიური ან ხშირად განმეორებადი ერთგვაროვანი ხარვეზები, სახალხო დამცველის აპარატმა მაინც დააიდენტიფიცირა ერთეული პრობლემები, რომლებიც განხილულ იქნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან სამუშაო შეხვედრაზე. მაგალითად, შესწავლილ საქმეებში დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც რიგი საგამოძიებო მოქმედებები უფრო დროულად უნდა ჩატარებულიყო, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ დაგვიანებას გამოძიების შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან სამუშაო შეხვედრის დროს დადგინდა, რომ ცალკეულ შემთხვევებში გამოძიების ე.წ. წყვეტები, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თუ ფორმალური დოკუმენტირების (მაგ. ვიდეოჩანაწერის დათვალიერების ოქმის გაფორმება) დაგვიანება გამოწვეულია ადამიანური რესურსის ნაკლებობით, თანამშრომლების მაღალი დატვირთვით და კოვიდ პანდემიის ფონზე

[78] ამ საქმეზე თავდაპირველად გამოძიება მიმდინარეობდა სსკ-ის 333 III „ბ" ქვეპუნქტით და შეიცვალა პროკურორის დადგენილებით.

[79] პირის დაზარალებულად ცნობის უფლებამოსილება გამომძიებლებს არ გააჩნიათ და ეს უფლებამოსილება მიეკუთვნება პროკურორებს.

სხვადასხვაგვარი რეგულაციების დაცვის მიზეზით (რიგ შემთხვევებში დისტანციური მუშაობა, მორიგეობები, იზოლაციის წესების დაცვა და სხვა).[80]

აღსანიშნავია, რომ შესწავლილ საქმეებში გამოძიების მიმდინარეობისას მხოლოდ ერთ შემთხვევაში მოხდა სავარაუდო მსხვერპლის გადაყვანა იმ პენიტენციური დაწესებულებიდან, რომელშიც სავარაუდოდ იგი დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას. გადაყვანა განხორციელდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით.[81]

იყო შემთხვევები, როდესაც გამოძიება ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ იღებდა ექსპერტიზის დასკვნებს. მაგალითად, ერთ შემთხვევაში სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მომზადებას დაჭირდა 1 წელი[82], ხოლო მეორე საქმეში - 1 წელი და 9 თვე.[83]

გარდა შეწყვეტილი გამოძიების მასალებისა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა სახალხო დამცველის აპარატს, საგამონაკლისო წესით, 8 მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე გააცნო.

გამოძიების ეფექტიანობასთან დაკავშირებით არც ამ საქმეებში გამოვლენილა არსებითი ხარვეზები, თუმცა, სამწუხაროდ, რვიდან 5 საქმეში, სახალხო დამცველის აპარატს კითხვები პროკურატურის მიმართ დარჩა. კერძოდ, ოთხ შემთხვევაში[84], საქმის მასალების სრულყოფილად შესწავლამ აჩვენა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ინტენსიური და ყოველმხრივი გამოძიებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებებით გამოვლინდა კონკრეტული სამართალდამცავების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, რის თაობაზეც ინსპექტორის სამსახურმა წერილობითაც (წინადადებით) მიმართა პროკურატურას. პროკურატურამ არცერთ შემთხვევაზე არ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა და მოითხოვა დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-3 მუხლის საჩივართან დაკავშირებით ეფექტიანი გამოძიების ჩატარება ნიშნავს, რომ გამოძიებას უნდა შეეძლოს ფაქტების დადგენა, პასუხიმგებელი პირების იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში - დასჯა. გამოძიების ნებისმიერი ნაკლოვანება, რომელიც ძირს უთხრის მის უნარს დაადგინოს პასუხისმგებელი პირები ვინაობა, საფრთხეს უქმნის ეფექტიანი გამოძიების სტანდარტის შესრულებას.[85]

---

[80] ხსენებულ მიზეზებთან დაკავშირებით, მათ შორის, რესურსების გაზრდის საჭიროებაზე საუბარია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიშშიც, < shorturl.at/cuJT6 >
[81] სს 199291119001 საქმე.
[82] სს 199040220001 საქმე.
[83] სს 199111119001 საქმე.
[84] სს 199220121001 საქმე, სს 199180621002 საქმე, სს 199090121001 საქმე და სს 199050221001 საქმე.
[85] MIKELADZE AND OTHERS v. GEORGIA, N54217/16, 16.11.2021, პარ. 58; AGHDGOMELASHVILI AND JAPARIDZE v. GEORGIA, N7224/11, 08.10.2020 წ. პარ. 37.

ნიშანდობლივია, რომ სახალხო დამცველის აპარატის მანდატს იმის შემოწმებაც მიეკუთვნება, არის თუ არა სახეზე სისხლისსამართლებრივი დევნის სტანდარტი.[86] ამ უფლებამოსილების გათვალისწინებით აპარატის მიზანი იყო შეეფასებინა, ხომ არ იდგა დევნის დაწყების შესაძლო გაჭიანურების პრობლემა მოცემულ საქმეებში, რაც შექმნიდა კონკრეტულ სავარაუდო მოძალადე პოლიციელთა პასუხისმგებლობის მიღმა დატოვების შესაძლო საფუძველს. სწორედ, დევნის დაწყების განზრახ გაჭიანურება აძლევს პირს უფლებას შეიტანოს საჩივარი, რის საფუძველზეც შესაძლებელია დაუშველად იქნას ცნობილი მის წინააღმდეგ არსებული კონკრეტული მტკიცებულებები.[87]

კანონმდებლობის შესაბამისად, ბრალდებულის სტატუსით პირის პასუხისგებაში მისაცემად მოქმედებს ყველაზე დაბალი სისხლისსამართლებრივი სტანდარტი - დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, რაც გულისხმობს იმას, რომ დევნის დაწყების შემდეგ გამოძიებამ კვლავ უნდა გააგრძელოს მტკიცებულებების შეკრება, რათა საქმე ისე გამყარდეს, რაც სასამართლოში ყველაზე მაღალი სამართლებრივი სტანდარტით - გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით - გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას მისცემს მოსამართლეს. საგამოძიებო უწყებების პრაქტიკაც მსგავსია, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას, როგორც წესი, იწყებენ დაუყოვნებლივ, მას შემდეგ რაც დააიდენტიფიცირებენ კონკრეტული პირის ვინაობას, რომელმაც ჩაიდინა დანაშაულებრივი ქმედებები და შემდეგ კვლავ აგრძელებენ მტკიცებულებების შეგროვებას.

წინამდებარე საქმეებში კი პროკურატურის მოქმედება განსხვავდებოდა საკანონმდებლო სტანდარტისა და არსებული პრაქტიკისგან. პროკურატურამ არ დაიწყო დევნა, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ოთხივე საქმეში მტკიცებულებათა ერთობლიობით, მათ შორის, ვიდეოჩანაწერებით, მსხვერპლთა და თავად სავარაუდო მოძალადე პოლიციელთა, ასევე სხვა მოწმეთა ჩვენებებით, სხვადასხვა სახის ექსპერტიზის დასკვნებით, საგამოძიებო ექსპერიმენტებით იდენტიფიცირებული ყავდა კონკრეტული პოლიციელები (აქედან ერთ შემთხვევაში დაცვის პოლიციის თანამშრომელი), რომელთა მიმართ ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა ქმნიდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველს.

ოთხივე შემთხვევაში გამოძიება სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით ან იარაღის გამოყენებით) მიმდინარეობს. სამწუხაროდ, ამ საქმეებში პროკურატურამ არც დაზარალებულის სტატუსი მიანიჭა მსხვერპლებს.

გარდა ამ პრობლემური საქმეებისა, სახალხო დამცველის აპარატი მიიჩნევს, რომ პროკურატურამ არც მეხუთე საქმეში შეასრულა მასზე დაკისრებული ფუნქციები ჯეროვნად.[88] მიუხედავად იმისა, რომ სავარაუდო მსხვერპლი მიუთითებდა, რომ გარდა

[86] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 21, ქვეპ. „გ".
[87] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 169, ნაწ. 9.
[88] სს 199211119006 საქმე.

სავარაუდო არასათანადო მოპყრობისა, იგი პოლიციის მიერ უკანონოდაც იყო თავისუფლებააღკვეთილი, რაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაული არ არის, პროკურატურამ ყურადღების მიღმა დატოვა ეს საჩივარი, არ დაიწყო გამოძიება ამ ნაწილში, არ მისცა საქმეს შესაბამისი კვალიფიკაცია და არ დაუქვემდებარა გამოძიება თუნდაც ისევ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს.

მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, გამოძიების მიმდინარეობისას, სახალხო დამცველის აპარატს არაერთგზის ჰქონდა კომუნიკაცია როგორც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან,[89] ისე პროკურატურასთან.[90] საპასუხოდ კი გაირკვა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ამ ეპიზოდს არ იძიებდა, რამდენადაც დანაშაული არ მიეკუთვნება მის ქვემდებარე საქმეებს,[91] ხოლო გენერალურ პროკურატურის პასუხის[92] თანახმად, ჩატარებული გამოძიებით არ გამოვლენილა განზრახ უკანონო დაკავების დანაშაულის ნიშნები, შესაბამისად სისხლის სამართლის საქმე ცალკე წარმოებად არ გამოყვეს.

სამწუხაროდ, პროკურატურის ეს პოზიცია ვერ იქნება გაზიარებული, რადგან ინსპექტორის სამსახურში მიმდინარე გამოძიება არ ყოფილა ფოკუსირებული მის არაქვემდებარე დანაშაულზე - თავისუფლების სავარაუდო უკანონო აღკვეთის ეპიზოდზე - და შესაბამისად, სწორედ, რელევანტური საგამოძიებო მოქმედებებისა და სავარაუდო დანაშაულის გამოვლენის მიზნით უნდა ყოფილიყო გატარებული ღონისძიებები, გამოყოფილი საქმე და შესაბამისი კვალიფიკაცია მინიჭებული, რაც პროკურატურამ არ უზრუნველყო.

დამატებით, სავარაუდო სისტემური პრობლემა, კერძოდ, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს ადამიანური რესურსის ნაკლებობა გამოვლინდა ერთ-ერთ საქმეში,[93] სადაც პატიმარმა სუიციდი განახორციელა N8 დაწესებულების ისეთ საკანში, რომელშიც 24 საათიანი ელექტრონული-ვიზუალური მეთვალყურეობა ხორციელდებოდა. იმის გამო, რომ ე.წ. პულტების ოთახში კონკრეტული მეთვალყურეების ყოფნა, სხვადასხვა მიზეზების გამო, არ იყო უზრუნველყოფილი, დაახლოებით 25 წუთის განმავლობაში ზედამხედველობის გარეშე დატოვებულმა პატიმარმა სწორედ კამერის ხედვის სივრცეში განახორციელა სუიციდი.

საგამონაკლისო წესით სახალხო დამცველის აპარატი გაეცნო ე.წ. იაღლუჯის ბაზის საქმესაც[94], რომლის გამოძიებასთან დაკავშირებით აპარატს არანაირი შეკითხვა არ დარჩა, თუმცა, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ეს მძიმე დანაშაულებრივი გარემოებები პირველად, სწორედ, სახალხო დამცველის აპარატის მიერ იყო აღმოჩენილი და

[89] 2020 წლის 27 მარტის N15-14/3574, 2020 წლის 25 ნოემბრის N15-14/11643, 2021 წლის 17 თებერვლის N15-14/1693 წერილი.
[90] 2021 წლის 30 მარტის N15-14/3046 წერილი.
[91] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 26 თებერვლის NSIS 8 21 00003607 პასუხი.
[92] 2021 წლის 6 აპრილის N13/19626 პასუხი.
[93] სს 199291020001 საქმე.
[94]სს 199290720002 საქმე.

მიწოდებული საგამოძიებო უწყებებისთვის, შესწავლის შედეგებს დეტალურად წარმოვადგენთ.

იაღლუჯის ბაზის სამხედროების საქმე

სახალხო დამცველის აპარატი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გაეცნო მიმდინარე გამოძიების სრულ მასალებს, რომლებიც შეეხება 2020 წელს „იაღლუჯას" სამხედრო ბაზაზე სამხედრო მაღალჩინოსნების მხრიდან სამხედრო მოსამსახურეების მიმართ არაადამიანური მოპყრობისა და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებს.

საქმის გარემოებების მიხედვით, სხვადასხვა დროს იაღლუჯას ბაზაზე მომსახურე რამდენიმე ვადიან სამხედრო მოსამსახურეს ზემდგომმა პირებმა, ჯარისკაცებს შორის მომხდარი შელაპარაკების ან სხვა სახის შესაძლო დარღვევის საფუძველზე დასჯის მიზნით, აიძულეს, რომ კბილის ან ფეხსაცმლის ჯაგრისით, მუხლებზე დაჩოქილ მდგომარეობაში მოეხეხათ ყაზარმის ტერიტორია პირსაბანებისა და საპირფარეშოების იატაკების ჩათვლით. ერთ-ერთ ეპიზოდში, დ.დ-მ და მ.ბ-მ, დასჯის მიზნით, დაზარალებული თ.ს. აიძულეს, რომ აღჭურვილიყო ჩაფხუტითა და ჯავშან-ჟილეტით (რომლებიც საერთო ჯამში, დაახლოებით, 11 კგ-ს იწონის) და მოეხეხა ყაზარმის ტერიტორია კბილის ჯაგრისით, მუხლებზე დაჩოქილ მდგომარეობაში, დაახლოებით, 10-12 საათის განმავლობაში, ყაზარმის სრული შემადგენლობის თვალწინ. აღნიშნულმა, დასჯის მეთოდის განსაკუთრებულად დამამცირებელი ფორმის გამო, გამოიწვია დაზარალებულის მორალური ტანჯვა, რაც შემდგომში ჩატარებულმა ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნამაც დაადასტურა.

გარდა ამისა, თ.ს-სა და სამი სხვა დაზარალებულის მიმართ გამოიკვეთა მსგავსი ფორმით სხვადასხვა დროს დასჯის შემთხვევები, აგრეთვე, ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტიც.

აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობით, ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების შესაბამის ზემდგომ პირებს, არ აქვთ/არ ჰქონდათ ჯარისკაცების ამგვარად, ან სხვა ფორმით დასჯის უფლებამოსილება და ნებისმიერი სახის გადაცდომა შემდგომი რეაგირების მიზნებისათვის უნდა გადაიგზავნოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, რომელიც განიხილავს ჯარისკაცის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის საკითხს და დარღვევის დადგენის შემთხვევაში, დააკისრებს დისციპლინურ სახდელს. აღნიშნულის მიუხედავად, ზემდგომი პირების მხრიდან ადგილი ჰქონდა არამხოლოდ ამ მკაცრი დანაწესის შეუსრულებლობას, არამედ - დასჯის განსაკუთრებულად დამამცირებელი მეთოდის ფაქტობრივ დანერგვასა და გამოყენებას.

ერთ-ერთ ეპიზოდში, როგორც დაზარალებული ირწმუნებოდა, ადგილი ჰქონდა ამგვარი დასჯის პროცესის ფოტოგადაღებასაც, რასაც თან ერთვოდა ზემდგომი პირის მხრიდან დამამცირებელ მდგომარეობაში აღბეჭდილი სამხედრო მოსამსახურის ამსახველი ფოტომასალის გავრცელების მუქარა.

მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ სახალხო დამცველის რწმუნებულების დაზარალებულთან გასაუბრებისა და საქმის მასალების შესწავლის დროს გაირკვა, რომ ზემოაღნიშნულ დანაშაულებრივ ფაქტებზე ინფორმაციას გარკვეული პერიოდით ადრე

უკვე ფლობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია, თუმცა, სახალხო დამცველის აპარატის მიერ ოფიციალურ წერილობით მიმართვამდე,[95] გენერალურ ინსპექციას აღნიშნული საქმე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის არ გადაუგზავნია.[96]

აღნიშნული საქმის სიმძიმის ფონზე, მისასალმებელია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებული გამოძიება, რომელიც სრულფასოვნად, დროულად და ეფექტიანად წარიმართა. გამოძიების ფარგლებში გამოიკითხა 100-ზე მეტი მოწმე, დაინიშნა და ჩატარდა ექსპერტიზები, გამოთხოვილ იქნა რელევანტური ინფორმაცია და ჩატარდა სხვა სახის საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. აღნიშნულის შედეგად, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2 პირის[97] მიმართ, რომლებიც თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ სცნო წარდგენილ ბრალდებებში.

აღსანიშნავია, რომ ხსენებულ საქმეზე გამოძიება დღემდე გრძელდება, რაც არ გამორიცხავს მსგავსი მანკიერი პრაქტიკისა და სხვა პასუხისმგებელი პირების სამომავლოდ გამოვლენის შესაძლებლობას, რასაც სახალხო დამცველის აპარატი კვლავ მიადევნებს თვალს.

ლუკა სირაძის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველმა, ლუკა სირაძის საქმის (შსს თანამშრომლების მხრიდან არასრულწლოვან ლუკა სირაძის მიმართ ჩვენების მიცემის იძულებისა და მისი თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტი) შესწავლის შედეგების საფუძველზე, წინადადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს, საქმეში გამოვლენილ სხვადასხვა საკითხზე რეაგირების თაობაზე.[98]

ხსენებული წინადადების საფუძველზე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, დაზარალებულის უფლებამონაცვლის მონაწილეობით, რომელიც გამოკითხვისას დეტალურად აღწერდა გამომძიებელ მ. ჩ.-ს გარდა, კიდევ ერთი გამომძიებლის მხრიდან ლუკა სირაძის მიმართ ფსიქოლოგიური ზეწოლის განხორციელების ფაქტზე, ჩაატარა წინადადებაში მითითებული საგამოძიებო მოქმედება - ამოცნობა.[99] გამოძიება გრძელდება.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, ასევე შეისწავლა ხსენებულ საქმეზე მსჯავრდებული პირის - მ.ჩ.-ს სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს

---

[95]საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2020 წლის 27 ივლისის N 14/7360 წერილი.

[96] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 30 ივლისის MIA 9 20 01750649 წერილით სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ საქმე 29 ივლისს გადააგზავნეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში.

[97] ერთ-ერთი პირის მიმართ, მისი გარდაცვალების გამო, გამოიცა დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების შესახებ.

[98] სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2020 წლის ანგარიში, გვ. 20-21.

[99] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 5 მარტის N SIS 5 21 00004207 წერილი.

გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, მ. ჩ.-ს განსაზღვრული 3 წლიანი თავისუფლების აღკვეთიდან მოუხდელი დარჩა სასჯელის ფაქტობრივად ნახევარი, კერძოდ - 1 წელი, 4 თვე და 13 დღე.

მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული მ.ჩ. დადებითად ხასიათდებოდა სასჯელის მოხდისას, იგი

- არ აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს
- არ მიიჩნევდა მის მიერ ჩადენილ ქმედებებს დანაშაულად
- არ გააჩნდა დაზარალებულის უფლებამონაცვლის თანხმობა.

ადგილობრივი საბჭოები, როგორც წესი, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ მსჯავრდებულთა მიერ დანაშაულის აღიარებისა და მონანიების ფაქტებს, ასევე, დაზარალებული მხარის პოზიციას თუ მას პრეტენზია მსჯავრდებულთან აღარ გააჩნია.[100] მოცემულ საქმეში კი საბჭომ საერთოდ არ იმსჯელა ამ გარემოებებზე, არ დაასაბუთა საკუთარი პოზიცია და ისე მიიღო მსჯავრდებულის გათავისუფლების გადაწყვეტილება.

სახალხო დამცველი, საბჭოების არათანმიმდევრული და ბუნდოვანი პრაქტიკის არსებობაზე წლებია საუბრობს და მიუთითებს ამ თუ სხვა არაერთ პრობლემაზე საპარლამენტო თუ სპეციალურ ანგარიშებში. ამ მექანიზმის საქმიანობის დეტალური ანალიზი წარმოდგენილი იქნება წინამდებარე ანგარიშის შესაბამის თავშიც.

გარდა ამისა, როგორც ცნობილია, არასათანადო მოპყრობის საქმეებზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით ნაკისრ ვალდებულებას წარმოადგენს ეფექტიანი და დროული გამოძიების წარმართვა. გამოძიებას უნდა გააჩნდეს უნარი, რომ შეძლოს პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და დასჯა[101]. აღნიშნული ვალდებულების გარეშე, წამებისა და არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის აბსოლუტური უფლება იქნებოდა ილუზორული და პრაქტიკაში არაეფექტური, სახელმწიფოს სახელით მოქმედ ოფიცრებს კი შეეძლებოდათ უფლებამოსილებათა ბოროტად გამოყენება ფაქტობრივად დამკვიდრებული დაუსჯელობის გარანტიით.[102] არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის ძირითადი უფლებით ნაკისრი ვალდებულებების, მათ შორის, ამგვარი უფლებადარღვევების პრევენციის ჭრილში, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი

[100] მაგ., იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალური ანგარიში „პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელი მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში", გვ. 30-32, < https://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf >, ასევე, იხ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2020 წლის ანგარიში, გვ. 27-28, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040113411364936.pdf >

[101] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე ელ-მასრი ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ, 39630/09; 182.

[102] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე კორსაკოვი მოლდოვას წინააღმდეგ, 18944/02; 68.

პროცედურების შედეგები და თანმდევი პროცედურებიც, მათ შორის, პროპორციული სასჯელის გამოყენება.[103]

ამგვარად, ამ უფლებით ნაკისრი ვალდებულებებისა და ღირსების, როგორც წარუვალი ღირებულების ეფექტური დაცვის უზრუნველყოფის გზას წარმოადგენს ზემოხსენებული პრინციპებისა და სტანდარტების პრაქტიკაში გამოყენება, რათა არ დაუშვას სახელმწიფომ, ფაქტობრივად დაუსჯელი დარჩეს არასათანადო მოპყრობისათვის პასუხისმგებელი პირი. სწორედ აღნიშნული სტანდარტებიდან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ მ.ჩ-ს სასჯელისაგან 1 წლითა და 4 თვით ადრე გათავისუფლებამ შექმნა სურათი, სადაც არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის რეალური ვალდებულება მნიშვნელოვანწილად ილუზორული დარჩა, განაპირობა სწორედ ასეთი დანაშაულისთვის პასუხისმგებელი პირის არაპროპორციული დასჯა და სახელმწიფოს მხრიდან აბსოლუტური ძირითადი უფლებით ნაკისრი პოზიტიური ვალდებულების არაჯეროვნად შესრულება.

ნინოწმინდის პანსიონის საქმე

მნიშვნელოვანი და არსებითი ხარვეზები გამოვლინდა ნინოწმინდის პანსიონში ბავშვების მიმართ განხორციელებული სავარაუდო დანაშაულების ფაქტების გამოძიების პროცესში. აპარატმა შეისწავლა 4 სისხლის სამართლის საქმე, რომელთა გამოძიება 2016 და 2019-2021 წწ. დაიწყო. კვალიფიკაცია 3 საქმეზე - სსკ-ის 126-ე მუხლით (ძალადობა), ხოლო 1 საქმეზე სსკ-ის 137-ე მუხლით (გაუპატიურება).

მასალების შესწავლამ ცხადყო, რომ სამწუხაროდ, გამოძიებაზე პასუხისმგებელი პირები ხშირ შემთხვევაში გულგრილად ეკიდებიან არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს, წლების მანძილზე აჭიანურებენ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას, არ ახდენენ გამოძიების სწორ კვალიფიკაციას, არ მოქმედებენ მსხვერპლი ბავშვების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით, მოქმედებენ სტერეოტიპულად, არ ანიჭებენ მსხვერპლებს დაზარალებულის სტატუსს, არ ცდილობენ შეკრან დანაშაულებრივი სქემის ერთიანი სურათი და სრულფასოვნად გამოავლინონ ძალადობრივი დასჯის პრაქტიკა ნინოწმინდის პანსიონში.

შესწავლილ საქმეებში დაფიქსირდა გამოძიების დაწყების 2-თვიანი დაგვიანების, საგამოძიებო მოქმედებების 4 და 1 წლით ჩაუტარებლობის შემთხვევები, ხოლო პროკურატურის მიერ სავალდებულო მითითებების გაცემა და საგამოძიებო მოქმედებების ინტენსიურ რეჟიმში გაგრძელება სახალხო დამცველის მიერ ფაქტის საჯარო გახმაურების შემდეგ მოხდა.

მასალებიდან იკვეთებოდა ბავშვების მიმართ სავარაუდო სექსუალური ხასიათის დანაშაულების ნიშნებიც. საქმეების ფარგლებში არც ხსენებული ფაქტების გამოძიება მომხდარა და არც ცალკე წარმოებად გამოყოფილა საქმე. საგამოძიებო ორგანოს არ გაუტარებია არანაირი ღონისძიება პანსიონში მყოფი ბავშვების უსაფრთხოების და

[103] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე კესტარო იტალიის წინააღმდეგ, 6884/11; 205.

სავარაუდო ძალადობრივი გარემოსგან დაცვის მიზნით. ეს კი საგამოძიებო ინტერესებისთვის აუცილებელი იყო, რათა ბავშვებს გამოკითხვისას თავისუფლად, შიშის გარეშე ესაუბრათ. მეტიც, ერთ საქმეზე ბავშვები გამოიკითხნენ პანსიონის ადმინისტრაციის წარმომადგენლის თანდასწრებით.

საგამოძიებო ორგანომ კანონის შესაბამისად არ იმოქმედა და საქმისთვის საჭირო საგამოძიებო მოქმედებები არ ჩაატარა, კერძოდ, პანსიონმა რიგ შემთხვევებში საგამოძიებო ორგანოს არ მიაწოდა მოთხოვნილი ინფორმაციას, თუმცა ამოღება არ ჩატარებულა; ერთ საქმეში გამოსაკითხად გამომძიებელი დაუკავშირდა პანსიონის აღმზრდელს, რომლის თქმით, ბავშვების გამოკითხვაზე ნებართვას „მეუფე" გასცემდა და აღნიშნული საკითხი მასთან უნდა შეეთანხმებინა, ხოლო გამომძიებელს არაფერი გაუკეთებია ბავშვების გამოსაკითხად.

საგულისხმოა, რომ ერთ საქმეზე აცილებული იქნა მხოლოდ საქმის გამომძიებელი, მაშინ როდესაც თბილისის პროკურატურაში გამოძიება სწორედ ნინოწმინდის პოლიციის სამმართველოს პოლიციელების (გამომძიებლის, რომელიც კვლავ მონაწილეობდა 2 საქმის გამოძიებაში) და მათი ხელმძღვანელის მიერ სავარაუდო მსხვერპლი ბავშვების და მათი დედის მხრიდან სასურველი ჩვენების მიღების, პანსიონში ძალადობის ფაქტების უარყოფის მიზნით, განხორციელებული სავარაუდო, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე მიმდინარეობდა.

სახალხო დამცველმა ეფექტიანი გამოძიების წარმოების თაობაზე წინადადებით[104] გენერალურ პროკურორს მიმართა და მოითხოვა: საქმეების ერთ წარმოებად გაერთიანება, საქმეთა კვალიფიკაციის შეცვლა (კვალიფიკაციის დაზუსტება და გამოძიების წარმართვა სავარაუდო ძალადობის ფაქტებზე - სსკ-ის 144[3] მუხლით, ასევე, სავარაუდო სექსუალური ძალადობის ფაქტებზე -137-ე, 138-ე და 141-ე მუხლებით), საგამოძიებო სტრუქტურული ერთეულისა და ზედამხედველი პროკურორის შეცვლა, საქმიდან მოქმედი სოციალური მუშაკის ჩამოშორება, ასევე, მთელი რიგი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების, მათ შორის, რელევანტური ექსპერტიზების ჩატარება, ტელეფონისა თუ შესაბამისი კომუნიკაციების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, პანსიონის ხელმძღვანელი პირების (საერო და სასულიერო) გამოკითხვა, სამედიცინო და სხვა ტიპის დოკუმენტაციის მოპოვება, კონკრეტულ შემთხვევებში დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენება და სხვა.

პანსიონში მომხდარი სავარაუდო დანაშაულის სისტემური გამოძიება მნიშვნელოვანია წარიმართოს სსკ-ის 144[3] მუხლით, რადგან ხსენებული საქმეებში ბავშვების ჩვენებებში იკვეთება არასათანადო მოპყრობისა და დასჯის ძალადობრივი მეთოდები, რასაც პერმანენტული ხასიათი ჰქონდა და გამოიყენებოდა არა კონკრეტული, არამედ თითქმის ყველა ბავშვის მიმართ. ამ პირობებში სსკ-ის 126-ე მუხლით (ძალადობა) კვალიფიკაცია არასაკმარისია და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის სავარაუდო ფაქტებს ვერ დაფარავს. აუცილებელია პანსიონის ხელმძღვანელობის (საერო და სასულიერო

[104] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 7 დეკემბრის N15-5/11525 წინადადება.

პირები) ქმედებების შესწავლა და მტკიცებულებების მოპოვება მოპყრობის და დასჯის ძალადობრივი მეთოდების შესახებ მათი ინფორმირებისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ. ასევე საჭიროა დადგინდეს დასჯის და მოპყრობის სასტიკი მეთოდების გამოყენებისა და დამკვიდრების თაობაზე ხელმძღვანელების პოზიცია და მდუმარე თანხმობა/აქტიური მოწონება მათი მხრიდან.

აუცილებელია ნინოწმინდის პანსიონში ბავშვების მიმართ განხორციელებულ სავარაუდო დანაშაულის ფაქტებზე გამოძიება სისტემურად წარიმართოს, არ დაცალკევდეს ერთეულ ეპიზოდებად და ყველა საქმე ერთ წარმოებად გაერთიანდეს. გაერთიანების შემდეგ კი ეფექტიანი და სრულყოფილი გამოძიების ჩატარების მიზნით, გამოსაძიებლად შსს-ს სხვა სტრუქტურულ ერთეულს გადაეცეს.

აუცილებელია, პანსიონში მომხდარი სავარაუდო დანაშაულებრივი ფაქტების სრულყოფილი შესწავლა და მტკიცებულებების ერთიანად მოპოვება. ასევე, სავარაუდო სექსუალური ძალადობის ფაქტზე გამოძიება წარიმართოს სტერეოტიპებისაგან და წინასწარი განწყობებისგან თავისუფალი მიდგომით და გამოყენებულ იქნეს „სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის სახელმძღვანელოში“[105] ასახული პრინციპები.

თემურ აბაზოვის ბრალდების საქმე

2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა მიმოიხილა თემურ აბაზოვის საქმე.[106] მარნეულის ყოფილ მერს პირის არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებასა და ამ ქმედების ამსახველი კადრების საჯარო გავრცელების ორგანიზებაში ედებოდა ბრალი. პროკურატურამ სასამართლო პროცესის დასკვნით ეტაპზე წარდგენილი 2 მძიმე ბრალიდან ერთ-ერთი (კადრების გავრცელების ორგანიზება) დაუსაბუთებლად მოხსნა, რითაც სასამართლოს წაართვა ერთ-ერთ დანაშაულზე მსჯელობის შესაძლებლობა და, ფაქტობრივად, ხელი შეუწყო გამამართლებელი განაჩენის გამოტანას. როგორც ანგარიშში აღინიშნა, ხსენებული ქმედება აბსოლუტურად ეწინააღმდეგება სამართლებრივ ლოგიკას და განსაკუთრებით საეჭვო იყო, რომ აღნიშნულ ნაწილში ბრალის მოხსნა მოხდა სასამართლო პროცესის მიწურულს, როდესაც ყველა მტკიცებულება უკვე გამოკვლეული იყო, რაც მიუთითებდა ბრალდებულების მხრიდან პირადი ცხოვრების საიდუმლოს მოპოვებასა და გავრცელებაზე. ამასთან, ბრალდების მოხსნის შედეგად, ორჯერ მსჯავრდების აკრძალვის სამართლებრივი პრინციპის გათვალისწინებით, ამგვარ დანაშაულზე სამართლიანობის აღდგენა სამომავლოდაც გამოირიცხა.

სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრდა არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენების ბრალდებისა და ძალადობის

[105] იხ.< https://bit.ly/36IjjKO >

[106] საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ 83.

ნაწილში,[107] რის შემდეგაც სახალხო დამცველი აგრძელებდა სამართალწარმოებაზე დაკვირვებას. 2022 წლის 27 იანვარს თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურატურის საჩივარი და ყველა პირი, მათ შორის, თემურ აბაზოვი, კვლავ სრულად გაამართლა. ხოლო პირადი ცხოვრების საიდუმლოს მოპოვებისა და გავრცელების ეპიზოდი, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოების ეტაპზე ბრალდების მოხსნის გამო, ცხადია, კვლავ სამართლებრივი შეფასებისა და შესაბამისი პირებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე დარჩა.

ექსტრადიციის საქმეები

ი.ჯ.-ს საქმე

2021 წელს სახალხო დამცველმა განიხილა მოქალაქე ი.ჯ-ის განცხადება. ქალბატონი დაკავებული იყო ბელარუსის რესპუბლიკაში და ლიბანის რესპუბლიკის უფლებამოსილი ორგანოების მიერ მოთხოვნილი იყო მისი ექსტრადიცია სწორედ ამ სახელმწიფოში, ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულის შესაძლო ჩადენის ბრალდებით.

სახალხო დამცველის აპარატი გაეცნო ლიბანის რესპუბლიკაში დაფუძნებული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების ანგარიშებსა და მოხსენებებს[108] ლიბანის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, რის შემდეგაც გამოიკვეთა, რომ ექსტრადიციის მომთხოვნ სახელმწიფოში კვლავ მოქმედებს სიკვდილით დასჯა ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულებისათვის. გარდა ამისა, ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემთხვევები არის ფართოდ გავრცელებული და სისტემური. აგრეთვე, ხშირია ჩვენების წამების მეთოდით მიღების შემთხვევები, რასაც თან არ ახლავს დროული და ეფექტური გამოძიება.

კვლევებმა აჩვენა, რომ მრავალმხრივი დარღვევებით ხასიათდება სასამართლო პროცესები. სასამართლოს მოსამართლეები, რომლის განსჯადობას განეკუთვნება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დანაშაულები, არ აირჩევიან იურიდიული კვალიფიკაციის საფუძველზე, უცხო ქვეყნის მოქალაქე ბრალდებულებისთვის ხშირად არ არის უზრუნველყოფილი თარჯიმნის მომსახურება. პენიტენციური დაწესებულებების საცხოვრებელი პირობები, მათ შორის, პირადი ჰიგიენის, სამედიცინო მომსახურების მხრივ ვერ აღწევს საერთაშორისოდ აღიარებულ მინიმალურ სტანდარტებს. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ადგილი აქვს ძალადობის, ხანგრძლივი განმარტოებული პატიმრობის, არასათანადო მოპყრობის, უარყოფილი თუ გაჭიანურებული სამედიცინო მომსახურების შემთხვევებს, აგრეთვე, სერიოზული პრობლემაა პენიტენციური დაწესებულებების

[107] სხვა პირებს გამოძიება დაზარალებულზე ძალადობას ედავებოდა მას შემდეგ, რაც პირადი ცხოვრების საიდუმლოს მოპოვებისა და გავრცელების ეპიზოდში ბრალდება მათ მიმართაც მოიხსნა.

[108] სახალხო დამცველის აპარატი გაეცნო გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის, Human Rights Watch-ის, Amnesty International-ისა და სხვა ორგანიზაციების მოხსენებებსა და ანგარიშებს.

გადატვირთულობა, რისი ერთ–ერთი მიზეზიც წინასწარი პატიმრობის განუსაზღვრელი ვადით გამოყენების შესაძლებლობაა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, სახალხო დამცველმა მიმართა მინსკის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით (Amicus Curiae),[109] რომ ბრალდებულის მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის, აგრეთვე, სიკვდილით დასჯის მაღალი რისკის გამო, ბელარუსის რესპუბლიკას არ დაეშვა მისი ლიბანის რესპუბლიკაში ექსტრადიცია. სასამართლო მეგობრის მოსაზრების გაგზავნის შემდეგ, ბელარუსის რესპუბლიკამ უარი თქვა ი.ჯ.-ს ლიბანში ექსტრადირებაზე.

ი.ს.-ს საქმე

2021 წელს სახალხო დამცველის აპარატმა განაგრძო 2019 წელს საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირებული ი.ს-ის საქმის მონიტორინგი. 2020 წლის 21 ოქტომბერს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, რათა არ გაცემულიყო თანხმობა რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირებული ი.ს-ს მიმართ დამატებითი ბრალდების წარდგენაზე, მოსალოდნელი სასიკვდილო განაჩენის გათვალისწინებით. 2022 წლის იანვრის მდგომარეობით პროკურატურას კვლავ არ ჰქონდა მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხზე.[110]

ი.ს.-ის ადვოკატის მიერ სახალხო დამცველის აპარატში დამატებით იქნა წარმოდგენილი განცხადებები, სადაც მიუთითებდა რუსეთის ფედერაციის პენიტენციურ დაწესებულებაში ი.ს-ის უფლებათა განგრძობადი დარღვევის საკითხზე. ადვოკატი მიუთითებდა პენიტენციურ დაწესებულებაში მძიმე პირობებზე, აუტანელ ხელოვნურ განათებასა და ბუნებრივი სინათლის მკაცრ შეზღუდვაზე; რეგულარულ, გეგმიურ პირად შემოწმებებზე, რომლებსაც თან ახლდა გაშიშვლება კონკრეტული საფუძვლის გარეშე. განცხადებაში აგრეთვე მითითებული იყო წინასწარი პატიმრობის უვადო გახანგრძლივების პრობლემურობაზე, ადვოკატთან კომუნიკაციის კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევასა და ოჯახის წევრებთან შეხვედრისა და დარეკვის შეზღუდვაზე. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა მიმართა რუსეთის ფედერაციის ადამიანის უფლებათა კომისარს[111] და ითხოვა დასახელებული შესაძლო უფლებათა დარღვევის ფაქტების შესწავლა.

დამატებით, სახალხო დამცველის აპარატმა, ზემოხსენებულ ინფორმაციაზე რეაგირების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას.[112] ამ უკანასკნელის მხრიდან სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა,[113] რომ რუსეთის ფედერაციის უფლებამოსილი ორგანოებიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია საპატიმრო დაწესებულებაში ი.ს.-ის განთავსების პირობებისა და სხვა საკითხების

[109] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 19 მაისის N15-11/4807 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება
[110] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 11 იანვრის №13/787 წერილი.
[111] სახალხო დამცველის 2021 წლის 4 აგვისტოს N 15-4/7613 წერილი.
[112] სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 11 მაისის N 15-4/4493 და 24 დეკემბრის N 15-4/12362 წერილები.
[113] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 25 მაისის №13/30229 წერილი.

შესახებ. საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის საქართველოს გენერალურ პროკურატურაში კვლავ მიმდინარეობდა ხსენებული ინფორმაციის შესწავლა.[114]

რუსეთის ფედერაციის ადამიანის უფლებათა კომისრის წერილით[115] საქართველოს სახალხო დამცველს ეცნობა, რომ პენიტენციური დაწესებულების პირობები რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობას შეესაბამება და პირადი შემოწმებაც კანონმდებლობის შესაბამისად ტარდება. ამასთან, მან დაადასტურა, რომ ი.ს.-სთან შემავალი და გამავალი კორესპონდენცია, გამომძიებლის მიმართვის საფუძველზე, აბსოლუტურ მონიტორინგს ექვემდებარება, შესაბამისად, მონიტორინგს ექვემდებარება ადვოკატთან კომუნიკაციაც. რაც შეეხება ოჯახის წევრებთან კომუნიკაციასა და შეხვედრას, ბრალდებულს, 2 წელზე მეტია, მათთან კომუნიკაცია მხოლოდ წერილობით შეუძლია, რაც სრულ მონიტორინგს ექვემდებარება, ხოლო სატელეფონო საუბრისა და პირადი შეხვედრის შესაძლებლობა დღემდე არც ერთხელ ჰქონია.

გარდა ამისა, წინასწარი პატიმრობის განუსაზღვრელად გახანგრძლივების საკითხზე რუსეთის ფედერაციის ადამიანის უფლებათა კომისარმა მხოლოდ ის მიუთითა, რომ მოსამართლეები აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობენ დამოუკიდებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნული კი ხდება იმის ფონზე, როდესაც საქართველოს გენერალური პროკურატურის განმარტებით, მიღებული ჰქონდათ ი.ს.-ს საქმეზე რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურისგან შესაბამისი გარანტიები. რუსეთის ფედერაციის განმარტებით, ი.ს.-ს ექსტრადიცია არ მოითხოვებოდა მის მიმართ პოლიტიკური, რასობრივი, რელიგიური ნიშნით დევნის მიზნით და იგი არ დაექვემდებარებოდა წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახავ მოპყრობას ან დასჯას. ამასთან, ი.ს. ისარგებლებდა დაცვის ყველა შესაძლებლობით, მათ შორის ადვოკატის მომსახურებით.[116]

სამწუხაროდ, რუსეთის ფედერაციამ ამ შემთხვევაშიც უგულებელყო ადამიანის უფლებები და მის მიერვე წარმოდგენილი გარანტიები. მიგვაჩნია, რომ ხსენებული შემთხვევა საქართველოს უფლებამოსილმა ორგანოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც პირის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირების საკითხი დადგება, რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოდგენილი გარანტიების სარწმუნოობისა და სანდოობის შეფასების მიზნებისათვის.

ნ. მ.-ს საქმე

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებულ ნ.მ.-ს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის საქმე. მსჯავრდებული მიუთითებდა, რომ ექსტრადიციის განხორციელება, წარსულში მისი პოლიტიკური საქმიანობისა და ერთ-ერთი სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების გამო, მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნიდა მისი წამებისა და

[114] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 11 იანვრის №13/787 წერილი.
[115] რუსეთის ფედერაციის სახალხო დამცველის 2021 წლის 17 დეკემბრის წერილი.
[116] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 27 თებერვლის №13/14398 წერილი.

არაადამიანური მოპყრობისგან დაცვის უფლებას. კერძოდ, აცხადებდა, რომ ის არის ლგბტქ+ თემის წარმომადგენელი.

აპარატმა შეისწავლა მოცემული საქმე, რომლის ფარგლებშიც დისტანციურად გაესაუბრა მსჯავრდებულის საზღვარგარეთ მყოფ დასაც, რომელმაც დაადასტურა მსჯავრდებულის მიერ აღწერილი მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები.

საქმის შესწავლის შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს, ნ.მ.-ს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის მიზანშეუწონლობის თაობაზე.[117] წინადადებაში მითითებულია, რომ 2000 წელს ჰომოსექსუალობის ლეგალიზაციის მიუხედავად, აზერბაიჯანი ლგბტქ+ ადამიანებისთვის ევროპაში ყველაზე საფრთხისშემცველ ქვეყანად რჩება.[118] საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციები განაპირობებს ოჯახების მიერ ღიად (ქამინგ აუთის შემდგომ) ლგბტქ+ პირთა მიმართ ძალადობასა და გარიყვას, რიგ შემთხვევებში - იძულებითი ჰეტეროსექსუალური ქორწინების თანხლებით.[119]

გაცილებით მძიმე ვითარებაა ლგბტქ+ ადამიანების მიმართ პოლიციასა და პენიტენციურ სისტემაში. Human Rights Watch აღწერს არაერთ შემთხვევას, როდესაც აზერბაიჯანული პოლიცია ძალადობს, აპატიმრებს და აწამებს ჰომოსექსუალ და ტრანსგენდერ ადამიანებს, ელექტროშოკებისა და ხელკეტების გამოყენებით.[120] ტრანსგენდერი ქალები, ძალადობის გარდა, ექვემდებარებიან თავის იძულებით გადაპარსვასაც,[121] რასაც ხელისუფლება „ეროვნულ-მორალურ ღირებულებათა დაცვის" მიზანს უკავშირებს.[122] ძალადობის სერიების მსხვერპლი ხდებიან მათი უფლებადამცველებიც.[123]

აზერბაიჯანის ციხეებში უფლებადამცველების, აქტივისტების, ჟურნალისტებისა და სხვა პირების წამების შესახებ (რასაც რიგ შემთხვევებში, გარდაცვალებაც მოყვა) მრავალი და თანმიმდევრული მონაცემის არსებობა აღინიშნა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის უკანასკნელ პერიოდულ ანგარიშშიც.[124]

ევროსაბჭოს წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ ევროპულმა კომიტეტმა (CPT) აზერბაიჯანში თავისი უკანასკნელი ვიზიტების დროს (2017 და 2016 წლებში) ასევე მიუთითა აზერბაიჯანის ციხეებში წამების აშკარა პრაქტიკის შესახებ.

---

[117] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 27 ოქტომბრის N 15-3/10221 წინადადება.
[118] <https://bit.ly/3Awkwh7 > [ნანახია 12.10.2021].
[119] <https://bit.ly/3ADLtiG> [ნანახია 12.10.2021].
[120] <https://bit.ly/3oZhXBY> [ნანახია 12.10.2021].
[121] <https://nyti.ms/2X5VIP9 > [ნანახია 12.10.2021].
[122] <https://bit.ly/3BG7cbo > [ნანახია 12.10.2021].
[123] <https://bit.ly/3ABptoR > [ნანახია 12.10.2021].
[124] United Nations Human Rights Committee, Concluding observations on the fourth periodic report of Azerbaijan, 2016, para 18. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/30h0U3X> [ნანახია 12.10.2021].

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა და შესაბამისი არგუმენტებით დასაბუთებული სახალხო დამცველის პოზიციისა, სამწუხაროდ, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ არ გაიზიარა[125] საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება და შესაბამისი შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, რომელმაც დააკმაყოფილა შუამდგომლობა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ კი არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის საჩივარი და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

სამედიცინო მომსახურების პრობლემები პენიტენციურ სისტემაში

სამწუხაროდ, დაგვიანებული ან არაადეკვატური სამედიცინო მომსახურების პრობლემა პენიტენციურ სისტემაში კვლავ გამოწვევად რჩება. ჯანდაცვის მიმართულებით გამოვლენილი სისტემური ხარვეზების პარალელურად, სახალხო დამცველის აპარატს შესწავლილი აქვს არაერთი საქმე, სადაც კონკრეტული პატიმრებისთვის არადროული ან არაშესაბამისი სამედიცინო სერვისის მიწოდების ფაქტი დასტურდება.

გ.მ.-ს საქმე

პატიმრებისთვის ადეკვატური სამედიცინო მომსახურების სფეროში სერიოზული პრობლემების თვალსაჩინო მაგალითია N18 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულ გ. მ.-ს მდგომარეობა. 2019 წელს სახალხო დამცველმა, მოწვეული ექსპერტის დასკვნის საფუძველზე, გასცა რეკომენდაცია პატიმრის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის თაობაზე. მსჯავრდებულის დიაგნოზი 2020 წელს უცვლელი იყო[126].

2021 წელს აპარატში დასაქმებული ექიმის, მედიცინის დოქტორის მიერ პატიმრის სამედიცინო დოკუმენტების[127] შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პრობლემას წარმოადგენს ძირითადი დიაგნოზის მართვასთან დაკავშირებული საკითხები: არ სრულდება გაწეული რეკომენდაციები კომპლექსური მკურნალობის აუცილებლობის შესახებ; დოკუმენტაციაში არ იძებნება ჩანაწერები, რომლებიც მიუთითებდნენ პაციენტის მდგომარეობის მულტიდისციპლინურ მართვაზე თერაპიული გეგმის მიხედვით, რაც ერთობლივად უნდა განხორციელებულიყო სამედიცინო გუნდის მიერ.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტმა მხოლოდ აპარატის მიმართვის[128] შემდეგ, დაგეგმა და განახორციელა სხვადასხვა პროფილის ექიმ-სპეციალისტთა ვიზიტი მსჯავრდებულთან მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით.[129]

---

[125] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 26 ნოემბრის №13/71783 წერილი.

[126] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2020 წ. ანგარიში, გვ. 43.

[127] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 08.10.2021 წ. N238317/01 წერილის დანართი მსჯავრდებულის სამედიცინო ბარათის ასლები, 22.02.2021 წ.-დან მოცემულ დრომდე.

[128] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 05.11.2021 წ. N15-5/10589 წერილი.

[129] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 31.12.2021 წ. N320171/01 და 2022 წლის 17 თებერვლის №45183/01 წერილები.

საგულისხმოა, რომ პროკურატურა აწარმოებს გამოძიებას პატიმრის მიმართ დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან სავარაუდო გულგრილობის ფაქტზე,[130] თუმცა გამოძიება კონკრეტულ შედეგებამდე ამ დრომდე არ მისულა.

ტ.გ.-ს საქმე

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტში ხელშეკრულებით დასაქმებული ექიმის, მედიცინის დოქტორის მიერ შესწავლილ იქნა N5 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულ ტ.გ.-სთვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ადეკვატურობა და ხარისხი.[131]

პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი მსჯავრდებულის სამედიცინო ისტორიის თანახმად, ტ.გ.-ს 2014 წლის მიღებულ ტრავმაზე ჩატარებული მკურნალობის შემდგომი მდგომარეობა გართულდა ინფექციით, დროთა განმავლობაში განვითარდა ფსევდოართროზი და აქვს ჩირქოვანი გამონადენი ჭრილობიდან. მსჯავრდებული პენიტენციურ სისტემაში განთავსებულია 2018 წლის 25 მაისიდან. 2018-2021 წლების პერიოდში მსჯავრდებულს სამედიცინო სერვისი მიეწოდებოდა როგორც პენიტენციურ სისტემაში (N5 პენიტენციური დაწესებულება და N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება), ასევე ხდებოდა მისი გადაყვანა, საჭიროებისამებრ სხვადასხვა სამოქალაქო სექტორის კლინიკებში. 2018-2020 წლებში მისი გადაყვანა ხდებოდა „აკად. ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში".

მსჯავრდებულის სამედიცინო ისტორიის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა „აკად. ო.ღუდუშაურის ეროვნული ჯანმრთელობის ცენტრში" ტ.გ.-სთვის მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ხარვეზები კერძოდ, „აკად. ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის" ექიმების მიერ, ერთი კონსულტაციის გარდა, დაფიქსირებული არ არის ჩირქოვანი პროცესი და არ არის გაცემული არც ერთი რეკომენდაცია ჩირქოვანი პროცესის მკურნალობის შესახებ. მაშინ, როდესაც პენიტენციური დაწესებულების ექიმებმა არაერთხელ დააფიქსირეს ჩირქოვანი პროცესის მიმდინარეობა და გამოთქვეს ეჭვი ოსტეომიელიტის არსებობაზე. შესაბამისად, მსჯავრდებული გადაყვანილი იყო და პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო პერსონალის მოთხოვნა იყო სწორედ ჩირქოვან პროცესთან მიმართებით რეკომენდაციების გაცემა.

2021 წლის 9 სექტემბრისთვის მსჯავრდებულის მდგომარეობა პრაქტიკულად უცვლელი იყო - აღნიშნავდა ტკივილსა და ჩირქოვანი გამონადენის არსებობას ბარძაყის ქვედა მესამედი არიდან.

---

[130] საქართველოს გენერალური პროკურატურის 03.02.2021 წ. N13/5561, 31.05.2021 წ. N13/31439 და 05.10.2021 წ. N13/60487 წერილები.
[131] 2021 წლის 4 აგვისტოს N8464/21 განცხადება.

მსჯავრდებულის სამედიცინო ისტორიის შესწავლის შედეგად გამოკვეთილი მკურნალობის ხარვეზების შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს მსჯავრდებულს შემდგომი კომპლექსური მკურნალობის ტაქტიკისა და შემდგომი მკურნალობის განსაზღვრის მიზნით ჩაუტარდეს კონსილიუმი ტრავმატოლოგისა და ჩირქოვანი ქირურგის მონაწილეობით[132]. სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ გაზიარებულ იქნა სახალხო დამცველის წინადადება და ტ.გ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის კონსილიუმის წესით შეფასების მიზნით, გადაყვანილ იქნა სამოქალაქო სექტორის კლინიკაში.[133]

რაც შეეხება „აკადემიკოს ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის" სამედიცინო პერსონალის მიერ მსჯავრდებულისთვის მიწოდებული სამედიცინო სერვისის ხარისხის შესწავლისა და კონკრეტული სამედიცინო მუშაკების მიმართ საქმისწარმოების დაწყების თაობაზე პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის კომპეტენტური ორგანოს - პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე დასაყენებლად განხილვის საკითხს, საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს",[134] სადაც დაიწყო საკითხის შესწავლა.[135]

ი.ვ.-ს საქმე

სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს[136] N18 დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული ი.ვ.-ის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, სუფთა ჰაერზე ხანგრძლივი ვადით ყოფნის უზრუნველყოფის თაობაზე, რის თაობაზეც არსებობს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ექიმ-სპეციალისტის მიერ გაცემული არაერთი დასკნა და რეკომენდაცია.

აღნიშნული მიზნით და უსაფრთხოების გარემოების გათვალისწინებით, სასურველი იყო მსჯავრდებულის მოთავსება აღმოსავლეთ საქართველოს რომელიმე ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში ან სამეურნეო ნაწილში ჩარიცხვა დახურული ტიპის დაწესებულებაში, რაც უზრუნველყოფდა სუფთა ჰაერზე ხანგრძლივი ვადით ყოფნის შესაძლებლობას.

იუსტიციის სამინისტროს მხრიდან, სამწუხაროდ, არ იქნა გათვალისწინებული სახალხო დამცველის წინადადება და მსჯავრდებული ამ დრომდე, ექიმ-სპეციალისტების პოზიციის საწინააღმდეგოდ, რჩება სამკურნალო დაწესებულების ხანგრძლივი მოვლის განყოფილებაში.

---

[132] 2021 წლის 7 დეკემბრის საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება N15/11522.
[133] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2022 წლის 24 იანვრის №19990/01 წერილი.
[134] 2021 წლის 7 დეკემბრის საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება N15/11523.
[135] სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2022 წლის 24 იანვრის № 02/829 წერილი.
[136] სახალხო დამცველის 2021 წლის 19 აპრილის N15-9/3465 წინადადება.

გ.შ.-ს საქმე

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებულ გ.შ.-ს საქმე, რომელსაც სასჯელის მოხდის პერიოდში, სამჯერ ჩაუტარდა ცხვირის ოპერაცია სუნთქვის გაძნელებისა და ცხვირის ძგიდის გამრუდების გამო. თუმცა, ოპერაციული ჩარევები ეფექტიანი არ აღმოჩნდა.

აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებულ გ.შ.-ის სამედიცინო ბარათი, რომლის თანახმად, მსჯავრდებულს 2021 წლის მაისის და სექტემბრის თვეში, ჩაუტარდა განმეორებითი ოპერაციები ცხვირის ძგიდესა და ნიჟარებზე. ასევე, ცხვირის წვერის მიდამოს ნეკროზისა და ჩირქოვანი გამონადენის გამო, ჩაუტარდა რინოპლასტიკა.

მიუხედავად ქირურგიული მკურნალობისა, მსჯავრდებულს კვლავ აწუხებს სუნთქვის გაძნელება. უფრო მეტიც, გ.შ.-ს ბოლო ოპერაციის შემდეგ, აღენიშნება მკვეთრად გამოხატული ცხვირის კოსმეტიკური დეფექტი.

აღსანიშნავია, რომ ჩატარებული არაეფექტიანი ოპერაციული ჩარევების შედეგად, ცხვირის დეფორმირების, როგორც არასათანადო მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიება მიმდინარეობს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში სისხლის სამართლის N199030621002 საქმეზე, სისხლის სამართლის კოდექსის 144[3]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა", „ბ", „ე" და „ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.[137]

გაჭიანურებული რეფერალის შემთხვევები

სახალხო დამცველის აპარატი წლებია საუბრობს რეფერალის რიგების გადატვირთულობაზე და ხშირ შემთხვევაში სამოქალაქო კლინიკებში პატიმრების გაყვანის პროცესის გაჭიანურებაზე. მსგავსი ფაქტები, სამწუხაროდ, კვლავ ფიქსირდება და საილუსტრაციოდ შევეხებით რამდენიმე შემთხვევას, რომელიც მკაფიოდ აჩვენებს თუ როგორ ელოდებიან პატიმრები, რიგ შემთხვევებში, სამედიცინო სერვისის მიღებას თვეების მანძილზე.

მაგალითად, 2021 წლის 19 ივლისს პატიმარ გ.კ. დარეგისტრირდა ცხვირზე ოპერაციული მკურნალობის ჩატარების მიზნით.[138] თუმცა, დაახლოებით 6 თვის შემდეგაც, კერძოდ, 2022 წლის 6 იანვრის მდგომარეობით, სამედიცინო მომსახურება პატიმარს ისევ არ ჰქონდა გაწეული.[139]

პატიმარი ი.ც. კი მინიმუმ ნახევარი წელი ელოდა ოტირინოლარინგოლოგის კონსულტაციას. 2021 წლის 22 იანვრის ინფორმაციით, პატიმარი რეფერალის რიგში 172-ე იყო. 2021 წლის 15 ივლისის მდგომარეობით კი მხოლოდ რამდენიმე ათეულით იყო რიგში წინ წაწეული და მომლოდინეთა რიგში 89 ადგილს იკავებდა.[140] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტთან მრავალჯერადი კომუნიკაციის

---

[137] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 2 დეკემბრის NSIS 7 21 00030417 წერილი.
[138] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის №276797/01 წერილი.
[139] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის №3648/01 წერილი.
[140] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის №165695/01 წერილი.

მიუხედავად, საბოლოოდ პატიმარს ისე გათავისუფლდა სასჯელის მოხდისგან, რომ მიიღო თუ არა საერთოდ დასახელებული სამედიცინო მომსახურება სახალხო დამცველის აპარატისთვის უცნობი დარჩა.[141]

პატიმარი ე.მ. ცხვირზე ოპერაციული მკურნალობის ჩატარების მიზნით, რეფერალის ელექტრონულ პროგრამაში დარეგისტრირდა 2020 წლის 3 ნოემბერს და 6 თვის შემდეგ, კერძოდ, 2021 წლის 5 მაისის მდგომარეობით, სამედიცინო მომსახურება კვლავ არ ჰქონდა მიღებული.[142]

მსჯვარდებულ ა.ო.-სთან დაკავშირებით კი სპეციალური პენიტენციური სამსახური სახალხო დამცველის აპარატს ატყობინებდა, რომ პატიმარი ხერხემალთან დაკავშირებით წარმოდგენილი ჩივილების საფუძველზე, კონსულტირებულ იქნა 2021 წლის 19 მაისს და 9 ივლისს ნევროლოგის მიერ, რომელსაც მიეცა რეკომენდაცია ხერხემლის კომპიუტერული ტომოგრაფიის ჩატარების თაობაზე. პაციენტი დარეგისტრირებულია რეფერალის სამედიცინო პროგრამაში და მისი რიგითი ნომერი 2021 წლის სექტემბრის ბოლოს იყო - 1149.[143]

1503-ე იყო 2021 წლის 9 ივნისის მდგომარეობით მსჯავრდებული ა.ფ., რომლის რეგისტრაციაც რეფერალების ელექტრონულ პროგრამაში 2021 წლის 21 მაისს განხორციელდა.[144] მსგავსი იყო ბრალდებულ დ.ფ.-ს შემთხვევაც, რომელსაც 2021 წლის 26 მაისს დაუდგინდა დიაგნოზი: თავის ტკივილი, ნევროტულობა და გაიცა რეკომენდაცია ფარისებრი ჯირკვლის ულტრასონოგრაფიული გამოკვლევის თაობაზე, ასევე, თავის ტვინის კომპიუტერულ-ტომოგრაფიული გამოკვლევის თაობაზე. მოთხოვნა დარეგისტრირდა 2021 წლის 28 მაისს რეფერალის ელექტრონულ პროგრამაში და 10 ივნისის მდგომარეობით მისი რიგითი ნომერი იყო - 1546.[145]

ფსიქიატრიული ექსპერტიზის გაჭიანურება

2019 და 2020 წლების მსგავსად, შესწავლილი არაერთი საქმის ანალიზით კვლავ პრობლემად რჩება ბრალდებულთა მიმართ სასამართლოს განჩინებით დანიშნული ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების გაჭიანურების საკითხი. ინდივიდუალური განცხადებების შესწავლის დროს გამოიკვეთა, რომ ბრალდებულთა მიმართ დანიშნული სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის 3-4 თვე გაჭიანურების[146] საფუძველი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროდან მიღებული პასუხების[147] თანახმად, რიგ შემთხვევებში, იყო დაგვიანებული ეტაპირება.

---

[141] გათავისუფლებული პატიმრისგან ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისთვის საჭირო გაცნობიერებული თანხმობის მოპოვება ვერ მოხერხდა.
[142] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის №103980/01 წერილი.
[143] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის N223377/01 წერილი.
[144] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის №133556/01 წერილი.
[145] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის №134566/01 წერილი.
[146] ექსპერტიზის დასკვნის მომზადება, დამკვეთი მხარისთვის ჩაბარება.
[147] 2021 წლის 30 ივნისის N5004285721 და 2021 წლის 14 დეკემბრის N5008398021 პასუხები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, ე.მ.-ს საქმე, რომელშიც ბრალდებულის მიმართ სასამართლოს განჩინებით 2021 წლის 13 მარტს დანიშნული ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩატარდა 2021 წლის 7 ივნისს, ხოლო დასკვნა დამკვეთს ჩაბარდა 30 ივნისს. ასევე, ლ. გ.-ს საქმეში 2021 წლის 6 მაისს დანიშნული ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩატარდა 2021 წლის 8 ივლისს და დასკვნა მომზადდა 28 ივლისს, ხოლო ი.ზ.-ს საქმეში 2020 წლის 6 დეკემბერს დანიშნული ექსპერტიზა ჩატარდა 2021 წლის 22 მარტს, ხოლო დასკვნა მომზადდა 30 მარტს.

საგულისხმოა, რომ სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების გაჭიანურება მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის კონკრეტულ ბრალდებულთა სამედიცინო მდგომარეობის კუთხით. პენიტენციურ დაწესებულებაში თვეების მანძილზე ყოფნის პერიოდში, ხშირ შემთხვევაში, ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ხდება დეესკალაციის საკანში მოთავსება, ვინაიდან პირი ვერ იღებს სრულფასოვან სამედიცინო (ფსიქიატრიული) მომსახურებას, ისეთს, რომელი სერვისის მიწოდებაც მისთვის შეუძლია სპეციალურ სამედიცინო დაწესებულებას .

აქციები

5 ივლისის აქცია

2021 წლის 5 ივლისს ააიპ „თბილისი პრაიდის" მიერ დაგეგმილი იყო რამდენიმე ღონისძიება, რომლის ჩაშლის მიზნით, ზურაბ მახარაძემ და „ალტ-ინფოს" სხვა წევრებმა, მედიისა და სოციალური ქსელის გამოყენებით, რამდენიმე დღით ადრე გაავრცელეს მოწოდება, დარეგისტრირებულიყვნენ „რეაგირების ჯგუფებში" და არ დაეშვათ, მათ შორის ძალადობის გამოყენებით, დაგეგმილი ღონისძიებების ჩატარება. მათ მიერ ორგანიზებულმა ჯგუფებმა 5 ივლისს, სხვადასხვა ლოკაციაზე[148] განახორციელეს ჯგუფური ძალადობა.

ძალადობის შედეგად, სხვადასხვა სახისა და ხარისხის ჯანმრთელობის დაზიანებები მიიღეს მოქალაქეებმა და ჟურნალისტებმა, არ მიეცათ შესაძლებლობა ესარგებლათ მშვიდობიანი შეკრება-მანიფესტაციის უფლებით, დაზიანდა სხვადასხვა პირის კუთვნილი ნივთები და ჟურნალისტებს ხელი შეეშალათ პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში.

გამოძიების მიმდინარეობის ფარგლებში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებით, დაზარალებულად იქნა ცნობილი 53 პირი და სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 31 პირის მიმართ.[149] აქციის მიმდინარეობისას დაზარალებული ერთ-ერთი ჟურნალისტი, ალექსანდრე ლაშქარავა 2021 წლის 11 ივლისს

[148] კერძოდ, რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოძრაობა „სირცხვილიას" და სამოქალაქო გაერთიანება „თბილისი პრაიდის" ოფისში, ასევე სხვა ლოკაციებზე.

[149] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 22 ივლისის და 9 დეკემბრის N13/44599 და N13/74440 წერილები.

გარდაიცვალა, თუმცა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მისი გარდაცვალების მიზეზი 5 ივლისს მიღებული დაზიანებები არ ყოფილა.

იმის გათვალისწინებით, რომ მედიაში გავრცელებული სიუჟეტებისა და სხვადასხვა პირების მიერ ააიპ „თბილისი პრაიდის" მიერ დაგეგმილი ღონისძიებების ჩაშლის მიზნით გაკეთებული მოწოდებებიდან მათ ქმედებებში იკვეთებოდა ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა[150] და ძალადობრივი ქმედებისკენ საჯარო მოწოდების[151] შემადგენლობის ნიშნები, საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს ზურაბ მახარაძის მიმართ ჯგუფური ძალადობის ორგანიზების ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების[152], ხოლო მოქალაქე სპირიდონ ცქიფურიშვილის მიმართ ძალადობრივი ქმედებისკენ საჯაროდ მოწოდების ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების[153] თაობაზე.

2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ზურაბ მახარაძისა და სპირიდონ ცქიფურიშვილის მიმართ აღნიშნული მუხლებით სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული არ არის.[154] ამასთან, სახალხო დამცველის აპარატს არ მიეცა აღნიშნული გამოძიების მასალების, საგამონაკლისო წესით, გაცნობის შესაძლებლობა.

20-21 ივნისის საქმე

- *გამოძიების მიმდინარეობა*

სახალხო დამცველის აპარატი 2019 წლის ივლისის თვიდან, გამოძიების მიმდინარეობის პარალელურად ეცნობა 2019 წლის 20-21 ივნისს თბილისში, პარლამენტის მიმდინარე ტერიტორიაზე საპროტესტო აქციის დაშლისას და შემდეგ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების მასალებს. შესწავლის შედეგების შესახებ ინფორმაცია პერიოდულად მიეწოდებოდა საზოგადოებას და ასევე გამოქვეყნებულ იქნა შუალედური ანგარიში[155].

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი 2021 წელსაც აგრძელებდა აღნიშნული საქმის მასალების გაცნობას, რომლის ფარგლებში საქართველოს გენერალურ პროკურატურაში განხორციელდა 4 ვიზიტი 2021 წლის ოქტომბერ-დეკემბერში.

გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გამოთხოვილ იქნა 2019 წლის 20-21 ივნისის ფაქტებზე, სხვადასხვა ეპიზოდთან დაკავშირებით გამოყოფილი და მიმდინარე გამოძიებების ფარგლებში, დაზარალებულად და ბრალდებულად ცნობილი პირებისა და

---

[150] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 225, ნაწ.1.
[151] იქვე, მუხ. 239[1], ნაწ.1.
[152] 2021 წლის 3 სექტემბრის საქართველოს სახალხო დამცველის N15-11/8584 წინადადება.
[153] 2021 წლის 3 სექტემბრის საქართველოს სახალხო დამცველის N15-11/8583 წინადადება.
[154] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 9 დეკემბრის N13/74440 წერილი.
[155] იხ. < https://bit.ly/3tYsmA3 >

საქმისწარმოების ეტაპის შესახებ.[156] საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, სისხლის სამართლის საქმეებში, უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული იყო 3 პირის მიმართ. ასევე, სისხლისსამართლებრივი დევნა ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და მასში მონაწილეობის ფაქტებზე, სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეებში სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია მპგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე ნიკანორ მელიას და 17 პირის მიმართ. ასევე 1 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა აფეთქების მომზადების ფაქტზე.

დაზარალებულად ცნობილ იქნა 27 პირი,[157] მათ შორის, 11 ჟურნალისტი.[158] ასევე, პოლიციის 68 თანამშრომელი.[159]

საქმის მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ კონკრეტული პირების დაზარალებულად ცნობა ხდება მას შემდეგ, რაც გამოძიებას გადაეცემა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" მიერ გამოძიების დადგენილებით დანიშნული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. რის შემდეგაც კონკრეტულ პირებთან ტარდება სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის, კონკრეტულად მათ ეპიზოდთან დაკავშირებული სხვადასხვა ლოკაციებზე განთავსებული სამეთვალყურეო კამერებიდან გამოძიების მიერ ამოღებული ვიდეოჩანაწერების დათვალიერება და პირების დაზარალებულად ცნობა.

აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვან პრობლემას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ" გამოძიებისათვის ექსპერტის დასკვნის გადაცემის დაგვიანება წარმოადგენს. სისხლის სამართლის საქმის მასალების თანახმად, გამოძიების მიერ 2019 წლის ივლისის თვეში დანიშნული სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნები ექსპერტების მიერ გაიცა და გამოძიებას გადაეცა 2021 წლის მარტი-სექტემბრის თვეებში, ხოლო ნაწილზე დასკვნები გამოძიებას ისევ არ აქვს მიღებული.[160]

საქმის მასალების შესწავლის შედეგად ასევე გამოიკვეთა სასამართლოს წინა წლების პრაქტიკისგან განსხვავებული მიდგომა მოქალაქეებისა და მათი ადვოკატების საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმართ. მიღებული პრაქტიკისგან განსხვავებით, როდესაც სასამართლოს მიერ ხდებოდა დაზარალებულად ცნობისთვის საკმარისი სტანდარტების არსებობის საკითხის შინაარსობრივი განხილვა, 2020-2021 წელს ადვოკატებს სასამართლოს მიერ რამდენიმე შემთხვევაში უარი ეთქვათ საჩივრის

---

[156] 2021 წლის 21 აპრილის, 10 მაისის და 2022 წლის 26 იანვრის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის N15-11/3840, N15-11/4459 და N15-2/1002 წერილები.

[157] 2022 წლის 23 თებერვლის საქართველოს გენერალური პროკურატურის N13/10284 წერილი.

[158] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 10 მარტის №13/13812 წერილი.

[159]2021 წლის 29 აპრილის, 20 მაისის და 2022 წლის 23 თებერვლის საქართველოს გენერალური პროკურატურის N13/25861, N13/29185 და N13/10284 წერილები.

[160] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის მასალების გასაცნობად ბოლო ვიზიტი შედგა 2021 წლის 15 დეკემბერს.

დაკმაყოფილებაზე ფორმალური საფუძვლით - პირის დაზარალებულად ცნობის თაობაზე განცხადება/საჩივარზე ადვოკატს უარი ეთქვა მხოლოდ პროკურატურის წერილით და არა პროკურორის დადგენილებით. შესაბამისად, სასამართლომ თავი აარიდა საჩივრის შინაარსობრივ განხილვას ფორმალური საფუძვლით.[161]

აღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ავალდებულებს პროკურატურას პირის დაზარალებულად ცნობის მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიიღოს დადგენილება. საპროცესო კანონმდებლობა პირს უფლებას ანიჭებს მიმართოს საჩივრით ზემდგომ პროკურორს და შემდეგ სასამართლოს, თუ მისი მოთხოვნა დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდება 48 საათში პროკურორის მიერ. თუმცა რა სახით უნდა იყოს გამოხატული პროკურორის უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე (დადგენილება, წერილობითი პასუხი, მიმართვის დატოვება რეაგირების გარეშე), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.[162]

აქვე აღსანიშნავია, რომ ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს დაზარალებულად ცნობის მოთხოვნაზე პროკურორმა გადაწყვეტილება კონკრეტულ ვადაში მიიღოს მხოლოდ დადგენილების სახით, სასამართლოს მიერ საჩივრის შინაარსობრივ განხილვაზე ზემოაღნიშნული ფორმალური საფუძვლით უარის თქმის პრაქტიკის დამკვიდრების შემთხვევაში შესაძლოა არსებითად შეიზღუდოს ან სულაც გაუქმდეს პირისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე პროკურატურის უარის სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა., როდესაც სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვა დამოკიდებული იქნება პროკურორის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმალურ სახეზე, რასაც არ ავალდებულებს საპროცესო კანონმდებლობა.

- *ამნისტია*

2021 წლის 7 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონი, რომლითაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შესაძლებელია გათავისუფლდეს პირები, რომლებმაც შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებები ჩაიდინეს 2019 წლის 20-21 ივნისის აქციასთან დაკავშირებით. ამნისტიის გამოყენება და, შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება არ ეხება მხოლოდ იმ პირებს (როგორც პოლიციის თანამშრომლებს, ასევე მოქალაქეებს) მიმართ, რომლებმაც 2019 წლის 20-21 ივნისის აქციასთან დაკავშირებით შესაძლოა ჩაიდინეს სსკ-ის 144^1-144^3 (წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი ან

[161] აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც რამდენიმე შემთხვევაში სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნული ფორმალური საფუძვლით ეთქვა უარი საჩივრის ავტორს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და გამოიკვეთა სასამართლოს მხრიდან წინა წლებისგან განსხვავებული პრაქტიკა, საქმეზე ზედამხედველი პროკურორისა და ზემდგომი პროკურორის მიერ ადვოკატებს პირის დაზარალებულად ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვათ დადგენილებით.

[162] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 56, ნაწ..5.

არაადამიანური მოპყრობა) და 117-ე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული.

„ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 6 პირის მიმართ, აქედან სამი პოლიციის თანამშრომელი იყო.[163]

მიუხედავად ამისა აღსანიშნავია, რომ მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია მიღებული დაზიანების მძიმე ხარისხი რამდენიმე პირის მიმართ, თუმცა, გამოძიების მასალებიდან გამომდინარე, გამოძიება მიმდინარეობს სამოხელეო დანაშაულის (333-ე) მუხლით და არა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე.

მითითებულ მუხლებთან მიმართებით ამნისტიის გამოყენების გამორიცხვა შეესაბამება სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებას წამების აკრძალვისა და სათანადო გამოძიების წარმოებასთან დაკავშირებით და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, წინააღმდეგობაში არ მოდის.

თუმცა, ნიშანდობლივია, რომ ამნისტიის შესახებ კანონი არ ითვალისწინებს იმ პირების მიმართ სახელმწიფოს მიერ ეფექტიანი დაკმაყოფილების მიღების შესაძლებლობას, ვინც სხვადასხვა სახის და ხარისხის დაზიანება მიიღეს პოლიციის ქმედებათა შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება ითვალისწინებს დაზარალებულების უფლებას აღძრას სამოქალაქო სარჩელი, აღნიშნული სამართლებრივი მექანიზმი, არსებული სამართლებრივი ბარიერების გათვალისწინებით (სარჩელის აღძვრა, სასამართლო წარმომადგენლობა, სახელმწიფო ბაჟი, მტკიცების ტვირთი) არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლიანი დაკმაყოფილების მიღების სათანადო შესაძლებლობად. ამნისტიის კანონზე მუშაობის პროცესში, საკომიტეტო განხილვებისას, სახალხო დამცველის აპარატმა პარლამენტს სწორედ ეს რეკომენდაცია მისცა, რაც პარლამენტმა, სამწუხაროდ, არ გაითვალისწინა. კერძოდ, სახალხო დამცველის აპარატი პარლამენტს სთხოვდა ამნისტიის შესახებ კანონზე მუშაობის პროცესში გაეთვალისწინებინა და დაერეგულირებინა სხვადასხვა ხარისხის დაზიანებამიღებული მოქალაქეების ეფექტიანი დაკმაყოფილების შესაძლებლობა და სპეციალური, გამარტივებული პროცედურა.

აქციებზე ადმინისტრაციული წესით დაკავებულების მიმართ არასათანადო მოპყრობა

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემად რჩება საპროტესტო აქციებზე ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების მიმართ პოლიციელების მხრიდან არასათანადო მოპყრობა შესაძლო შემთხვევები. აპარატმა შეისწავლა რამდენიმე საქმე, სადაც იკვეთებოდა პოლიციელების მხრიდან სავარაუდოდ არაპროპორციული ძალის გამოყენება.

[163] 2022 წლის 11 იანვრის საქართველოს გენერალური პროკურატურის N13/776 წერილი.

2021 წლის 12 ივლისს თბილისში პარტიის მპგ „ქართული ოცნების" მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციამ ადმინისტრაციული წესით 11 პირი[164] დააკავა. დაკავებულთაგან, მასმედიით გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტ ი. ა.-ს პოლიციელებმა ხელი მოტეხეს;[165] „გირჩი – მეტი თავისუფლების" მმართველი საბჭოს წევრს თ. კ.-ს პოლიციელების მხრიდან მიყენებული ჰქონდა დაზიანებები გულმკერდის არეში;[166] „ლელოს" წევრს თ. დ.-ს ურტყამდნენ და მაისური შემოახიეს.[167]

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა[168] 2021 წლის 12 ივლისს გამართული საპროტესტო შეკრების მიმდინარეობისას პოლიციელების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

2021 წლის 29 ნოემბერს საქართველოს მესამე პრეზიდენტის - თბილისის საქალაქო სასამართლოსთან გამართულ საპროტესტო აქციაზე ადმინისტრაციული წესით დაკავებულმა პირებმა საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულთან გასაუბრებისას მიუთითეს არასათანადო მოპყრობის თაობაზე. გ. კ. მიუთითებდა 5-6 პოლიციელის მიერ ძალის გამოყენებით დაკავებისა და მანქანაში ჩასმის, ასევე, დაკავებისას ქურთუკის დაზიანების შესახებ; ხოლო ა.ა. აღნიშნავდა პოლიციის მიერ გამოყენებული წიწაკის სპრეის შედეგად დაზიანების მიღებაზე და უხეში ფორმით დაკავებასა და ხელბორკილების მჭიდრო გამოყენებაზე.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა გამოძიება[169] დაიწყო 2021 წლის 29 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობასთან პოლიციელების მხრიდან შეკრების მონაწილეების მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე. საქმის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ჩაატარა არაერთი საგამოძიებო მოქმედება. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ინფორმაციით, გამოიკითხნენ მოწმეები, დათვალიერდა შემთხვევის ადგილი და მიმდებარე ტერიტორია, ინტერნეტ გვერდები; გამოთხოვილია იზოლატორებში წარმოებული დოკუმენტაცია, პოლიციელების დემოგრაფიული მონაცემებისა და მათ მიერ ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და იძულებითი ღონისძიებების გამოყენების და წარმოებული დოკუმენტაციის შესახებ, დაკავებული პირების, დაკავებაში მონაწილე და შემხებლობაში მყოფი სხვა პოლიციის შესახებ; სამხრე ვიდეოკამერებისა და სამსახურებრივი ავტომანქანების ვიდეორეგისტრატორების ჩანაწერების შესახებ, ტელეკომპანიებიდან - შემთხვევის ადგილზე მყოფი ჟურნალისტების შესახებ, სამედიცინო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ინფორმაცია და სამედიცინო

[164] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 19.08.2021 წ. NMIA92102193141 წერილი.
[165] იხ. < https://bit.ly/3JcmJTj >
[166] იხ. <https://rustavi2.ge/ka/news/204416>
[167] იხ. <https://bit.ly/389FrOi >
[168] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 30.07.2021 წ. N SIS42100018481 წერილი.
[169] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 10.12.2021 წ. NSIS12100031447 წერილი.

დოკუმენტაცია; სამედიცინო კლინიკიდან სამედიცინო დოკუმენტაცია და სხვა. გამოძიება გრძელდება.[170]

მიხეილ სააკაშვილის საქმე

2021 წელს მაღალი საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში საქართველოს მესამე პრეზიდენტის საქართველოში დაბრუნება და მისი დაკავების საქმე მოექცა. 2021 წლის 1 ოქტომბერს, დაკავებისა და N12 პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლებისთანავე ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა მიხეილ სააკაშვილმა შიმშილობა გამოაცხადა. ხანგრძლივი შიმშილობის შემდეგ იუსტიციის სამინისტრომ/სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა მიხეილ სააკაშვილი, 8 ნოემბერს, N18 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაიყვანა. 19 ნოემბერს კი დამძიმებული ჯანმრთელობისა და შიმშილობის შეწყვეტის შემდგომი მდგომარეობის მართვის მიზნით იგი გორის სამხედრო ჰოსპიტალში მოათავსეს.

ყოფილი პრეზიდენტის შიმშილობის პარალელურად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს/სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან პატიმრის ღირსების შემლახავი მოპყრობა დაფიქსირდა. მიხეილ სააკაშვილმა მის მიმართ პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის/ფიზიკური ძალადობის ფაქტის შესახებაც განაცხადა. პარალელურად, მას არ ეძლეოდა საპროცესო უფლებებით (დაცვის უფლება) სარგებლობის შესაძლებლობა.

სახალხო დამცველის აპარატი, დაკავების დღიდანვე აქტიურად ზედამხედველობდა მიხეილ სააკაშვილის უფლებების დაცვის საკითხს.

- არასათანადო სამედიცინო მომსახურება და ღირსების შემლახავი მოპყრობა

პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლებისთანავე მიხეილ სააკაშვილმა პროტესტის კანონით გათვალისწინებული ფორმა - შიმშილობა - გამოიყენა. მიუხედავად ამისა, პატიმრის პროტესტის ფორმაზე პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და იუსტიციის სამინსიტროს/სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან არაერთხელ გაკეთდა იმგვარი განცხადებები და გატარდა ისეთი ქმედებები, რაც ეჭვქვეშ აყენებდა პატიმრის პროტესტს. სახალხო დამცველის აპარატის მრავალწლიანი გამოცდილება ცხადყოფს, რომ მსგავსი დამოკიდებულება პატიმრებს პროტესტის ფორმის დამძიმებისკენ ან/და სამედიცინო მომსახურების მიღების შეწყვეტისკენ უბიძგებს. შესაბამისად, აპარატმა ცალსახად უარყოფითად და პატიმრის ჯანმრთელობისთვის დამატებითი რისკების შექმნის მცდელობად შეაფასა მსგავსი ქმედებები.[171]

მიუხედავად ამისა, მოგვიანებით, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა საჯაროდ, მიხეილ სააკაშვილის მიერ კვების დაწყებასთან დაკავშირებით ინფორმაცია გაავრცელა. მსგავსი

[170] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 10 დეკემბრის SIS 1 21 00031447 წერილი.
[171] იხ. < https://bit.ly/3u7Br9T >

ინფორმაცია მიეწოდა საქართველოს პარლამენტის წევრს სადეპუტატო კითხვის პასუხად, რაც ასევე გასაჯაროვდა.

ფაქტი სახალხო დამცველის აპარატმა გადაამოწმა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პატიმარი ექიმის დანიშნულებით, მცირე ოდენობით, წვენებსა და მინერალური შემცველობის დანამატებს/პიურეებს რამდენიმე დღის მანძილზე იღებდა. პატიმრის მოწოდებული ინფორმაციით ამ დანამატების მიღების აუცილებლობაში სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა დაარწმუნა და აუხსნა, რომ ამ დანამატების მიღება ხდებოდა მედიკამენტების ჩანაცვლების მიზნით. აპარატის მიერ დოკუმენტების ადგილზე გაცნობის შემდეგ დადასტურდა, რომ დანამატების მიღების მიუხედავად, არ მომხდარა შიმშილობის ფორმის ცვლილება და ციხის ადმინისტრაციისა და სამედიცინო პერსონალის შეფასებით, პატიმარი აგრძელებდა შიმშილობას. მინისტრის მხრიდან კი მოცემულობის არასწორი ინტერპრეტაციით გასაჯაროვებამ, მოშიმშილე პატიმრის მხრიდან რადიკალური ზომების მიღება განაპირობა და პატიმარმა შეწყვიტა სამედიცინო პერსონალის მიერ დანიშნული დანამატების და მედიკამენტების მიღება.

მსგავსი ქმედებები სახალხო დამცველმა შეაფასა არა მხოლოდ კონკრეტული პატიმრის, არამედ ყველა სხვა პატიმრისთვის დამაზიანებელ მოქმედებად, ვინაიდან იგი უდიდეს დარტყმას აყენებს პატიმართა ნდობას სამედიცინო პერსონალისადმი და უბიძგებს პატიმრებს არ მიიღონ სამედიცინო დანიშნულება, რაც მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის კიდევ უფრო მეტად დამძიმებას გამოიწვევს.[172]

მიხეილ სააკაშვილის მიერ გამოცხადებული შიმშილობის ფონზე ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმებასთან ერთად დაიწყო მისი სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის საკითხზე მსჯელობა. გადაყვანას აქტიურად მოითხოვდა სახელმწიფოს მიერ შექმნილ[173] ექიმთა კონსილიუმი, რომელიც ჩართული იყო მოშიმშილე მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მართვის პროცესში. ექიმთა მულტიფუნქციური ჯგუფი ითხოვდა მიხეილ სააკაშვილის გადაყვანას ისეთ სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც შესაძლებელი იქნებოდა კონკრეტული სამედიცინო ინტერვენციების ჩატარება და იქნებოდა შესაბამისი აღჭურვილობა.[174]

იმ ფონზე, რომ საჯაროდ[175] ყველაზე ხშირად მიხეილ სააკაშვილის სპეციალური პენიტენციური სამსახურის N18 სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის გეგმა

---

[172] იხ. < https://ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsveli-ekhmaureba-mikheil-saakashvilis-mier-kvebis-datsqebastan-dakavshirebit-arastsori-informatsiis-gavrtselebis-fakts >

[173] იხ. <https://justice.gov.ge/?m=articles&id=uqVflGUIwQ >, < https://justice.gov.ge/?m=articles&id=dK0s4n51S0 >

[174] მაგალითად, ექიმთა მულტიფუნქციური ჯგუფის 2021 წლის 23 ოქტომბრის დასკვნის თანახმად, საჭირო იყო მიხეილ სააკაშვილის გადაყვანა ისეთ სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდებოდა მაგნიტო-რეზონანსული გამოკვლევა, კომპიუტერული ტომოგრაფია, დუპლექს-სკანირება და სხვა.

[175] მაგ., იხ. < https://pia.ge/news/politika/gldanis-tsikhe-saakashvilis-misaghebad-mzad-aris---rati-bregadze >, < https://www.radiotavisupleba.ge/a/31534351.html >

ჟღერდებოდა, სახალხო დამცველის აპარატმა ორჯერ შეამოწმა ეს დაწესებულება. შემოწმებების მიზანი იყო N18 დაწესებულების მიხეილ სააკაშვილის მიღებისთვის მზადყოფნის ხარისხის შემოწმება და იმ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, რაც სახელმწიფო სამედიცინო კონსილიუმის დასკვნაში იყო მითითებული. 2021 წლის 24 ოქტომბრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ N18 დაწესებულებაში არსებული ვითარება, სამედიცინო უზრუნველყოფის კუთხით, სრულფასოვნად არ შეესაბამებოდა ექიმთა მულტიფუნქციური ჯგუფის მიერ გაცემულ დასკვნასა და რეკომენდაციებს. ასევე, არსებობდა რისკები მიხეილ სააკაშვილის უსაფრთხოების თვალსაზრისით.[176]

განმეორებითმა ვიზიტმა, 2021 წლის 4 ნოემბერს, კვლავ დაადასტურა, რომ N18 დაწესებულება, გარკვეული დადებითი ცვლილებების განხორციელების მიუხედავად, კვლავ არ იყო მზად მიხეილ სააკაშვილისთვის იმ სამედიცინო სერვისის მისაწოდებლად, რასაც სახელმწიფო კონსილიუმი საჭიროდ მიიჩნევდა. სიტყვიერი დაპირისპირებისა და შეურაცხყოფების მიყენების საფრთხის პარალელურად კი კვლავ რჩებოდა N18 და N8 დაწესებულებების დეზორგანიზებისა და უსაფრთხოების რისკები.[177]

რისკების თაობაზე სახალხო დამცველის გაფრთხილებების მიუხედავად, 8 ნოემბერს, იუსტიციის სამინისტრომ/პენიტენციურმა სამსახურმა მოშიმშილე მიხეილ სააკაშვილი ძალის გამოყენებით მაინც N18 დაწესებულებაში გადაიყვანა. დაწესებულებაში მიხეილ სააკაშვილის მიყვანას N8 პენიტენციური დაწესებულების პატიმართა მხრიდან შეურაცხმყოფელი და მუქარის შემცველი შეძახილები მოყვა, რაც ცალსახად ფსიქოლოგიურ ზეწოლას წარმოადგენდა და რითიც სახელმწიფომ ადამიანის ღირსების პატივისცემის ვალდებულება დაარღვია.[178]

2021 წლის 11 ნოემბერს N18 სამედიცინო დაწესებულებაში მიხეილ სააკაშვილის მისი ნების საწინააღმდეგოდ, ძალის გამოყენებით შესახლების ამსახველი კადრები გავრცელდა იუსტიციის სამინისტროს მიერ. ვიდეოჩანაწერები სრულად და უწყვეტად არ ასახავდა რელევანტურ ეპიზოდს, ხოლო კომპილაციაში მოხვედრილ რამდენიმე ეპიზოდში პატიმარი ნახევრად შიშველ, დამამცირებელ მდგომარეობაში იყო აღბეჭდილი.

იუსტიციის მინისტრის ცნობით, ვიდეოჩანაწერების ნაკრების გავრცელება მიზნად ისახავდა ადვოკატის განცხადებების უარყოფას მიხეილ სააკაშვილის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. თუმცა, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ აბსტრაქტულ ლეგიტიმურ მიზანზე მითითებით და სრულიად არაპროპორციული, შეურაცხმყოფელი ფორმით პატიმარ მიხეილ სააკაშვილის კადრების გავრცელებით დაირღვა მისი პატივის, ღირსებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. ადვოკატის პოზიციის გასაბათილებლად, გამოძიებისთვის აღნიშნული ვიდეომასალების

[176] იხ. < https://bit.ly/3iWNboZ >
[177] იხ. < https://ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakartvelos-sakhalkho-damtsvelma-mikheil-saakashvilis-mighebistvis-n18-samkurnalo-datsesebulebis-mzadqofnis-khariskhi-kidev-ertkhel-sheamotsma >
[178] იხ. < https://bit.ly/3LCvjfF >

სრულად მიწოდებასთან ერთად, შესაძლებელი იყო შერჩეულიყო უფლების ნაკლებად მზღუდავი სხვა საშუალება.[179]

იმის მიუხედავად, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ N18 დაწესებულების ორგზის შემოწმებამ ცხადყო, რომ დაწესებულება არ იყო მზად იმ სამედიცინო სერვისის მისაწოდებლად, რასაც სახელმწიფო კონსილიუმი ითხოვდა, მეორე მხრივ - თავად სახელმწიფო კონსილიუმს აღარ ეძლეოდა პაციენტის მონახულებისა და N18 დაწესებულებაში ვიზიტის შესაძლებლობა, პატიმარი მიხეილ სააკაშვილი კი შიმშილობას კვლავ აგრძელდებდა და უცნობი იყო რეალური სურათი მისი ჯანმრთელობის მდგომაროების მართვის ადეკვატურობასთან დაკავშირებით, შიმშილობის 47-ე დღეს, სახალხო დამცველმა მულტიპროფილურ ექსპერტთა/სპეციალისტთა ჯგუფი შექმნა.[180] ჯგუფის მიზანი ბრალდებულ/მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილისთვის მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ადეკვატურობისა და დროულობის შეფასება წარმოადგენდა. ჯგუფი მოქმედებდა სახალხო დამცველის მანდატის ფარგლებში და არ ერთვებოდა პაციენტის მკურნალობის უშუალო პროცესში.[181]

ექსპერტთა ჯგუფმა ჯამში 5 ვიზიტი განახორციელა მიხეილ სააკაშვილთან. პირველი ორი ვიზიტი განხორციელდა N18 დაწესებულებაში. პირველი, კერძოდ, 2021 წლის 17 ნოემბრის ვიზიტის შედეგად სახალხო დამცველის ექსპერტთა ჯგუფმა პაციენტის მდგომარეობის კრიტიკულობიდან გამომდინარე, გასცა რეკომენდაცია, რომ პაციენტის მკურნალობა დაუყოვნებლივ გაგრძელებულიყო ფუნქციურად გამართულ და დიდი გამოცდილების მქონე პოლიპროფილურ ჰოსპიტალში, კერძოდ ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში, რის პირობებსაც სპეციალური პენიტენციური სამსახურის N18 დაწესებულების კლინიკა არ აკმაყოფილებდა.[182] იგივე რეკომენდაცია იქნა გამეორებული 2021 წლის 18 ნოემბრის ვიზიტის შედეგად, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმებისას (დაფიქსირდა ვერნიკეს ენცეფალოპათიით გამოწვეული გულყრა).[183]

სამწუხაროდ, იმის მიუხედავად, რომ სამედიცინო სფეროს არც ერთ წარმომადგენელს ეჭქვეშ არ დაუყენებია სახალხო დამცველის მანდატით მომუშავე დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტების მოსაზრებები/დასკვნები, დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც მპგ

---

[179] იხ. < https://ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsveli-mikheil-saakashvilis-n18-datsesebulebashi-shesakhlebis-kadrebis-gavrtselebas-ekhmianeba >

[180] იხ. < https://ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsvelma-mikheil-saakashvilis-sameditsino-momsakhurebis-monitoringis-miznit-multiprofilur-ekspertta-jgufi-shekmna >

[181] იხ. < https://ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-jandatsvis-saministros-tkhovnaze-mikheil-saakashvilis-klinikuri-martvis-protsesshi-ekspertta-chartvastan-dakavshirebit >

[182] იხ. < https://ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsvelis-mier-shekmnili-spetsialisttaekspertta-jgufis-daskvna-mikheil-saakashvilis-sameditsino-mdgomareobis-monitoringis-shedegebis-shesakheb >

[183] იხ. < https://ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsvelis-mier-shekmnilma-spetsialisttaekspertta-jgufma-mikheil-saakashvilis-janmrtelobis-mdgomareobis-damdzimebis-gamo-n18-datsesebulebashi-damatebiti-viziti-ganakhortsiela >

„ქართული ოცნების" თავმჯდომარე დაემუქრა სახალხო დამცველსა და ექსპერტებს, მათ მიერ, შესრულებული საქმიანობის გამო.[184]

სახალხო დამცველის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაზე დაყრდნობით, 2021 წლის 19 ნოემბერს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოცემული დროებითი გადაწყვეტილების საფუძველზე, საბოლოოდ იუსტიციის სამინისტრომ/პენიტენციურმა სამსახურმა მიხეილ სააკაშვილი N18 დაწესებულებიდან სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანა.

გორის სამხედრო ჰოსპიტალში მოთავსებისას და ჰოსპიტალიდან N12 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგ, სახალხო დამცველის ექსპერტთა ჯგუფმა მიხეილ სააკაშვილი დამატებით სამჯერ მოინახულა. შიმშილობის შეწყვეტის შემდგომ კვების აღდგენის (რეფიდინგის) პროცესში მიღწეული დადებითი შედეგების (სასიცოცხლო რისკების მოხსნა) შემდეგ, ამ უკანასკნელი სამი ვიზიტისას პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის (ნევროლოგიური სტატუსის მიმართულებით) არსებითი გაუმჯობესება დინამიკაში ვერ გამოვლინდა. პაციენტის ფსიქოთერაპიული და ფიზიკური რეაბილიტაციის საკითხი კვლავ არსებით პრობლემად დარჩა.[185]

მიუხედავად მრავალჯერადად გაცემული რეკომენდაციისა, იმასთან დაკავშირებით, რომ პაციენტს აქვს პოსტტრავმული სტრესული აშლილობა და დეპრესია, რომელიც საჭიროებს ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ რეაბილიტაციას, სამწუხაროდ, ეს მკურნალობა არ ჩატარდა. პაციენტის მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესდა. ექსპერტთა ჯგუფმა, სხვა საკითხებთან ერთად, ხაზგასმით განაცხადა, რომ მათ მიერ რეკომენდებულ ღონისძიებათა ჩაუტარებლობის შემთხვევაში, მოსალოდნელია მდგომარეობის დამძიმება, კერძოდ, სტრესული აშლილობისა და დეპრესიის გაღრმავება. [186]

- სავარაუდო არასათანადო მოპყრობა

8 ნოემბერს, გლდანის N18 დაწესებულებაში შესახლების შემდეგ, სახალხო დამცველის მიერ მიხეილ სააკაშვილის მონახულებისას, პატიმარმა განმარტა, რომ N18 დაწესებულებაში მისი შესახლება მის მიმართ ძალის გამოყენებით განხორციელდა.[187] ამ ფაქტთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა დაუყოვნებლივ აცნობა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, რომელმაც თავის მხრივ მიხეილ სააკაშვილის მიმართ განხორციელებული შესაძლო არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

---

[184] იხ. < https://bit.ly/3tXcJZu >

[185] იხ. <https://bit.ly/3wWCvyP>, < https://ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsvelis-mier-shekmnil-spetsialisttaekspertta-jgufis-daskvna-n4-mikheil-saakashvilis-sameditsino-mdgomareobis-monitoringis-shedegebis-shesakheb >, < https://bit.ly/3uJHP69>

[186] იხ. < https://ombudsman.ge/geo/190411044320siakhleebi/sakhalkho-damtsvelis-mier-shekmnil-spetsialisttaekspertta-jgufis-daskvna-n5-mikheil-saakashvilis-sameditsino-mdgomareobis-monitoringis-shedegebis-shesakheb >

[187] იხ. <https://bit.ly/38kWjls >

სახალხო დამცველის აპარატმა მჭიდროდ ითანამშრომლა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან, გამოძიებას მიაწოდა სრული ინფორმაცია, სახალხო დამცველის აპარატში დაცული სრული რელევანტური დოკუმენტაცია და სახალხო დამცველის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, ინსპექტორის სამსახურში გამოიკითხნენ სახალხო დამცველის რწმუნებულები, მათ შორის, სპეციალური რწმუნებით აღჭურვილი სამედიცინო ექსპერტები.

გამოძიების მიმდინარეობის პროცესს სახალხო დამცველის აპარატი დღემდე დეტალურად ამონიტორინგებს, პერიოდულად ითხოვს გამოძიებისგან მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას.

- მიხეილ სააკაშვილის დაცვის უფლების დარღვევა

მიხეილ სააკაშვილს, 2021 წლის 10, 15 და 16 ნოემბერს, 3 სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე არ მიეცა სასამართლოს წინაშე წარდგომის შესაძლებლობა. სამივე შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილის სასამართლოში მიყვანაზე უარი განაცხადა სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა. ბრალდებულის მიყვანაზე უარის მიზეზად პენიტენციურმა სამსახურმა მიხეილ სააკაშვილის მიერ მკურნალობის შეწყვეტა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მიმდინარე გამოძიება დაასახელა, რაც სასამართლომ დამატებითი კრიტიკული მსჯელობის გარეშე გაიზიარა.

სახალხო დამცველმა საჯარო განცხადებით მიუთითა, რომ ორივე აღნიშნული საფუძველი დაუსაბუთებელი იყო - შიმშილობის გამო პატიმრის გადაყვანაზე უარი ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ პროტოკოლს, ხოლო უსაფრთხოების მიზეზებით პატიმრის გადაყვანაზე უარის თქმას საერთოდ არ იცნობს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მიმდინარე საქმის გამოძიებაზე მითითება, გამოძიების ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადის გათვალისწინებით, ბრალდებულის დაცვის უფლების კანონშეუსაბამოდ, თვითნებურად და პერმანენტულად შეზღუდვის შესაძლებლობას ქმნიდა, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლებას უხეშად არღვევდა.[188]

- სახალხო დამცველის აპარატის შეფერხება მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობის მონიტორინგის პროცესში

მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობის მონიტორინგისას სახალხო დამცველის აპარატს რამდენჯერმე შეექმნა დაბრკოლება. შეფერხება გამოიხატა როგორც გორის სამხედრო ჰოსპიტალში, ისე N12 დაწესებულებაში შესვლის პროცესში. ხანგრძლივი დაყოვნების ან შესვლაზე უარის თქმის შემთხვევები მხოლოდ მაშინ ხდებოდა, როდესაც სახალხო დამცველის აპარატი ვიზიტს სახალხო დამცველის ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან ერთად ახორციელებდა. ნიშანდობლივია, რომ სახალხო დამცველის აპარატს ამგვარი

[188] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 16 ნოემბრის საჯარო განცხადება. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3If2R1t> [18.01.2022].

განმეორებითი, ხანგრძლივი ხასიათის დაყოვნება/შეფერხება ერთსა და იმავე პატიმართან შეხვედრის პროცესში არასდროს შექმნია.

დაწესებულებაში შესვლისას ხანგრძლივი დაყოვნების (დაახლოებით 1.5 საათი) თითო-თითო შემთხვევა დაფიქსირდა გორის სამხედრო ჰოსპიტალსა (23.11.2021) და N12 დაწესებულებაში (11.01.2022), ხოლო ერთ შემთხვევაში (28.12.2021) სახალხო დამცველის რწმუნებულსა და სპეციალური რწმუნებით დროებით მოსარგებლე სამედიცინო ექსპერტს საერთოდ არ მიეცათ გორის სამხედრო ჰოსპიტალში შესვლის შესაძლებლობა.

სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალიდან სახალხო დამცველის აპარატმა მოითხოვა წერილობითი ახსნა-განმარტება დაწესებულებაში შესვლაზე უარის თქმასთან დაკავშირებით. ჰოსპიტალის მიერ მითითებული განმარტებები[189] არ გამომდინარეობს კანონმდებლობიდან და ვერ ხსნის სახალხო დამცველის კონსტიტუციური მანდატის დარღვევის ფაქტს. ჰოსპიტალი მიუთითებს, რომ ვიზიტი განხორციელდა არასამუშაო საათებში, პატიმრის მკურნალი ექიმი ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე არ იყო ხელმისაწვდომი და რომ პატიმარი ისვენებდა. ჰოსპიტალმა ვერ შეძლო ფორმალური მიზეზი მაინც მოეყვანა იმისა, თუ რატომ არ მიეცათ რწმუნებულებს პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციის გაცნობის შესაძლებლობა. ხოლო ის დასაბუთება რაც გორის სამხედრო ჰოსპიტალმა წარმოადგინა, ვერ გაამართლებს დაწესებულების უკანონო ქმედებას, რამდენადაც სახალხო დამცველის აპარატის მანდატი შეუზღუდავია პატიმრების მონახულებისა და რელევანტური დოკუმენტაციის გაცნობის პროცესში.

დაწესებულებებში შესვლის პროცესის შეფერხებისას ჩანდა, რომ დაბრკოლებები გამოწვეული იყო მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის საკითხის სხვადასხვა პირებთან თუ უწყებებთან შეთანხმების პროცესით. გადაწყვეტილებები არ მიიღებოდა ადგილობრივი უფლებამოსილი პირების მიერ და სახალხო დამცველის რწმუნებულებს განემარტებოდათ, რომ სატელეფონო კომუნიკაციის შედეგად მათ უნდა მიეღოთ თანხმობა სხვებისგან (სხვათა ვინაობა არ ზუსტდებოდა).

სისტემური ხარვეზები პენიტენციურ სისტემაში

წინამდებარე თავში განხილული იქნება პატიმართა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკის ხარვეზები და პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხები. ამ თემების გარშემო არაერთი პატიმარი საუბრობს ინდივიდუალურ განცხადებებსა და საჩივრებში, შესაბამისად ამ საკითხის გარშემო აპარატი პროაქტიულად საქმიანობს.

[189] სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის 2022 წლის 25 იანვრის MOD 0 22 00074191 წერილი.

საშეღავათო მექანიზმები პენიტენციურ სისტემაში

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა არაერთხელ შეისწავლა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების (შემდეგში - ადგილობრივი საბჭოები) გადაწყვეტილებები მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ და გამოვლენილი ხარვეზები ასახა სახალხო დამცველის სპეციალურ[190] და წლიურ ანგარიშებში.[191]

სამწუხაროდ, 2021 წელს ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა კვლავაც ხასიათდება ანალოგიური ხარვეზებით და ამ მიმართულებით ხელშესახები ცვლილებები არ იკვეთება. სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა და შეისწავლა ექვსივე ადგილობრივი საბჭოს მიერ პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის თაობაზე 2021 წლის მარტსა და ოქტომბერში მიღებული 1 777 გადაწყვეტილება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2019 წელთან შედარებით, 2020 და 2021 წლებში მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების სტატისტიკა, სამწუხაროდ გაუარესებულია. კერძოდ, 2019 წელს პირობით ვადამდე 1 279 მსჯავრდებული გათავისუფლდა, ხოლო, 2020 წელს - 830[192]. აღნიშნული უარყოფითი ტენდენცია შენარჩუნდა 2021 წელსაც - პირობით ვადამდე მხოლოდ 829 პატიმარი გათავისუფლდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელს, წინა წელთან შედარებით სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის სტატისტიკა გაუმჯობესებული იყო. კერძოდ, 2019 წელს სასჯელი შეეცვალა 236 მსჯავრდებულს, 2020 წელს კი - 545

---

190 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf> - საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში." 2019 წ.; <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019041114483621063.pdf> - საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა." 2014 წ.

191 მაგ. იხ. <https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf> - საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", 2020 წ. გვ.107-110.; ასევე, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2020 წლის ანგარიში, < https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040113411364936.pdf > გვ. 25-29.

192 <https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf> - საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ". 2020 წ. გვ. 108.

მსჯავრდებულს.[193] სამწუხაროდ, 2021 წელს, ამ მიმართულებითაც კლება გვაქვს, კერძოდ, აღნიშნული შეღავათი გამოყენებულ იქნა 440 პატიმრის მიმართ.[194]

ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის ანალიზის შედეგად, კვლავაც გამოიკვეთა გადაწყვეტილებათა დაუსაბუთებლობის, იდენტური მოცემულობის მქონე საქმეებში არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებების მიღებისა და სხვა სახის პრობლემები, რომელთა დეტალური ანალიზი შემდგომ ქვეთავებში იქნება წარმოდგენილი.

გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა

უარყოფითი გადაწყვეტილებები

ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ კონკრეტულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების სათანადო დასაბუთების საკითხი კვლავაც მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთების ნაწილში, საბჭოები შაბლონურად მიუთითებენ იმ კრიტერიუმებზე, რომლებსაც ეყრდნობიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში. დასაბუთება არ შეიცავს მსჯელობას მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესზე და მის დინამიკაზე. ხოლო, უარყოფითი გადაწყვეტილების განმსაზღვრელ მთავარ კრიტერიუმად კი კვლავაც რჩება ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და სიმძიმე. მსგავსი მიდგომა გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის პრობლემას უფრო მწვავედ წარმოაჩენს ისეთ საქმეებში, სადაც პატიმარი ხასიათდება დადებითად და სასჯელის მოხდის განმავლობაში მისი ქცევა პოზიტიურია, რაც ქმნის მის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათის შესაძლო გამოყენების წინაპირობას. პატიმრისთვის გაუგებარი რჩება რა ქმედებები უნდა განახორციელოს მან დამატებით, რას ელის მისგან საბჭო იმისთვის, რომ განმეორებითი განხილვისთვის მაინც დააკმაყოფილოს გათავისუფლების კრიტერიუმები.

საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ ადგილობრივი საბჭოების რამდენიმე გადაწყვეტილებას:

> *საქმე N1. გადაწყვეტილების თანახმად, პირი მსჯავრდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, რისთვისაც სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულს სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია, სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილი არ ყოფილა, ხოლო, წახალისებულია 6-ჯერ, დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მიმართ არის ნორმალურ დამოკიდებულებაში, სამართლებრივი რეჟიმის მოთხოვნათა დარღვევაში შემჩნეული არ ყოფილა, არ არის კონფლიქტური და აგრესიული, წარსულში ნასამართლევი არ არის... საბჭომ საკითხის განხილვისას გაითვალისწინა მსჯავრდებულის ოჯახური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მისი ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში და ის გარემოება, რომ ნასამართლევი არ არის, თუმცა, ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ სახეზეა სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული, კერძოდ, განზრახ მკვლელობა.*

---

[193] იქვე.

[194] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2022 წლის 10 იანვრის №5083/01 წერილი.

ვინაიდან, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების მიზნებისთვის განსაკუთრებით უარყოფით როლს თამაშობს სწორედ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და დანაშაულის ხასიათი, საბჭომ, ამ ეტაპზე მიიჩნია, რომ ამ კრიტერიუმების თანხმლები ნეგატიური მოსაზრებები ვერ გააბათილა და ვერ გადაწონა სხვა დადებითი კონტექსტის კრიტერიუმებმა.[195]

საქმე N2. პირი მსჯავრდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (2 ეპიზოდი), რისთვისაც სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის და 6 თვის ვადით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის საფუძველზე, 1 წელი და 6 თვე განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო, 3 წელი ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მსჯავრდებულმა დაზარალებულებს ზიანი აუნაზღაურა, წარმოდგენილია მათი თანხმობა. მსჯავრდებულს სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია, სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა. დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართ არის ნორმალურ დამოკიდებულებაში, სამართლებრივი რეჟიმის მოთხოვნათა დარღვევაში შემჩნეული არ ყოფილა. არ არის კონფლიქტური და აგრესიული. წარსულში ნასამართლევი არ არის. საბჭომ, საკითხის განხილვისას, გაითვალისწინა მსჯავრდებულის ოჯახური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მისი ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში, დაზარალებული მხარის პოზიცია და ის გარემოება, რომ ნასამართლევი არ არის, თუმცა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ სახეზეა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული მძიმე კატეგორიის დანაშაული, კერძოდ, ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამიწვია, სადგომში ან საცავში უკანონო შეღწევით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. ვინაიდან, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების მიზნებისთვის განსაკუთრებით უარყოფით როლს თამაშობს სწორედ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და დანაშაულის ხასიათი, საბჭომ ამ ეტაპზე მიიჩნია, რომ ამ კრიტერიუმების თანხმლები ნეგატიური მოსაზრებები ვერ გააბათილა და ვერ გადაწონა სხვა დადებითი კონტექსტის კრიტერიუმებმა.[196]

შეფასება: მოცემულ საქმეთა ანალიზი აჩვენებს, რომ მსჯავრდებულების ქცევა სასჯელის მოხდის განმავლობაში პოზიტიურია და მათ მხარეს იკვეთება არაერთი დადებითი მნიშვნელობის მქონე მახასიათებელი. თუმცა, საბჭო არ მსჯელობს, თუ რატომ ვერ გადაწონა მსჯავრდებულების დადებითმა ქცევამ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის დამახასიათებელი უარყოფითი მნიშვნელობის კრიტერიუმი, არ ასაბუთებს ასევე იმ გარემოებას, თუ რატომ ენიჭება სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების მიზნებისთვის განსაკუთრებით უარყოფითი მნიშვნელობა ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეს, მაშინ როდესაც კანონმდებლობა, შეფასების პროცესში სახელმძღვანელო რომელიმე კრიტერიუმს არ ანიჭებს განსაკუთრებულ უპირატესობას სხვა კრიტერიუმთან მიმართებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეზე ხაზგასმა ხშირად გვხდება არამხოლოდ განსაკუთრებით მძიმე და ძალადობრივი ხასიათის მქონე

[195] სპეციალური პენიტენციური სამსახურის დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება.

[196] სპეციალური პენიტენციური სამსახურის დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება.

ქმედებისთვის მსჯავრდებულ პირთა საქმეებში, არამედ, მსგავსი მიდგომა ვლინდება ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირთა საქმეებშიც:

> *საქმე N1. მოცემულ საქმეში პირი მსჯავრდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით, რისთვისაც სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 თვის ვადით, დამატებითი სასჯელის სახით - ჯარიმა 5000 ლარი. მსჯავრდებულს სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა, ავლენს მზაობას, იგი იცავს პენიტენციურ დაწესებულებაში კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოვალეობებს, დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და სხვა მსჯავრდებულთა მიმართ თავაზიანია, ნასამართლობის არმქონე. საკითხის განხილვისას საბჭომ გაითვალისწინა მსჯავრდებულის ოჯახური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, ის ფაქტი, რომ არ არის ნასამართლევი, თუმცა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მსჯავრდებულმა ჩაიდინა მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა. საბჭომ, ამ ეტაპზე მიიჩნია, რომ ამ კრიტერიუმის თანხმლები ნეგატიური მოსაზრებები ვერ გააბათილა და ვერ გადაწონა სხვა დადებითი კონტექსტის კრიტერიუმებმა.[197]*
>
> *შეფასება: როგორც ვხედავთ, პირი მსჯავრდებულია ნაკლებად მძიმე, არაძალადობრივი ხასიათის დანაშაულისთვის. ასევე, სასჯელის მოხდის განმავლობაში იგი ხასიათდება დადებითად. თუმცა, ადგილობრივი საბჭოს მიდგომა არც ამ შემთხვევაში იცვლება და კვლავაც მიუთითებს მხოლოდ დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეზე.*

უარყოფითი გადაწყვეტილების შედარებით მრავალფეროვანი დასაბუთების ერთი შემთხვევა გამოვლინდა ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებაში, რაც მისასალმებელია. კერძოდ, ხსენებულ საქმეში უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისას, საბჭო, ყურადღებას ამახვილებს რა ნეგატიური კონტექსტის მახასიათებლებზე, აღნიშნავს - „წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ მსჯავრდებულს არ აქვს მატერიალური თუ მორალური მხარდაჭერა ოჯახის მხრიდან სხვადასხვა გარემოებების გამო. აღნიშნული კი, წარმოადგენს დანაშაულებრივი ქმედების რისკ-ფაქტორს, რამაც შესაძლოა კვლავ უბიძგოს მსჯავრდებულს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისკენ."

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ქალ მსჯავრდებულთა და არასრულწლოვნების საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებები, სხვა ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებებთან შედარებით გაცილებით ინფორმატიულია. კერძოდ, გადაწყვეტილებებში მოცემულია სოციალური მუშაკის დასკვნა მსჯავრდებულთა ოჯახისა და იმ გარემო-პირობების შესახებ, სადაც მსჯავრდებული უნდა დაბრუნდეს შესაძლო გათავისუფლების შემთხვევაში. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ადგილობრივ საბჭოს ჰქონდეს ხელთ ასეთი მოცულობითი ინფორმაცია თითოეული მსჯავრდებულის შესახებ, რაც მათ დაეხმარებათ თითოეულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

დადებითი გადაწყვტილებები

[197] სპეციალური პენიტენციური სამსახურის დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება.

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელის შეცვლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა ისევ პრობლემად რჩება შუამდგომლობების დაკმაყოფილების შემთხვევებშიც. უფრო მეტიც, დადებით გადაწყვეტილებებში დაუსაბუთებლობის პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ იჩენს თავს, ვინაიდან, ამ სახის გადაწყვეტილებებს ადგილობრივი საბჭოები საერთოდ არ ასაბუთებენ, არ მიუთითებენ არცერთ კრიტერიუმზე და არ გვხდება მსჯელობა, თუ რის საფუძველზე, რა დადებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტორების გავლების შედეგად იქნა მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილება. მსგავსი მიდგომა, ისეთი საქმეების შემთხვევაში, სადაც მსჯავრდებულის მხარეს არაერთი უარყოფითი მახასიათებელია, ობიექტურ დამკვირვებელში შესაძლოა აჩენდეს მიკერძოების განცდას.

მაგალითისთვის ქვემოთ განვიხილავთ ორ საქმეს, სადაც ადგილობრივი საბჭო იღებს დადებით გადაწყვეტილებას, თუმცა, არსებული პრაქტიკის მიხედვით, არ გვთავაზობს სათანადო დასაბუთებას:

> *საქმე N1. საქმის ფაბულის თანახმად, პირი მსჯავრდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, რისთვისაც სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. მსჯავრდებული სასჯელის მოხდის პერიოდში ესწრებოდა დაწესებულებაში ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებს, დასჯილი იყო ორჯერ, წახალისებული არ ყოფილა, ბოლო პერიოდში რაიმე სარეჟიმო მოთხოვნების დარღვევაში შემჩნეული არ ყოფილა, დაწესებულების ადმინისტრაციისა და მსჯავრდებულთა მიმართ თავაზიანია, ნასამართლევია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით. საბჭოს გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა შუამდგომლობა და მსჯავრდებული გათავისუფლდა პირობით ვადამდე 8 თვით ადრე.[198]*
>
> *საქმე N2. მოცემული საქმის თანახმად, პირი მსჯავრდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (3 ეპიზოდი), რისთვისაც სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა წინა განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, საბოლოოდ, განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით. მსჯავრდებულის გადმოცემით, დაზარალებულს პრეტენზია არ გააჩნია, თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით, პირად საქმეში რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ მოიპოვება. მსჯავრდებული მონაწილეობას იღებს სპორტულ, კულტურულ და საზოგადოებისთვის მხარდამჭერ ტურნირებსა და ღონისძიებებში. სარგებლობს დაწესებულების ბიბლიოთეკით, სპორტდარბაზით. დასაქმებულია დაწესებულებაში მოქმედ პურის საცხობში და იღებს შესაბამის სახელფასო ანაზღაურებას. სასჯელის მოხდის პერიოდში იგი წახალისებული არ არის, დასჯილია 2-ჯერ. დაკისრებული დისციპლინური სახდელების მოხდის შემდეგ, დაწესებულებაში იცავს სარეჟიმო მოთხოვნებსა და კანონით დაკისრებულ მოვალეობებს.*

[198] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება.

თანამშრომლებთან და სხვა მსჯავრდებულებთან აქვს ნორმალური ურთიერთობა. მსჯავრდებული წარსულში გასამართლებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით, 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით და განსაზღვრული აქვს პირობითი მსჯავრი. ასევე, გასამართლებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, რისთვისაც განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63- მუხლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების საფუძველზე, განაჩენთა ერთობლიობით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე, 64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. საბჭოს გადაწყვეტილებით, მსჯავრდებული გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე 8 თვითა და 4 დღით ადრე. გადაწყვეტილების დასაბუთება არ არის წარმოდგენილი.[199]

შეფასება: პირველი საქმის მსგავსად, მეორე საქმეშიც, დადებით მახასიათებლებთან ერთად, სახეზე გვაქვს უარყოფითი კონტექსტის მქონე მახასიათებლებიც. კერძოდ, მსჯავრდებულს დანაშაული ჩადენილი აქვს პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში, შესაბამისად, იგი არის ნასამართლევიც. მას, ასევე, სასჯელის მოხდის პერიოდში დაკისრებული აქვს დისციპლინური სახდელები. სათანადო დასაბუთების არარსებობა კი ბუნდოვანს ხდის საბჭოს მოტივაციას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებები

ადგილობრივი საბჭოები, ხშირად განსხვავებულ გადაწყვეტილებებს იღებენ იდენტური მოცემულობის მქონე საქმეებში. ასეთი გადაწყვეტილებების სამოტივაციო ნაწილის შაბლონური და ფორმალური ხასიათი კი არ იძლევა იმის განჭვრეტის შესაძლებლობას, თუ რატომ მიიღო ადგილობრივმა საბჭომ ერთ შემთხვევაში დადებითი, ხოლო ანალოგიური ხასიათის სხვა საქმეში - უარყოფითი გადაწყვეტილება. ბუნებრივია, იდენტური მოცემულობის მქონე ყველა საქმეში ერთგვაროვანი გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული, ვინაიდან, კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას ძირითადი კრიტერიუმების გარდა, არაერთი ფაქტორი (მაგალითად, მსჯავრდებულის პიროვნება, მისი სამომავლო მიზნები და გეგმები, მზაობა გათავისუფლებისთვის, ოჯახის წევრების მხარდაჭერა, იმ ხელსაყრელი გარემო პირობების არსებობა, სადაც მსჯავრდებული გათავისუფლების შემთხვევაში უნდა დაბრუნდეს და სხვა) განაპირობებს. გადაწყვეტილებების სათანადო და ჯეროვანი დასაბუთება კი ნათელს გახდიდა ადგილობრივი საბჭოს მოტივაციას თითოეულ შემთხვევაში და არ გააჩენდა კითხვას, თუ რატომ იღებენ ადგილობრივი საბჭოები განსხვავებულ გადაწყვეტილებებს იდენტური მოცემულობის მქონე საქმეებში. მაგალითისთვის:

საქმე N1. გადაწყვეტილების თანახმად, პირი მსჯავრდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და მე-4 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით. ასევე, გაუქმდა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, 3 წელი პირობითი სასჯელი, იმავე

[199] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება.

გამოსაცდელი ვადით. მსჯავრდებულის გადმოცემით, დაზარალებული არ ჩივის, თუმცა, აღნიშნულის დამადასტურებელი საბუთი ვერ წარმოადგინა. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის პერიოდში რაიმე სახის აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია. დისციპლინური წესით დასჯილია ერთხელ, წახალისებული არ არის, ბოლო პერიოდში სარეჟიმო მოთხოვნების დარღვევაში შემჩნეული არ ყოფილა, სხვა მსჯავრდებულებთან და დაწესებულების ადმინისტრაციასთან თავაზიანია. ნასამართლევია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით, რისთვისაც განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წელი და 6 თვე, 4 წელი პირობით. ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებით, მსჯავრდებული გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან 2 თვითა და 28 დღით ადრე.[200]

საქმე N2. მოცემული საქმის მიხედვით, პირი მსჯავრდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტებით, რისთვისაც სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის და 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 2 წელი თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, მსჯავრდებულს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. მსჯავრდებულს სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია, დისციპლინური წესით დასჯილია ერთხელ, წახალისებული არ ყოფილა, მსჯავრდებული იცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, პენიტენციური დაწესებულების წარმომადგნელებისა და სხვა მსჯავრდებულთა მიმართ თავაზიანია, ნასამართლევია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით (9 ეპიზოდი), საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა", „ბ" ქვეპუნქტებით (5 ეპიზოდი) და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, რისთვისაც სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით. ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებით, მსჯავრდებული გათავისუფლდა პირობით ვადამდე 9 თვითა და 19 დღით ადრე.[201]

საქმე N3. მოცემულ საქმეში, პირი მსჯავრდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, 2 წელი პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო, 3 წელი ჩაეთვალა პირობით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის საფუძველზე, გაუქმდა წინა განაჩენით საქართველოს სისხლს სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით დანიშნული პირობითი მსჯავრი, რომელიც შთანთქა ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა. გადაწყვეტილების თანახმად, დაზარალებულს ზიანი აუნაზღაურდა და მას პრეტენზია არ გააჩნია, რაც დასტურდება ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით. მსჯავრდებულს სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია, იგი სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა, დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართ არის ნორმალურ დამოკიდებულებაში, სამართლებრივი რეჟიმის მოთხოვნათა რაიმე სახის

[200] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 1 აპრილის გადაწვეტილება.

[201] სპეციალური პენიტენციური სამსახურის დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება.

დარღვევაში შემჩნეული არ ყოფილა, არ არის კონფლიქტური და აგრესიული. მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, საბჭომ გაითვალისწინა მსჯავრდებულის ოჯახური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, დაზარალებულის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა და მისი დამოკიდებულება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციასთან, თუმცა, ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ნასამართლევია, ასევე, იმ ფაქტზე, რომ პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში ჩადენილია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული მძიმე კატეგორიის დანაშაული, კერძოდ, სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, არაერთგზის. ვინაიდან, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების მიზნებისათვის განსაკუთრებით უარყოფით როლს თამაშობს სწორედ ნასამართლობა, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და დანაშაულის ხასიათი, საბჭომ ამ ეტაპზე მიიჩნია, რომ ამ კრიტერიუმების თანხმლები ნეგატიური მოსაზრებები ვერ გააბათილა და ვერ გადაწონა სხვა დადებითი კონტექსტის კრიტერიუმებმა.[202]

შეფასება: როგორც ვხედავთ, სამივე საქმეში აღწერილი ფაქტობრივი მოცემულობა თითქმის იდენტურია. სამივე მსჯავრდებულს ჩადენილი აქვს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, კერძოდ, ქურდობა. ამასთან, სამივე შემთხვევაში დანაშაული ჩაიდინა პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში და შესაბამისად, ისინი ითვლებიან ნასამართლევებად. ასევე, ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ პირველ ორ საქმეში, მსჯავრდებულებს დაკისრებული აქვთ დისციპლინური სახდელები, რაც ადგილობრივი საბჭოების პრაქტიკის თანახმად, ხშირად ხდება უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი. ხოლო, მესამე საქმეში, მსჯავრდებული დისციპლინური წესით დასჯილი არ ყოფილა. ასევე, მის მიმართ დაზარალებულს პრეტენზია არ გააჩნია, რაც დადასტურებულია. მიუხედავად ამისა, ადგილობრივმა საბჭომ პირველ ორ შემთხვევაში მიიღო დადებითი გადაწყვეტილება და არ წარმოუდგენია რაიმე დასაბუთება, საიდანაც აღქმადი იქნებოდა საბჭოს მოტივაცია გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ხოლო, მესამე საქმეში, ადგილობრივი საბჭო იღებს უარყოფით გადაწყვეტილებას, რასაც ასაბუთებს დანაშაულის სიმძიმით, ხასიათით, მსჯავრდებულის ნასამართლობით და იმ გარემოებით, რომ დანაშაული ჩადენილია პირობითი სასჯელის მოქმედების პერიოდში.

ამდენად, ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ პრაქტიკა, სამწუხაროდ, არ შეცვლილა და ხშირ შემთხვევაში, საბჭოები საქმეთა განხილვის პროცესში არათანმიმდევრულობას იჩენენ. ამდენად, გაუგებარი რჩება, რატომ იღებენ ადგილობრივი საბჭოები განსხვავებულ გადაწყვეტილებებს იდენტური მოცემულობის მქონე საქმეებში. ბუნდოვანებას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ დადებითი გადაწყვეტილების მიღებისას, ადგილობრივი საბჭო არ წარმოადგენს დასაბუთებას და შესაბამისად, უცნობი რჩება, რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელა მან კონკრეტულ საქმეში, რატომ არ მიაქცია ყურადღება არაერთ უარყოფით მახასიათებელს და რა გახდა დადებითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

[202] სპეციალური პენიტენციური სამსახურის დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება.

დისციპლინური სახდელების გავლენა

კანონმდებლობის თანახმად, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია სასჯელის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს, რომლის ინდიკატორია მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის განმავლობაში გამოვლენილი ქცევა. ადგილობრივმა საბჭომ უნდა შეაფასოს, სახეზეა თუ არა პროგრესი, რაც უნდა გამოვლინდეს მსჯავრდებულის მხრიდან პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმისადმი პოზიტიური დამოკიდებულებით.

სამწუხაროდ, ადგილობრივი საბჭოები, ხშირ შემთხვევაში ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ აღნიშნულ კომპონენტს და ფორმალურად მიუთითებენ, რომ გაითვალისწინეს მსჯავრდებულის წახალისებისა თუ დისციპლინური სახდელის დაკისრების ფაქტები და არ მსჯელობენ მისი ქცევის ქრონოლოგიაზე, არ აფასებენ იმ გარემოებას, თუ რამდენად შეიცვალა პატიმრის ქცევა დისციპლინური სახდელის დაკისრებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. საილუსტრაციოდ, განვიხილავთ ერთ-ერთ საქმეს:

> *საქმე N1. პირი მსჯავრდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „დ" და „ვ" ქვეპუნქტით, რისთვისაც სასჯელის სახედ და ზომად განსაზღვრული აქვს თავისუფლების აღკვეთა 20 წლის ვადით. იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 13 აპრილიდან. მსჯავრდებული დისციპლინური წესით დასჯილია ერთხელ - 2009 წლის 2 ივლისს. გადაწყვეტილების თანახმად, იგი იცავს სარეჟიმო მოთხოვნებს, დაწესებულების თანამშრომელთა კანონიერ მოთხოვნებზე რეაგირებს დადებითად, დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და სხვა მსჯავრდებულთა მიმართ თავაზიანია. ადგილობრივი საბჭო, მოცემულ საქმეზე მიღებულ უარყოფით გადაწყვეტილებას, სხვა უარყოფითი კონტექსტის მახასიათებლებთან ერთად ასაბუთებს იმით, რომ მსჯავრდებულის ქცევამ სასჯელის მოხდის პერიოდში გამოიწვია დისციპლინური ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა.*[203]
>
> *შეფასება: როგორც ვხედავთ, განხილულ საქმეში, მსჯავრდებული მრავალწლიან სასჯელს იხდის, რომლის განმავლობაშიც ერთხელ - 2009 წელს დაეკისრა დისციპლინური სახდელი. აღნიშნულის მიუხედავად, მისი ქცევა დადებითად არის შეფასებული. თუმცა, ადგილობრივი საბჭო ყურადღებას არ აქცევს და არ აფასებს აღნიშნულ გარემოებას და უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისას ფორმალურად მიუთითებს მსჯავრდებულის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენებაზე - ფაქტიდან 11 წლის შემდეგ. მსგავსი მიდგომა აჩენს განცდას, რომ დისციპლინური ღონისძიების გამოყენების თუნდაც ერთი ფაქტის შემთხვევაში, აზრი ეკარგება მსჯავრდებულის ქცევის პოზიტიურ ცვლილებას და მის მცდელობას აღნიშნული მიმართულებით, რადგან ადგილობრივ საბჭოს შეეძლება ყველა შემთხვევაში დაასაბუთოს უარყოფითი გადაწყვეტილება მსჯავრდებულის მიერ სარეჟიმო მოთხოვნის დარღვევის ფაქტზე მითითებით.*

სოციალურ აქტივობებში ჩართულობის გავლენა გადაწყვეტილების მიღებისას

კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენს ადგილობრივი საბჭოების მიერ სოციალურ აქტივობებში ჩართულობაზე მითითება. როგორც წესი, უარყოფით გადაწყვეტილებების დასაბუთებაში შაბლონურად ვხვდებით ჩანაწერს „არ მიუღია მონაწილეობა სოციალურ აქტივობებში". აღნიშნული ჩანაწერის გაკეთება კი ხორციელდება იმის ფონზე, რომ

[203] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 01 აპრილის გადაწყვეტილება.

პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქო-სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო და კულტურულ-სპორტული ღონისძიებები მწირი რაოდენობით ტარდება და ფრაგმენტული ხასიათი აქვს, ასევე აქტივობები არ არის მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული.[204] ამასთან, აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში პანდემიის პირობებში დაწესებულებებში განსაკუთრებული პირობების შემოღებამ, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების გარე პერიმეტრზე გაყვანამ და დისტანციურ რეჟიმში მუშაობამ კიდევ უფრო დაამძიმა მდგომარეობა ამ მიმართულებით. ამავე პერიოდში შეჩერდა სარეაბილიტაციო აქტივობები. ეს კიდევ უფრო მწვავედ აისახა დახურული ტიპის დაწესებულებებში.[205]

გადაწყვეტილებების შესწავლის შედეგად მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში იკვეთება, რომ მსჯავრდებული ჩართულია ინდივიდუალურ დაგეგმვის პროცესში, შესაბამისად, სპეციალისტების მიერ ფასდება მისი რისკები და საჭიროებები და შეფასებაზე დაყრდნობით ხორციელდება მისთვის სოციალური აქტივობების შეთავაზება და მისი ჩართულობა, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება პიროვნული და ტექნიკური უნარების გაძლიერებით მისი რისკების დაწევასა და რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის პროცესის წარმატებით მიმდინარეობაზე.

საქმე N1 – დახასიათებიდან იკვეთება, რომ მსჯავრდებული სასჯელს იხდის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, 2016 წლის 23 დეკემბრიდან, ხოლო სასჯელის დასასრულად მითითებულია 2021 წლის 23 ივნისი. აქვე მითითებულია, რომ ჰყავს ოჯახი, სარგებლობს მათთან კომუნიკაციის კანონით ნებადართული საშუალებებით. დაწესებულებაში ჩართულია ზიანისა და საჭიროებების პროგრამაში და მზაობას გამოთქვამს მის მიმართ განხორციელდეს ინდივიდუალური მუშაობა. სასჯელის მოხდის პერიოდში გაიარა ხეზე კვეთის კურსი და სამომავლო დასაქმების შესაძლებლობად ახლად მიღებულ შრომით უნარებს ასახელებს. უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისას საბჭო მიუთითებს ნასამართლობაზე და პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში ჩადენილ მძიმე კატეგორიის დანაშაულზე.[206]

შეფასება: დახასიათება არ შეიცავს მსჯავრდებულის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ჩართვის მიუხედავად მისი რეგრესისა და პროგრესის შეფასებას, რაც გაცილებით ინფორმაციულს გახდიდა საბჭოსთვის აღნიშნულ ჩანაწერს. შესაბამისად, საბჭომ კვლავ მხოლოდ ჩადენილ დანაშაულზე და ნასამართლობაზე გაამახვილა ყურადღება.

საქმე N2 - დახასიათებიდან იკვეთება, რომ მსჯავრდებული სასჯელს იხდის სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დახასიათება შედგენილია რეალური სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლის მოთხოვნით. მსჯავრდებული სასჯელს იხდის N16 დაბალი რისკის დაწესებულებაში, ჩართულია ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში, გაწერილი აქვს რისკებისა და საჭიროებების გათვალისწინებით გეგმა და აღნიშნულის ფარგლებში გავლილი აქვს პენიტენციური სტრესის მართვის ტრენინგ-მოდული. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საკუთარი ინიციატივით დაკავებულია

---

[204] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში, გვ. 61; პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიში, გვ. 41.

[205] საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2020 წლის ანგარიში, გვ. 78-79.

[206] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 01 აპრილის გადაწყვეტილება.

თვითგანვითარებით (დაკავებულია კითხვით, ხელოვნური ინტელექტის შესწავლით) და აქვს ცვლილებების მაღალი მოტივაცია. განიცდის იმ გამოწვევებს, რომლებმაც მიიყვანა კანონთან კონფლიქტში. სისტემატურად მონაწილეობს დაწესებულებაში ინტელექტუალური თამაშების დაორგანიზებაში, სარგებლობს ბიბლიოთეკით, ასევე ჩართულია დაწესებულებაში მოქმედი სოციალური საწარმოს საქმიანობაში და ასევე, სხვებს უზიარებს საკუთარ ცოდნას... ჰყავს ძლიერი სოციალური მხარდამჭერი წრე ოჯახის სახით... მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილების დასაბუთებაში საბჭო უთითებს დანაშაულის ხასიათზე და წარსულ ნასამართლობაზე.

შეფასება: დახასიათება არ შეიცავს დეტალურ აღწერას პირის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში მისი რეგრესისა და პროგრესის შეფასებას, მისი აქტივობების გავლენას დანაშაულის ჩადენის რისკებზე. მიუხედავად მისი ინიციატივით თუ დაწესებულების თანამშრომლების აქტიური ჩართულობით პირის რესოციალიზაციის პროცესისა, საბჭო მხოლოდ შემოიფარგლა იმის აღნიშვნით, რომ მსჯავრდებული ჩართულია სოციალურ აქტივობებში, რომელიც ვერ გადაწონის დანაშაულის უარყოფით კონტექსტს. ამასთან უთითებს, რომ ვინაიდან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის მიზნებისთვის განსაკუთრებით უარყოფით როლს თამაშობს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი.....[207]

ამასთან აღსანიშნავია, რომ სოციალური აქტივობები არ არის ადაპტირებული უცხოენოვანი მსჯავრდებულების საჭიროებებზე. უცხოენოვანი პატიმრებისთვის ენობრივი ბარიერის პრობლემის სიმწვავეზე სახალხო დამცველის აპარატი წლებია საუბრობს.[208]

საქმე N1 - დახასიათებიდან იკვეთება, რომ მსჯავრდებული ისრაელის მოქალაქეა, ფლობს ინგლისურ და ებრაულ ენებს, N16 პენიტენციურ დაწესებულებაში იმყოფება 2020 წლის 15 ივლისიდან და ამ დროის განმავლობაში პერიოდულად სტუმრობს დაწესებულების ბიბლიოთეკას. დაინტერესებულია წიგნების კითხვით... ხოლო გადაწყვეტილების დასაბუთებაში, დანაშაულის სიმძიმის (განსაკუთრებული დიდი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვა) პარალელურად, მითითებულია, რომ სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულს სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია.[209]

რიგ შემთხვევებში იგივე პრობლემის წინაშე დგანან ეთნიკურად არაქართველი საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც ქართული ენა არ იციან. თუმცა ხშირად აღნიშნულის იდენტიფიცირება ჭირს დახასიათებებიდან, რაც თავის მხრივ, საჭიროებს დახვეწას. ასევე მხოლოდ რიგ შემთხვევებში ჩანს დახასიათებებიდან, რომ მსჯავრდებული გამოთქვამს სურვილს ჩაერთოს სოციალურ აქტივობებში და ობიექტური გარემოებები ქმნის ჩართულობის წინაღობას. აღნიშნული ჩანაწერი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი საბჭოებისთვის ინფორმაციული შეიძლება იყოს და საერთო ჯამში პოზიტიურად შეფასდეს.

---

[207] აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 02 ნოემბრის გადაწყვეტილება.

[208] იხ. პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2020 წლის ანგარიში, < https://www.ombudsman.ge/res/docs/2021111112020776878.pdf#page68> გვ. 90; პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში, < https://www.ombudsman.ge/res/docs/2020033122424787329.pdf#page68 > გვ. 69-70.

[209] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 01 აპრილის გადაწყვეტილება.

უარყოფითი და დადებითი გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობაზე მითითების პარალელურად არსებითად მნიშვნელოვანია, გამომწვევი მიზეზების კვლევა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება. დღეის მდგომარეობით საქართველოს მასშტაბით მოქმედებს 6 ადგილობრივი საბჭო - არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო, ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო, დასავლეთ საქართველოს, აღმოსავლეთ საქართველოს პირველი, მეორე და მესამე ადგილობრივი საბჭოები. აღნიშნული საბჭოები განიხილავენ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებისა და მოუხდელი სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით (შინაპატიმრობა, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა) შეცვლის შუამდგომლობებს. ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების[210] დაჯამებისა და გაანალიზების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ თითოეულ საბჭოს წევრს საკმაოდ შრომატევადი სამუშაოს შესრულება უწევს. თითოეული შუამდგომლობისა და შესაბამისად, თითოეული მსჯავრდებულის დახასიათების სრულყოფილი გაცნობა, კანონით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით შეფასება და შემდგომ კოლექტიურად თითოეული დახასიათების განხილვა/გადაწყვეტილების მიღება ითხოვს საკმაოდ დიდი დროისა და ინტელექტუალური რესურსის დახარჯვას. ამასთან აღსანიშნავია, რომ საბჭოს წევრებისთვის აღნიშნული თანამდებობა და გაწეული სამუშაო არ არის ანაზღაურებადი და თითოეული მათგანი სხვადასხვა სამუშაოს პარალელურად კისრულობს ამ მეტად საპასუხისმგებლო მისიას. გადაწყვეტილებების ხარისხზე და მათ არაერთგვაროვნების პარალელურად, გადატვირთულობა იწვევს რიგ შინაარსობრივ შეცდომებსაც, მაგალითად:

> *საქმე N1. გადაწყვეტილების თანახმად, პირი მსჯავრდებულია სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა" პუნქტით (22 ცალი აბი, რომელიც შეიცავდა ნარკოტიკულ საშუალება „მდმა", წონით - 1.9267 გრ.). დახასიათების მიხედვით, აქვს პროფესიით მუშაობის რამდენიმე წლიანი გამოცდილება, ჰყავს ძლიერი სოციალური მხარდამჭერი წრე მეუღლისა და დედ-მამის სახით, დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში დაკავებულია კითხვით, ეკლესიაში სიარულით და ესწრება სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებას, დასჯილი ან/და წახალისებული არ ყოფილა, აღიარებს ჩადენილ დანაშაულს ... დასაბუთების ნაწილში მითითებულია, რომ საკითხის განხილვისას საბჭომ გაითვალისწინა მსჯავრდებულის დამოკიდებულება პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციასთან და სხვა პიროვნული მახასიათებლები, ოჯახური პირობები, დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან, ის გარემოება, რომ ესწრებოდა კულტურულ ღონისძიებებს, თუმცა საბჭომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მის მიერ ჩადენილია ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო შეძენასა და შენახვაში. პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების საკითხის განხილვისას საბჭო ასევე მხედველობაში იღებს დაზარალებულის პოზიციას, რაც მოცემულ საქმეში ვერ იქნა წარმოდგენილი, ვინაიდან,*

[210] მაგალითად, 2021 წლის მარტში აღმოსავლეთ საქართველოს პირველმა ადგილობრივმა საბჭომ განიხილა 156 შუამდგომლობა, მეორე ადგილობრივი საბჭომ - 252 შუამდგომლობა, მესამე ადგილობრივი საბჭომ - 270 შუამდგომლობა. 2021 წლის ოქტომბერში აღმოსავლეთ საქართველოს პირველმა ადგილობრივმა საბჭომ განიხილა 134 შუამდგომლობა, მეორე ადგილობრივი საბჭომ - 310 შუამდგომლობა, მესამე ადგილობრივი საბჭომ - 315 შუამდგომლობა.

სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების მიზნისთვის განსაკუთრებით უარყოფით როლს თამაშობს ჩადენილი დანაშაული სიმძიმე და ხასიათი. საბჭომ ამ ეტაპზე მიიჩნია, რომ ამ კრიტერიუმების თანმხლები ნეგატიური მოსაზრებები ვერ გააბათილა და ვერ გადაწონა დადებით კონტექსტის კრიტერიუმები.[211]

საქმე N2. დახასიათების მიხედვით პირი მსჯავრდებულია 2019 წლის 1 აპრილს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, კერძოდ, თბილისში მეტროსადგურ „დიდუბის" მიმდებარე ტერიტორიაზე მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით გასტაცა მოქალაქეს საფულე და საერთო ჯამში მიაყენა 111 ლარისა და 20 თეთრის მატერიალური ზარალი. ხოლო საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებაში მითითებულია, რომ მსჯავრდებულს ჩადენილი აქვს სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ, განზრახ მკვლელობა და დამატებით სხვა ფაქტორების გათვალისწინებით არ დააკმაყოფილა მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე შუამდგომლობა. მსჯავრდებული კალენდარულად განთავისუფლდა 2021 წლის 1 აპრილს.[212]

მონაცემების შეჯამების შედეგად შიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი საბჭოების თითოეული წევრის გადატვირთულობის ფონზე ეჭვქვეშ შესაძლოა დადგეს დახასიათებების სრულყოფილი შესწავლა და შესაბამისად, ყოველმხრივ შეფასებული და თითოეული წევრის კოლექტიურად მოსაზრებების შეჯერებისა შედეგად ფაქტებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, შეიქმნას ანაზღაურებადი სამუშაო ადგილები, სადაც სპეციალისტები სრულფასოვნად და შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ განახორციელებენ მათზე დაკისრებულ უფლებამოსილებას.

უარყოფითი გადაწყვეტილებების გასაჩივრების შემაფერხებელი გარემოებები

გარდა იმ სისტემური პრობლემებისა, რომლებიც ადგილობრივი საბჭოების ასეულობით გადაწყვეტილების შესწავლამ გამოავლინა, საანგარიშო პერიოდში ინდივიდუალური განცხადებებისა და პროაქტიული მონიტორინგის ფარგლებში, სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი გახდა, რომ თუკი მსჯავრდებულს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება გასაჩივრებული ჰქონდა სასამართლოში, პროცესის დასრულებამდე მისი განცხადება აღარ გადაიხედებოდა ადგილობრივი საბჭოების მიერ პერიოდულად. აღნიშნულის მიზეზი იყო ის ფაქტი, რომ საქმის სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში პირადი საქმე იგზავნებოდა და პენიტენციური სისტემა ვეღარ იხილავდა საქმეებს კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, სასამართლოში საქმის განხილვის დასრულებამდე, პატიმართა პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხი აღარ განიხილებოდა.

---

[211] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 01 აპრილის გადაწყვეტილება.

[212] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 01 აპრილის გადაწყვეტილება.

არსებული პრაქტიკის მიხედვით, მსჯავრდებულებს უწევდათ არჩევანის გაკეთება ორ კანონით გარანტირებულ უფლებას შორის - (1) სასამართლოში გაესაჩივრებინათ პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის უფრო მსუბუქი სახით შეცვლის თაობაზე საბჭოს მიერ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილება, ან (2) ესარგებლათ საბჭოს ხელმეორე და პერიოდული განხილვის მექანიზმით კანონით დადგენილ ვადაში.

სახალხო დამცველმა საქართველოს იუსტიციის მინისტრს შესთავაზა პრობლემის გადაჭრის რამდენიმე ალტერნატიული გზა და მიმართა რეკომენდაციით, გაეტარებინათ იმგვარი ღონისძიებები პატიმართა პირადი საქმეების წარმოებასთან დაკავშირებით, რომელიც უზრუნველყოფდა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების ეფექტურ შესაძლებლობას და ამასთან, არ დააბრკოლებდა კანონით განსაზღვრული საშეღავათო მექანიზმების ჯეროვან ფუნქციონირებას.[213]

იუსტიციის სამინისტრომ გაიზიარა რეკომენდაცია, კანონსაწინააღმდეგო პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით გაატარა შესაბამისი ღონისძიებები და ყველა პენიტენციურ დაწესებულებას მიეცა კონკრეტული მითითებები.[214] სახალხო დამცველის აპარატი დააკვირდება განახლებული წესის პრაქტიკაში აღსრულებას.

დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა პენიტენციურ დაწესებულებებში

2021 წლის მარტიდან საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობით და EWMI/PROLoG-ის მხარდაჭერით, დაიწყო საპილოტე პროექტის განხორციელება, რომლის მიზანიც პატიმრებისათვის სამართლებრივი დახმარების გაწევა იყო. პროექტის ფარგლებში, სახალხო დამცველის აპარატისა და საია-ს მიერ შეირჩა 10 საქმე, სადაც პატიმრების მიმართ სხვადასხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის უკანონოდ გამოყენების პრაქტიკა დგინდებოდა. სასამართლოში წარმომადგენლობას საია ახორციელებდა.

2022 წლის 9 თებერვლის მდგომარეობით, საქალაქო სასამართლოებში დასრულდა 7 საქმის განხილვა. აქედან ხუთ საქმეზე სასამართლოებმა დააკმაყოფილეს სასარჩელო მოთხოვნები და შესაბამისად, უკანონოდ იქნა ცნობილი კონკრეტული პენიტენციური დაწესებულებების მიერ პატიმრებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ორ შემთხვევაში სასამართლომ არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნები, ხოლო სამ საქმეზე სასამართლო განხილვა გრძელდება.

ხსენებულ ხუთ საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ პენიტენციური დაწესებულებების მიერ პატიმრებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის გარეშე მოხდა და დაწესებულებამ სასამართლოს ვერ წარუდგინა იმ დარღვევების დამადასტურებელი

[213] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 28 სექტემბრის N15-10/9226 რეკომენდაცია.
[214] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2022 წლის 28 იანვრის №1174 წერილი.

მტკიცებულებები, რომელთა გამოც პატიმრებს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრათ.

პატიმართა მიმართ არსებითი ხარვეზებით მიმდინარე დისციპლინური საქმისწარმოების პრაქტიკაზე სახალხო დამცველმა დეტალურად ჯერ კიდევ 2019 წელს, სპეციალურ ანგარიშში ისაუბრა.[215] მიუთითა, რომ პენიტენციურ სისტემაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების პროცედურა, როგორც წესი, უშუალოდ პატიმრის ჩართულობის, ზეპირი მოსმენისა და ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების გარეშე მიმდინარეობს. დაწესებულების ადმინისტრაციის გადაწყვეტილება პატიმრის დისციპლინური სახით დასჯის შესახებ უმეტეს შემთხვევაში დაუსაბუთებელია. ხშირად პატიმრებს ამ პროცესში ჩართულობისა და მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა არ აქვთ.

რ.შ.-ს საქმე

პატიმართა მიმართ დისციპლინური სახდელების დაკისრების ხარვეზიანი პრაქტიკის მორიგ მაგალითს წარმოადგენს N6 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის რ.შ.-ისთვის ორთვიანი სატელეფონო საუბრის უფლების აკრძალვა საკნის ფანჯრიდან გადაძახილის გამო.

მსჯავრდებული წერილობით ახსნა-განმარტებაში[216] მიუთითებდა დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პერიოდულად მისი უფლებების კანონსაწინააღმდეგოდ შეზღუდვაზე, მათ შორის, სატელეფონო საუბრის დროის ხელოვნურ შემცირებაზე, რაც მისი გადაძახილის საფუძველი გახდა. განმარტავდა, რომ უფლებადარღვევის შესახებ ცდილობდა ხმის მიწვდენას უფლებამოსილი პირებისთვის და მისი მიზანი არ ყოფილა პენიტენციური დაწესებულების წესრიგის დარღვევა.

მიუხედავად მსჯავრდებულის მხრიდან არგუმენტირებისა და თხოვნისა, მისი საკითხი ზეპირი განხილვის წესით გადაწყვეტილიყო და დაწესებულების დირექტორს მოესმინა მისი პოზიცია, დისციპლინური საქმისწარმოების მასალების[217] შესწავლით ირკვევა, რომ დირექტორის განკარგულება ეფუძნება მხოლოდ თანამშრომლების ზოგადი ხასიათის ახსნა-განმარტებებს. პატიმარი არ გამოკითხულა, არ არის დადგენილი პატიმრის ქცევის წინაპირობები, არ ჩანს ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების მცდელობა.

გენერალური ინსპექციები

სამართალდამცავი სტრუქტურების ფარგლებში ისეთი სამსახურის არსებობა, რომლის კომპეტენციასაც განეკუთვნება თანამშრომლების მხრიდან უფლებამოსილებათა

---

[215]საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „პატიმრის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა საქართველოში", 2019 წ.
< https://www.ombudsman.ge/res/docs/2019110509560299657.pdf >

[216] 01.07.2021 წლის მსჯავრდებულის წერილობითი ახსნა-განმარტება მის მიერ ჩადენილ დისციპლინურ დარღვევასთან დაკავშირებით.

[217] N6 პენიტენციური დაწესებულების 2021 წლის 02 ნოემბრის N11737/21 წერილი.

ჯეროვანი განხორციელების მონიტორინგი, კრიტიკული მნიშვნელობისაა. რამდენადაც მბოჭავია ორგანოს კომპეტენციები, მით უფრო მეტი არეალია ამ უფლებამოსილებათა ბოროტად ან არასწორად გამოსაყენებლად. ამასთან, მაშინ, როდესაც საკითხი ეხება თავისუფლებააღკვეთილ პირს, რომელიც სახელმწიფოს სრული კონტროლის ქვეშ იმყოფება, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რომ არსებობდეს დამოუკიდებელი სამსახური თუ ორგანო, რომელიც ჯეროვნად, გულისხმიერად და სათანადოდ შეისწავლის თავისუფლებააღკვეთილი პირის მიერ წარდგენილ საჩივარს თანამშრომლების მხრიდან მისი უფლებების შესაძლო დარღვევაზე და ამ უკანასკნელის დადგენის შემთხვევაში, სათანადო რეაგირებითა და პასუხისმგებლობის დაკისრებით უპასუხებს.

ამგვარად, სახალხო დამცველის აპარატი სისტემატურად სწავლობს სამართალდამცავი უწყებების, განსაკუთრებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ სამსახურებრივი შემოწმების საქმის მასალებს და ამოწმებს მათ შესაბამისობას კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებთან.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის უფლებამოსილებები და ამოცანები

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის ფუნქციებში შედის მოსამსახურეთა მიერ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლი და დარღვევებზე რეაგირება, ადამიანის უფლებათა დაცვის კონტროლი და პენიტენციურ დაწესებულებებში ხარვეზებისა და პრობლემების გამოვლენა.[218] სამსახურებრივი შემოწმების დროს მონტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელს უფლება აქვს მოსამსახურე პირისგან მიღოს ახსნა-განმარტება, ინფორმაცია და დოკუმენტაცია.[219]

პენიტენციურ დაწესებულებაში თანამშრომლების მიერ შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, სამსახურებრივი შემოწმების დროულად და ეფექტურად ჩატარება ემსახურება ციხის პირობებში კანონიერების დაცვას და იცავს პატიმრებს ძალადობისა და თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილი თვითნებობისგან.

ამასთან, ევროპის საბჭოს ევროპული ციხის წესების მიხედვით, ციხეებში მუდმივად უნდა ტარდებოდეს მონიტორინგი და ინსპექცია სახელმწიფო ორგანოების მიერ რათა შეფასდეს

---

[218] „სპეციალური პენიტენციური სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 22 დეკემბრის N366 ბრძანების მე-12 მუხლის მე-10 პუნქტის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტები.

[219] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N55 ბრძანების 21-ე მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტები (ვინაიდან ყოფილი გენერალურ ინსპექციის ფუნქციებს ამჟამად მონიტორინგის დეპარტამენტი ასრულებს, ხოლო თავად მონიტორინგის დეპარტამენტის საქმიანობა არ არის რეგულირებული ახალი ნორმატიული აქტით, ვხელმძღვანელობთ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N55 მოქმედი ბრძანებით).

ციხის მართვა და ადმინისტრირება საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.[220]

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტები აგრეთვე განსაზღვრულია გაეროს მიერ, რომლის მიხედვითაც პენიტენციურ დაწესებულებებში რეგულარულად უნდა ტარდებოდეს ინსპექტირება კვალიფიციური თანამშრომლების მხრიდან, რომელიც დანიშნული არიან ხელისუფლების მიერ, ხოლო ინსპექტორები ვალდებული არიან პატიმრობის ადგილზე შეამოწმონ ციხის მუშაობა კანონისა და განაწესის შესაბამისად და დარწმუნდნენ, რომ პენიტენციური დაწესებულებების მართვა ხორციელდება კანონის დაცვით.[221]

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფლებამოსილებები და ამოცანები

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ დანაყოფს, რომლის ამოცანებს *inter alia* განეკუთვნება სამინისტროს სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება.[222]

სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების პროცესში, მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას, გენერალური ინსპექციის მოსამსახურეს უფლება აქვს მოითხოვოს და დაუყოვნებლივ მიიღოს (მათ შორის, ადგილზე გაცნობით) სამინისტროს მოსამსახურისგან სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისათვის აუცილებელი ან/და მის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.[223]

სახალხო დამცველის საქმიანობა გენერალური ინსპექციების საქმიანობის შემოწმების მიმართულებით

2017 წელს სახალხო დამცველის აპარატმა გამოსცა სპეციალური ანგარიში[224], რომლის კვლევის ფარგლებში შესწავლილი იყო სამართალდამცავი სტრუქტურების გენერალური

---

[220] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე). მე-6 ნაწილი, პუნქტი 92.

[221] მიღებულ იქნა 1955 წელს ჟენევაში გამართულ გაეროს პირველ კონგრესზე, რომელიც ეძღვნებოდა დანაშაულის პრევენციას და სამართალდამრღვევებთან მოპყრობას, დამტკიცებულ იქნა 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV) რეზოლუციით და 1977 წლის 13 მაისის 2076 (LXII) რეზოლუციით. წესი 55.

[222] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების" დამტკიცების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 თებერვლის N123 ბრძანება, მუხლი 2, „ბ" ქვეპუნქტი.

[223] იქვე. მუხლი 9, პუნქტი 2.

[224] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „დისციპლინური წარმოება, მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულების და

ინსპექციების, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროების გენერალური ინსპექციის (სამართალმემკვიდრე - სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტი) საქმიანობის პროცესი და დადგენილი პროცედურები, გამოავლინა როგორც პრაქტიკული, ისე - საკანონმდებლო ხასიათის ხარვეზები და გასცა რიგი რეკომენდაციები გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

ხსენებულ ანგარიშში სახალხო დამცველი მიუთითებდა ისეთ ხარვეზებზე, როგორებიცაა სამსახურებრივი შემოწმების დაწყება დაგვიანებით; ვიდეოჩანაწერების, როგორც ნეიტრალური მტკიცებულებების ამოღების პრობლემა; მოქალაქეთა ინფორმირების ნაკლებობა შემოწმების შედეგებისა და შემაჯამებელი გადაწყვეტილებების შესახებ; სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტის დაუდასტურებლობის შემთხვევაში უარის გასაჩივრების უფლების, წესისა და პროცედურის არარსებობა; საზოგადოების ინფორმირებისა და საზოგადოების ცნობადობის დაბალი დონე, დისციპლინური გადაცდომების დადგენის უკიდურესად მცირე მაჩვენებელი და სხვა.

ამავე ანგარიშით სახალხო დამცველის აპარატმა გასცა რეკომენდაციები, ზემოხსენებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით. კერძოდ, უნდა მომხდარიყო განმცხადებლებისათვის ჩატარებული შემოწმებისა და მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი შეტყობინება; სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისას მოპოვებული ყოფილიყო ვიდეოჩანაწერები, ასეთი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში; სამსახურებრივი შემოწმების დასრულებისას ყველა შემთხვევაში შემდგარიყო დასკვნა/ცნობა, სადაც შემოწმების პროცესის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია აისახებოდა.

2021 წელს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ ჩადენილი შესაძლო უკანონო ქმედებების შესახებ მოქალაქეთა საჩივრებზე ეფექტიანი რეაგირება, სამწუხაროდ, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

2021 წელს სახალხო დამცველის აპარატმა არაერთხელ გამოითხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები, რომელთა შესწავლის შემდეგ კვლავ გამოიკვეთა არსებითი ხასიათის ხარვეზები. სამწუხაროდ, ხსენებული სამსახურების მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების პროცედურებში კვლავ მეორდება იმგვარი ხარვეზები, რომლებზეც სახალხო დამცველი ჯერ კიდევ 2017 წლის სპეციალურ ანგარიშში მიუთითებდა.

პრობაციის სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიმართ", 2017.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი კონკრეტული საქმეები და გამოვლენილი ხარვეზები

- *სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის საქმიანობის მიმართულებით*

2021 წელს სახალხო დამცველმა 4 წინადადებით მიმართა იუსტიციის მინისტრს მონიტორინგის დეპარტამენტის მოსამსახურის მიერ არასრულფასოვნად ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების საფუძვლით დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების თაობაზე.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ ერთ-ერთ საქმეში მსჯავრდებული ჩიოდა, რომ დანიშნული ფსიქიატრიული მედიკამენტები არარეგულარულად გადაეცემოდა, რის გამოც შელაპარაკება მოხდა თანამშრომელთან და განთავსდა დეესკალაციის ოთახში. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის მიმართვიდან საქმისწარმოება სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტში მხოლოდ 1 თვის შემდეგ დაიწყო. ამ ეტაპისათვის კი მსჯავრდებული უკვე გათავისუფლებული იყო პენიტენციური დაწესებულებიდან, რის გამოც სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში ვერ მოხდა მასთან, როგორც სავარაუდო უფლებადარღვეულ პირთან უშუალოდ გასაუბრება.

სამსახურებრივი შემოწმების საქმისწარმოების მასალების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ შემოწმება აშკარად არასრულყოფილად იყო ჩატარებული. პაციენტის ფსიქიატრიული პრობლემების შესახებ ინფორმაციის არსებობის მიუხედავად, არ შემოწმებულა დეესკალაციის ოთახში 9 დღით ყოფნის პერიოდში სამედიცინო მომსახურების გაწევის საკითხი. ამასთან, არც ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსების სათანადოდ არგუმენტირებული საფუძვლები ან/და ოთახში ხანგრძლივად მოთავსების მიზანშეწონილობის საკითხი ყოფილა გამოკვლეული. [225]

ასევე, ერთ-ერთ საქმეში მონიტორინგის დეპარტამენტმა სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში რელევანტური ინფორმაციის მოძიება სცადა სახალხო დამცველის აპარატის მიმართვიდან მხოლოდ 2 თვის შემდეგ, რაც გაუმართლებელი და არაგონივრული გაჭიანურებაა, რაც, თავის მხრივ აბრკოლებს სხვა სახის მოქმედებებს. მაგალითად, დროის გასვლის გამო, ნაკლებ ეფექტურია შესაბამისი პირების გამოკითხვა, რადგან, შესაძლოა, ფაქტი და რელევანტური გარემოებები კარგად ვერ გაიხსენონ, ვერ მოხდეს ვიდეოჩანაწერების ამოღება და სხვა.[226] პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის

[225] სახალხო დამცველის 2021 წლის 27 ოქტომბრის N15-9/10214 წინადადება ლ.კ-ის საქმეზე.
[226] სახალხო დამცველის 2021 წლის 27 ოქტომბრის N 15-12/10219 წინადადება კ. გ-ის საქმეზე.

დეპარტამენტის მხრიდან სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ ხსენებული ფაქტი არ იქნა მიჩნეული სამსახურებრივ გადაცდომად.[227]

ერთ-ერთ საქმეში, სადაც საკითხი ეხებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოში მსჯავრდებულის უფლებათა შესაძლო დარღვევას პენიტენციური სამსახურის თანამშრომლის მხრიდან, მონიტორინგის დეპარტამენტი მხოლოდ სავარაუდო უფლებადარღვეული პირისა და პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების გამოკითხვით შემოიფარგლა. მოცემულ საქმეში, ერთი მხრივ, არსებობდა უფლების დარღვევის შესახებ პატიმრის მითითება და მეორე მხრივ, აღნიშნულის საწინააღმდეგოდ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეების განმარტება. ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების პროცესში კი არ ყოფილა მოპოვებული ნეიტრალური მტკიცებულებები - ვიდეო ჩანაწერები. ამ მიზნისათვის, არ ყოფილა ვიდეოჩანაწერების ამოღების მცდელობაც კი. ამგვარად, ყოველივე ნეიტრალური მტკიცებულების მიღების მცდელობის გარეშე მონიტორინგის დეპარტამენტმა დაასკვნა, რომ პირის უფლების დარღვევას ადგილი არ ჰქონია და დაასრულა სამსახურებრივი შემოწმება.[228] სახალხო დამცველს წინადადების პასუხად ეცნობა, რომ პირი, რომელმაც ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება, წინადადების წარდგენის დროისათვის უკვე გათავისუფლებული იყო თანამდებობიდან, რის გამოც მის მიმართ არ დაწყებულა დისციპლინური სამართალწარმოება.[229]

ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის საპასუხო პოზიციები სახალხო დამცველის წინადადებებზე. კერძოდ, სახალხო დამცველის ორი წინადადების პასუხად[230], სადაც, სხვა საკითხთა შორის, მითითებული იყო სამსახურებრივი შემოწმების დაგვიანებით დაწყების თაობაზე, პენიტენციური დაწესებულების პასუხით სახალხო დამცველს ეცნობა, რომ აღნიშნულს ადგილი არ ჰქონია და სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო სახალხო დამცველის აპარატის მიმართვისთანავე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პოზიციას არ ამყარებს სამსახურებრივი შემოწმების საქმის მასალების გაცნობის შედეგები. პენიტენციურ დაწესებულებას არ უპასუხია, კერძოდ, როდის დაიწყო შემოწმება. გარდა ამისა, ერთ-ერთი წინადადების პასუხად პენიტენციურმა სამსახურმა წარმოადგინა პოზიცია, რომ სამსახურებრივი შემოწმების ჩასატარებლად მოქმედებების რიგითობისა და მიზანშეწონილობის განსაზღვრა თანამშრომელთა პრეროგატივას წარმოადგენს, რის გამოც არასწორად ვერ შეფასდება პატიმრის გამოკითხვა პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ სამსახურებრივი შემოწმების ეფექტიანად

---

[227] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 29 დეკემბრის №318128/01 წერილი.

[228] სახალხო დამცველის 2021 წლის 9 ივლისის N 15-5/6691 წინადადება.

[229] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2021 წლის 21 ივლისის №170516/01 წერილი.

[230] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 29 დეკემბრის №318128/01 წერილი სახალხო დამცველის 2021 წლის 27 ოქტომბრის N 15-12/10219 წინადადების პასუხად; სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 29 დეკემბრის №318119/01 წერილი სახალხო დამცველის 2021 წლის 27 ოქტომბრის N15-9/10214 წინადადების პასუხად.

ჩატარების მოთხოვნა არ გულისხმობს მხოლოდ კონკრეტულ მოქმედებათა ჩატარებას, არამედ - ამ ღონისძიებათა გატარებას დროულად და ლოგიკური თანმიმდევრობით. დროულობის მოთხოვნა კი არ არის მხოლოდ ფორმალური დათქმა და ამ უმნიშვნელოვანესი საქმიანობის ფუნდამენტურ ელემენტს წარმოადგენს.

ამასთან, პენიტენციურმა სამსახურმა ეჭვქვეშ დააყენა საქმისწარმოების დროში გაჭიანურებისა და მისი საქმიანობის მიმართ ნდობის ურთიერთმიმართება. აღსანიშნავია, რომ დროულობა, ერთი მხრივ, ემსახურება პროცედურების სწორად წარმართვას, ვინაიდან საჭირო და რელევანტური ინფორმაციის მისაღებად აუცილებელია გამოკითხვა ჩატარდეს მომხდარი ფაქტიდან მოკლე დროში, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბუნდოვანება; შესაბამის პირებს არ გაუჭირდეთ რელევანტური ფაქტების გახსენება. გარდა ამისა, პატიმრის პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ გამოკითხვა არ შეიძლება ჩაითვალოს მიზანშეწონილად, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში გათავისუფლებულ პატიმარს შეიძლება აღარ ამოძრავებდეს თანამშრომლების დისციპლინური წესით შემოწმების ინტერესი. ხოლო პენიტენციური სისტემის მონიტორინგის მიზნები არ ემსახურება მხოლოდ ინდივიდუალური პატიმრების ინტერესების დაცვას, არამედ, თანაბრად გულისხმობს პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვაზე დაფუძნებული მიდგომის დამყარებას, გამჭვირვალობის უზრუნველყოფასა და დაუსჯელობის სინდრომის აღკვეთას.

არადამაკმაყოფილებლად უნდა შეფასდეს პენიტენციური სამსახურის მიერ წერილობით წარმოდგენილი სხვა არგუმენტებიც, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ იმის მტკიცებით, რომ მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა შემოწმება ჯეროვნად ჩაატარეს და არსებითად პასუხი არ არის გაცემული იმ საკვანძო საკითხებზე (პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის სათანადო შემოწმება და დეესკალაციის ოთახში ხანგრძლივად განთავსების მიზანშეწონილობის სათანადოდ შეფასება), რასაც სახალხო დამცველი მიუთითებდა წარდგენილი წინადადებით. ამასთანავე, პენიტენციური დაწესებულების მხრიდან საქმისწარმოების გაჭიანურების ერთ-ერთ მიზეზად წარმოდგენილია დეპარტამენტში შესულ განცხადებათა სიჭარბე[231], რაც, შესაძლოა მიუთითებდეს მონიტორინგის დეპარტამენტში ადამიანური რესურსის ნაკლებობის პრობლემის უგულებელყოფაზე, რაზეც სახალხო დამცველი ჯერ კიდევ 2017 წლის სპეციალურ ანგარიშში მიუთითებდა.

- *შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიმართულებით*

კვლავ გამოვლინდა არსებითი ხარვეზები შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებულ სამსახურებრივ შემოწმებებში.

[231] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 29 დეკემბრის №318128/01 წერილი სახალხო დამცველის 2021 წლის 27 ოქტომბრის N 15-12/10219 წინადადების პასუხად; სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 29 დეკემბრის №318119/01 წერილი სახალხო დამცველის 2021 წლის 27 ოქტომბრის N15-9/10214 წინადადების პასუხად.

ერთ-ერთ საქმეში, სადაც განმცხადებელი პოლიციის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობასა და სიტყვიერ შეურაცხყოფაზე მიუთითებდა, პოლიციის თანამშრომლების გამოკითხვის გარდა არც ერთი სხვა მოქმედება არ ჩატარებულა. მათ შორის, არ გამოკითხულა უშუალოდ სავარაუდოდ უფლებადარღვეული პირი, არ მომხდარა ვიდეოჩანაწერების გამოთხოვა სავარაუდო შემთხვევის ადგილიდან, ფაქტობრივად, არ ყოფილა რომელიმე ნეიტრალური მტკიცებულების მიღების მცდელობა და არც მოქალაქის ინფორმირება მომხდარა ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ საქმეშიც სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს გენერალური ინსპექციის თანამშრომლის მხრიდან არაჯეროვნად შესრულებული საქმიანობის გამო დისციპლინური წარმოების დაწყებაზე.[232]

აღნიშნული წინადადების პასუხად სახალხო დამცველს ეცნობა, რომ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, განმცხადებლის უფლების დარღვევა არ დადგენილა, ხოლო შესაბამისი პასუხისმგებელი პირი უკვე დათხოვნილი იყო და აღარ მსახურობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში.[233]

ერთ-ერთ სხვა საქმეში, რომელიც შეეხებოდა 3 არასრულწლოვნის მიმართ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან შესაძლო სიტყვიერი შეურაცხყოფის საკითხს, გენერალური ინსპექცია მხოლოდ სამი თანამშრომლის გამოკითხვით შემოიფარგლა და გადაწყვეტილების მიღების დროს, მათგან მიღებულ ინფორმაციას დაეყრდნო.

გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით რიგი საკითხები ღიად და განუხილველად იქნა დატოვებული: არ იქნა მოპოვებული ერთი ნეიტრალური მტკიცებულებაც კი, რომელიც უარყოფდა ან დაადასტურებდა პოლიციის თანამშრომლების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. გენერალურ ინსპექციას, არ ჰქონია მსგავსი მტკიცებულების მოპოვების მცდელობაც კი. მათ შორის, კანონიერი წარმომადგენლების თანდასწრებით არ გამოკითხულან სავარაუდო უფლებადარღვეული არასრულწლოვნები, არ გამოკითხულა პირი, რომელიც, სავარაუდოდ, წარმოადგენდა ინფორმაციის პირველწყაროს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან არ გამოთხოვილა წინასაგამოძიებო საქმის მასალები, არ მომხდარა ვიდეოჩანაწერების გამოთხოვა, არ მომხდარა მოქალაქეთა ინფორმირება შემოწმების შედეგების შესახებ.

სახალხო დამცველმა მოცემულ შემთხვევაშიც მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის იმ თანამშრომლის მიმართ დისციპლინური წარმოების ჩატარების წინადადებით, რომელმაც ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება წინამდებარე საქმეზე.[234] წინადადებაზე შსს გენერალური ინსპექციის პასუხი მდგომარეობდა არა იმაში, რომ შინაარსობრივად ემსჯელათ და განეხილათ სახალხო

[232] სახალხო დამცველის 2021 წლის 27 ივლისის N 15-13/7356 წინადადება.
[233] შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2021 წლის 29 ოქტომბრის MIA 5 21 02848140 წერილი.
[234] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 7 დეკემბრის N15-15/11521 წინადადება.

დამცველის მიერ მითითებული გარემოებები, არამედ მხოლოდ იმაში, რომ გენერალურმა ინსპექციამ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, უბრალოდ მიზანშეწონილად არ მიიჩნია წინადადების შესრულება.[235]

- *შეჯამება*

ამგვარად, პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მხრიდან შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტზე სწრაფი, ობიექტური და ჯეროვანი რეაგირება კვლავ გამოწვევად რჩება. დღემდე პრობლემურ საკითხს წარმოადგენს სამსახურებრივი შემოწმების დაგვიანებით დაწყება, რომელიც, თავის მხრივ, ქმნის დამატებით დაბრკოლებებს სამსახურებრივი შემოწმების სრულფასოვნად ჩატარების მხრივ. მაშინ, როდესაც ორივე სამსახურის ვალდებულებას წარმოადგენს განმცხადებელთა საჩივრებზე ეფექტიანი რეაგირება და უფლების შესაძლო დარღვევის არსებითად გამოკვლევა ყველა ხელმისაწვდომი კანონისმიერი ხერხით, სამსახურის ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება, სამსახურებრივი შემოწმების დაუსაბუთებლად დასრულება და მოქალაქეთა ინფორმირებისგან თავშეკავება ამცირებს უწყებათა მიმართ საზოგადოების ნდობას და აზიანებს მათ რეპუტაციას.

სახალხო დამცველის წინადადებების შეუსრულებლობა შსს გენერალური ინსპექციის მიერ

გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმისა და არასრულწლოვანი გიორგი შაქარაშვილის მკვლელობის საქმის შესწავლის შედეგად, ორივე განსახილველ საქმეში, ერთმანეთისგან პარალელურად, გამოიკვეთა გამომძიებელთა მხრიდან ჩადენილი შესაძლო დისციპლინური გადაცდომები, რომელთა საფუძველზე სახალხო დამცველმა შესაბამისი წინადადებებით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და გენერალურ პროკურატურას, თუმცა სამსახურებრივი შემოწმება არ ჩატარდა, რისი მიზეზიც წმინდად ფორმალურია.

- *გიორგი რურუას საქმე*

2020 წლის 13 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა N15-12/4065 წინადადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერ ბრალდებულ გიორგი რურუას მიმართ შესაძლო დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებით სამსახურებრივი შემოწმების დაწყების შესახებ. წინადადებაში მითითებული იყო, რომ 2020 წლის 3 იანვარს, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში, გამომძიებლებმა გიორგი რურუასგან იძულების წესით ამოიღეს პირადი ნივთები. ბრალდებულის გადმოცემით, მოითხოვა ადვოკატის დასწრება, რომელიც

[235] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 9 თებერვლის MIA 1 22 00342779 წერილი.

იმყოფებოდა N8 დაწესებულების ტერიტორიაზე, თუმცა გამომძიებლებმა საგამოძიებო მოქმედებას ადვოკატი არ დაასწრეს.[236]

ხსენებული წინადადება გენერალურმა ინსპექციამ თბილისის პროკურატურაში გადააგზავნა.[237] თბილისის პროკურატურამ წინადადება გენერალურ ინსპექციას უკან დაუბრუნა, სამართლებრივი საფუძველის ან მიმართვის მიზნის დაკონკრეტების გარეშე.[238] გენერალურმა ინსპექციამ სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ სამსახურებრივი შემოწმება არ დაიწყო, რადგან პროკურატურამ გენერალურ ინსპექციას წარდგინებით არ მიმართა. სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა გენერალურ პროკურატურას და ითხოვა, რომ პროკურატურას შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის წარდგინებით მიემართა.[239] პროკურატურამ 2020 წლის 25 სექტემბერს კიდევ ერთხელ გადააგზავნა სახალხო დამცველის წინადადება გენერალურ ინსპექციაში,[240] თუმცა კვლავ უშედეგოდ.[241]

- *გიორგი შაქარაშვილის საქმე*

2020 წლის 20 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა N15-11/8280 წინადადებით მიმართა გენერალურ პროკურორსა და შინაგან საქმეთა მინისტრს, გიორგი შაქარაშვილის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით. გამოძიების მიმდინარეობის შეფასებასთან ერთად, სახალხო დამცველი მიუთითებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ქმედებებსა და დისციპლინურ გადაცდომებზე.

გენერალურმა ინსპექციამ სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ აღნიშნული ფაქტები უნდა შეეფასებინა პროკურატურას, ვინაიდან გამოძიების საპროცესო ზედამხედველი პროკურატურაა.[242] სახალხო დამცველის აპარატმა გენერალური პროკურატურისგან გამოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, მიმართა თუ არა პროკურატურამ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების მოთხოვნით.[243] პროკურატურიდან მიღებული პასუხით, სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების კანონიერება შემოწმდა სასამართლოს მიერ და არ დადასტურდა რაიმე სახის დარღვევა, რის გამოც სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების თაობაზე მიმართვა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ არ განხორციელებულა.[244]

ამრიგად, გიორგი რურუასა და გიორგი შაქარაშვილის საქმეებზე წარდგენილი წინადადებები არ შესრულებულა. შსს გენერალურმა ინსპექციამ არ შეისწავლა აღნიშნულ

---

[236] მოცემულ საქმეზე საუბარი იყო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2020 წლის ანგარიშში, გვ. 55-56, < https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040113411364936.pdf >
[237] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 16 აპრილის N MIA 3 20 00883980 წერილი.
[238] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 15 მაისის N13/01-25401 წერილი.
[239] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 17 სექტემბრის N15/9141 წერილი.
[240] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 25 სექტემბრის N13/55756 წერილი
[241] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 16 ნოემბრის N MIA 5 20 02685386 წერილი.
[242] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 31 მაისის MIA 1 21 01359078 წერილი.
[243] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 12 აგვისტოს N15/7889 წერილი.
[244] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 30 აგვისტოს N13/52609 წერილი.

სისხლის სამართლის საქმეებში გამომძიებელთა მიერ ჩადენილი სავარაუდო დარღვევები, ამის მიზეზს კი წარმოადგენდა ის, რომ პროკურატურიდან მიღებული წერილები „წარდგინების" ფორმით არ იყო მომზადებული. პროკურატურა კი თავის მხრივ ან „პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ „წარდგინებას" არ აგზავნის და მხოლოდ წერილობით მიმართავს შსს-ს, ან მიუთითებს რომ გამომძიებელთა ყველანაირი ქმედება სასამართლოში ფასდება.

სამედიცინო ექსპერტიზის დაგვიანებით გაცემა

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის გაჭიანურებით გაცემის რამდენიმე საქმე.

ერთ-ერთი საქმე შეეხებოდა არასრულწლოვანის შესაძლო გაუპატიურების ფაქტს. საქმეზე 2021 წლის 11 ოქტომბერს დაინიშნა სამედიცინო ექსპერტიზა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა, 13 წლის ბავშვს აღენიშნებოდა თუ არა მექანიკური დაზიანებები საშოსა და უკანა ტანის არეში. ექსპერტების მიერ ბავშვის შემოწმება ჩატარდა 2021 წლის 12 ოქტომბერს, თუმცა ექსპერტის დასკვნა გაიცა მხოლოდ 3 თვის შემდგომ, 2022 წლის 12 იანვარს.[245]

ბავშვის მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობის საქმეებზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დროულად იქნეს მოპოვებული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა სექსუალური ძალადობის შედეგად მიყენებული დაზიანებების თაობაზე. გამოძიების ინტერესებზე მეტად, ამას ბავშვის ფსიქო-სოციალური მდგომარეობა და მისი საუკეთესო ინტერესების დაცვა, ასევე ბრალდებულის მიმართ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნით გამოწვეული უფლებრივი შეზღუდვები განაპირობებს. მსგავს ექსპერტიზაზე დასკვნის მომზადება ბავშვის გასინჯვიდან 3 თვის შემდგომ გაუმართლებელ დაგვიანებად უნდა ჩაითვალოს.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის დაგვიანებით გაცემა ხშირი პრობლემაა. მაგალითისთვის, მხოლოდ 2021 წელს გაიცა დასკვნა ე. წ. 20-21 ივნისის საქმეზე 2019 წლის ივლისის თვეში დანიშნულ ექსპერტიზებზე,[246] ხოლო 2021 წლის ივლისის თვეში დანიშნული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა ალექსანდრე ლაშქარავას საქმეზე გამოძიებას გადაეცა 2021 წლის ოქტომბრისა და დეკემბრის თვის ბოლოს.[247] ექსპერტიზის დასკვნების გაცემის ხანგრძლივი დაგვიანება აფერხებს გამოძიების მიმდინარეობას და იწვევს პროცესის ყველა მონაწილის უფლებრივ ზიანს.

---

[245] 2022 წლის 12 იანვრის ექსპერტის დასკვნა N007516321.

[246] 2021 წლის 4 მარტის ექსპერტის დასკვნა N003471720; 2021 წლის 4 მარტის ექსპერტის დასკვნა N003424820; 2021 წლის 19 აგვისტოს ექსპერტის დასკვნა N005776721; 2021 წლის 6 სექტემბრის ექსპერტის დასკვნა N001190720.

[247] 2021 წლის 13 ოქტომბრის N004919621 ექსპერტის დასკვნა; 2021 წლის 30 დეკემბრის N004841921 დასკვნა.

თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

საანგარიშო პერიოდში კვლავ გამოვლინდა სხვადასხვა აღკვეთის ღონისძიების, ძირითადად - პატიმრობის გამოყენებასა და გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარვეზები. მოქალაქეთა უფლებების დარღვევის წინაპირობა კვლავ არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი. 2021 წელს თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებასთან მიმართებით, ახალი გამოწვევებიდან უნდა აღინიშნოს უცხოელთა მიმართ საექსტრადიციო ვადების ხარვეზიანი გამოყენება და ყოფილ მსჯავრდებულთა პოლიციაში დაბარების პრაქტიკა.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა და გასაჩივრების ხარვეზები

აპარატის შესწავლილ საქმეებში გამოიკვეთა საერთო სასამართლოების კანონსაწინააღმდეგო პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან შეცვლის განჩინება საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში არა 48 საათში, არამედ, საქმის განხილვის დასრულების შემდეგ, განაჩენთან ერთად. ამ შინაარსის განჩინება გამოვიდა ბრალდებული ს. ქ.-ის მიმართ,[248] ბრალდებული ნ. მ.-ს მიმართ,[249] აგრეთვე თბილისის სააპელაციო სასამართლოში განხილულ 9 საქმეში.

ცხადია, მსგავსი პრაქტიკა ყოველგვარ აზრს უკარგავს აღკვეთის ღონისძიების განჩინების გასაჩივრებას, რადგან განაჩენის გამოტანასთან ერთად აღკვეთის ღონისძიება მოქმედებას წყვეტს. საქმის სასამართლოსთვის გადაცემისა და განხილვის დროს გამოძიება უკვე დასრულებულია და ყველა შემაჯამებელ გადაწყვეტილებას აღკვეთის ღონისძიების თაობაზე იღებს მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლო.

გარდა ამისა, საანგარიშო წელს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გამოვლინდა პატიმრობის გადასინჯვის განხილვის მნიშვნელოვანი ხარვეზი. მოსამართლემ შ.ო.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხი ისე განიხილა, რომ სხდომის შესახებ ინფორმაცია არ მიაწოდა მხარეებს, არ მოიწვია ისინი სხდომაზე და მხარეთა დასწრების გარეშე, ძალაში დატოვა გამოყენებული პატიმრობა.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს განმარტებით, მხარეთა მოწვევის გარეშე აღნიშნული სხდომა ჩატარდა იმიტომ, რომ მხარეებს არ ჰქონდათ წარმოდგენილი ახალი არსებითი გარემოებები ან/და შუამდგომლობები, რომლებიც საფუძვლად დაედებოდა ბრალდებულის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიების შეცვლას ან გაუქმებას.

[248] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 13 ივლისის განჩინება.
[249] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 25 თებერვლის განჩინება.

ამასთან, იწურებოდა საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული, პატიმრობის გადასინჯვის ორთვიანი ვადა.[250]

გარდა იმისა, რომ მოსამართლის მიერ მხარეთა დასწრების გარეშე პატიმრობის საკითხის გადაწყვეტა საპროცესო კანონმდებლობის უხეში და აშკარა დარღვევაა, სასამართლოს არგუმენტაცია გაუგებარია - მხარე ვერ შეძლებდა პატიმრობის შეცვლის საჭიროებასთან დაკავშირებული გარემოებების მოსამართლისთვის წარდგენას, თუ სხდომაზე საერთოდ არ მიიწვევდნენ, ხოლო პატიმრობის გადასინჯვის ვადის ამოწურვამდე დარჩენილი იყო 19 დღე, რა დროშიც რამდენიმე სხდომა იყო ჩანიშნული და ჩატარდა კიდეც.

სახალხო დამცველის აპარატმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამოუკიდებელ ინსპექტორს მიმართა.[251] დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა გაიზიარა სახალხო დამცველის აპარატის პოზიცია და დაადგინა „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთი სახე, კერძოდ, მოსამართლის ქმედება, რომელიც არ შეეფარდება მოსამართლის მაღალ სტატუსს. თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ საქმის განმხილველი მოსამართლე მ. კ. 65 წლის ასაკის მიღწევის გამო გათავისუფლებულია მოსამართლის თანამდებობიდან, შეწყდა დისციპლინური საქმისწარმოება.[252]

პასპორტის დაუსაბუთებლად ჩამორთმევა

ერთ-ერთი გამოძიების ფარგლებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, 2020 წლის 22 დეკემბერს, სხვა ნივთებთან ერთად, ამოღებულ იქნა ისრაელის მოქალაქე ი.ვ.-ს და მისი მეუღლის, ბელორუსის მოქალაქე კ.ვ.-ს პასპორტები. საგულისხმოა, რომ გამოძიება არ მიმდინარეობდა პასპორტების შესაძლო გაყალბების ან რაიმე ისეთ ფაქტზე, რა შემთხვევაშიც მიზანშეწონილი იქნებოდა სხვა ნივთებთან ერთად მოქალაქეების პასპორტების ამოღება. 2021 წლის 4 თებერვლისთვის ამ პირებს, რომლებიც არ იყვნენ ბრალდებულები, კვლავ არ ჰქონდათ დაბრუნებული პასპორტები, რის გამოც მათ ვერ შეძლეს პროფესიული საქმიანობის განხორციელება. სახალხო დამცველის აპარატის კომუნიკაციის შემდგომ, ი.ვ.-ს და კ.ვ.-ს პასპორტები დაუბრუნდათ 2021 წლის თებერვალში.[253]

ამ პერიოდში ი.ვ.-სა და კ.ვ.-ს მიმართ არ მიმდინარეობდა სისხლისსამართლებრივი დევნა და არ იყო გამოყენებული პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერება, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.[254] სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის არასწორად გამოყენების - ჩხრეკის

[250] ოზურგეთის რაიონული სასამართლოს N771/21 წერილი.
[251] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 16 ივნისის 15-10/5740 წერილი.
[252] დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2022 წლის 25 თებერვლის N125-69-03 წერილი.
[253] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 23 თებერვლის N13/10078 წერილი.
[254] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 163-165.

შედეგად ამოღებული მათი პასპორტების ამოღების გამო, მათ შეეზღუდათ გადაადგილების თავისუფლებით სარგებლობის უფლება.

საექსტრადიციო პატიმრობის ვადები

2020-2021 წლებში სახალხო დამცველმა შეისწავლა ადვოკატების მ.ზ.-მ და ი.კ.-ს განცხადებები უცხო ქვეყნის მოქალაქეების ი.ო.-ს, ბ.ჩ-ს, ა.ი.-ს და თ.ე.-ს მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების კანონიერებასთან დაკავშირებით. საკითხის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ პირის ექსტრადიციის საკითხის არსებითად შესწავლა, უმეტეს შემთხვევაში, იწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ექსტრადიციას დაქვემდებარებული მსჯავრდებული პირი თავისუფლდება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან.

ამრიგად, ამჟამად არსებული პრაქტიკით, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე იმყოფება ქართულ ციხეში და საქართველოს პროკურატურა იღებს უცხო ქვეყნისგან მოთხოვნას ამ პირის ექსტრადიციასთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურა ელოდება, სანამ აღნიშნული პირი სრულად არ მოიხდის სასჯელს და მხოლოდ შემდგომ იწყებს საექსტრადიციო საქმისწარმოებას. საქმისწარმოების ფარგლებში პროკურატურა ითხოვს პირისთვის დამატებითი პატიმრობის შეფარდებას, რასაც საერთო სასამართლოები აკმაყოფილებენ. მაგალითისთვის, თუ პირს სასჯელის სახით დარჩენილი აქვს 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, პროკურატურა საქმისწარმოებას იწყებს ამ ვადის ამოწურვის და პირის გათავისუფლების შემდგომ, რაც პირისთვის პატიმრობის დამატებით შეფარდებას იწვევს. თუ პროკურატურა დაუყოვნებლივ დაიწყებდა საექსტრადიციო საქმისწარმოებას, მაშინ პირის გათავისუფლების შემდგომ მისი ხელახალი დაპატიმრება საჭირო არ გახდებოდა - რაკი ექსტრადიციის საკითხი მისი ციხიდან გათავისუფლებამდე იქნებოდა შესწავლილი.

მომავალში საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების დროს პირის თავისუფლების უფლების გათვალისწინების მიზნით, 2021 წლის 7 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა საკანონმდებლო წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს. წინადადების გაზიარების შემთხვევაში, დაუშვებლად იქნება ცნობილი საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენება ან/და გაგრძელება იმ შემთხვევაში, თუ პირის მიმართ საექსტრადიციო საქმისწარმოებისათვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული აქვს 9 თვე მის მიმართ მიმდინარე, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილ ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში.[255]

[255] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 7 დეკემბრის N15-2/11520 წინადადება.

ყოფილი მსჯავრდებულების პოლიციაში დაბარების პრაქტიკა

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლებული თ.ტ.-ს განცხადება, რომლის განმარტებით, იგი გასაუბრებაზე დაიბარეს პოლიციის განყოფილებაში. პოლიციაში მას განუმარტეს, რომ ყველა გათავისუფლებული პატიმარი ასეთ გასაუბრებას გადის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულ საკითხს არეგულირებს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 1 ივლისის N02ს-N010 ერთობლივი საიდუმლო ბრძანება.[256] სამინისტროს არ უცნობებია, ნებაყოფლობითია თუ არა გათავისუფლებულ პატიმრებთან პოლიციის განყოფილებაში გასაუბრება ან პოლიციის განყოფილებაში გამოცხადებასა ან/და გასაუბრებაზე უარის თქმის შემთხვევაში ეკისრება თუ არა მოქალაქეს რაიმე სახის პასუხისმგებლობა.

საგულისხმოა, რომ აკრძალულია იმ ინფორმაციის დასაიდუმლოება, რომლითაც შეიძლება შეიზღუდოს ადამიანის უფლებები და შეილახოს მათი კანონიერი ინტერესები.[257] შესაბამისად, თუ ზემოაღნიშნული საიდუმლო ბრძანება ავალდებულებს გათავისუფლებულ პატიმრებს გამოცხადდნენ პოლიციის განყოფილებაში, აღნიშნული ბრძანება უნდა განსაიდუმლოვდეს, რათა მოქალაქისათვის ცნობილი იყოს მისი ვალდებულებები და შესაძლო პასუხისმგებლობის ზომა პოლიციის განყოფილებაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში. აღნიშნული დოკუმენტის საჯაროობის გარეშე, ყოფილი მსჯავრდებულებისთვის უცნობი იქნება, არის თუ არა პოლიციაში გამოცხადება მისი კანონისმიერი ვალდებულება, რა სანქცია შეიძლება მოყვეს აღნიშნული ვალდებულების შესრულებას, რა უფლება-მოვალეობებით სარგებლობს იგი პოლიციაში გამოცხადებისას და ა.შ. აღნიშნული დოკუმენტის დასაიდუმლოებისა და პირისთვის მისი უფლება-მოვალეობების შეუტყობინებლობის გამო, კონკრეტული პირის სანქცირებამ შესაძლოა სამომავლოდ კანონიერების პრინციპის პრობლემა წარმოშვას.

ბრალდებულად ცნობამდე პირის იძულებით გადაყვანა და მოწმის სახით გამოკითხვა

გრძელდება პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც პირები, რომელთა მიმართ ბრალდების წარდგენაც იგეგმება, თავდაპირველად ფაქტობრივი დაკავების პირობებში, იძულებით გადაყავთ პოლიციის შენობაში, მასთან ატარებენ საგამოძიებო მოქმედებას მოწმის სახით (პირი არ სარგებლობს ბრალდებულის უფლებებით, რადგან ფორმალურად ბრალდება არ წარდგენია) და მხოლოდ შემდეგ ხდება მათი დაკავების ფორმალურად გაფორმება.

[256] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 5 მაისის NMIA 1 21 01125329 წერილი.
[257] „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

სახალხო დამცველის აპარატმა 2021 წელს შეისწავლა ე. მ.-სა და ლ. ბ.-ს საქმე, ვინც 2019 წლის 10 ივლისს თბილისში, პოლიციის თანამშრომლებმა ფაქტობრივად დააკავეს. კერძოდ, ე. მ.-ს განმარტებით, პოლიციელებმა ისინი გაჩხრიკეს (თუმცა ოქმი არ შეუდგენიათ), ჩამოართვეს პირდი ნივთები და გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც არ ეძლეოდათ თავისუფლად გადაადგილებისა და შენობის დატოვების უფლება. საქმის მასალების თანახმად, ე. მ.-ს დაკავება განხორციელდა მასთან მოწმის სახით საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდგომ. აღნიშნული გარემოებები ასევე დაადასტურა ლ. ბ.-მ, მათ შორის, 2020 წლის 30 მარტს საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე დაკითხვისას.

2021 წლის 14 დეკემბრის მდგომარეობით, პოლიციის თანამშრომელთა მიერ ე. მ.-ს დაკავებისას სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე გამოძიება უშედეგოდ მიმდინარეობს.[258]

ივანე მერაბიშვილის საქმე

2021 წელს სახალხო დამცველის აპარატმა გააგრძელა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე 2018 წლის 12 ივლისს განახლებული გამოძიების მასალების გაცნობა ივანე მერაბიშვილის საკნიდან გაყვანისას სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე. სახალხო დამცველის რწმუნებული 2021 წლის 18 იანვარს, 1 ივლისსა და 28 დეკემბერს გაეცნო განახლებული გამოძიების მასალებს.

აპარატის მიერ გამოძიების მასალების უშუალოდ გაცნობისა და შესწავლის შემდგომ, სახალხო დამცველმა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის წინაშე მორიგი კომუნიკაციები წარადგინა, სადაც საუბარია ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით განხორციელებული ინდივიდუალური და სისტემური ღონისძიებების ეფექტიანობის შესახებ. ინდივიდუალური ღონისძიების - ივანე მერაბიშვილის საკნიდან სავარაუდო გაყვანის გამოძიების - კუთხით, სახალხო დამცველმა ყველა კომუნიკაციაში მიუთითა, რომ გამოძიება წარიმართა მნიშვნელოვანი შეფერხებებით.

2019 წლის 1 ოქტომბერს გამოძიების მასალების გაცნობისა და გამოძიების მიმდინარეობის მონიტორინგის დაწყების შემდგომ, მინისტრთა კომიტეტისთვის სახალხო დამცველის მიერ გაგზავნილ ყველა რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ რიგი საგამოძიებო მოქმედებები (მათ შორის, სახალხო დამცველის მიერ მოთხოვნილი) ჩატარდა, განახლებული გამოძიების არასრულყოფილი და დაგვიანებული ხასიათის გათვალისწინებით, მინისტრთა კომიტეტის წინაშე აღებული ვალდებულება შესრულებულად ვერ ჩაითვლება. გამოძიების განსაკუთრებულ ნაკლად სახალხო

[258] 2021 წლის 14 დეკემბრის საქართველოს გენერალური პროკურატურის N13/75434 წერილი.

დამცველმა მთავარი მოწმეების დროულად არგამოკითხვა, ამოცნობისა არჩატარება და გამოძიებაში მსხვერპლის არასათანადო ჩართულობა მიუთითა.

ადმინისტრაციული დაკავებების პრაქტიკა

სახალხო დამცველის აპარატმა 2021 წელს ადმინისტრაციულ დაკავებებთან დაკავშირებული არაერთი საქმე შეისწავლა.

2021 წლის 30 ოქტომბერს დაკავებული სამოქალაქო აქტივისტები ნ.ნ., გ.მ., ა.მ. და კ.კ. დაკავების საპროცესო ვადებისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევაზე მიუთითებდნენ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოდან გამოთხოვილი მასალების შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველის აპარატმა დაადგინა, რომ სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დაწყების მომენტისთვის ოთხივე დაკავებული პირის დაკავების მაქსიმალური, 48-საათიანი ვადა ამოწურული იყო.[259] თუმცა, დაკავებულები არ გაათავისუფლეს და სასამართლომ დაკავების ვადა დარღვეულად არ მიიჩნია.

ამავე საქმეში გამოვლინდა დარღვევები, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განხილვებს წლების განმავლობაში თან სდევს - სასამართლომ არ მისცა დაკავებულებს დრო და შესაძლებლობა მტკიცებულებების მოპოვებისთვის და გაიზიარა სამართალდამცავთა მიერ შედგენილი ოქმი, რომელიც მნიშვნელოვანი ხარვეზებით იყო შევსებული. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმის საჭიროებაზე სახალხო დამცველი ყოველწლიურად მიუთითებს.

სახალხო დამცველის აპარატი ასევე სწავლობს თბილისში გამართულ საპროტესტო აქციებზე - 2021 წლის 10 ნოემბერს დაკავებული 38 პირისა და 2021 წლის 29 ნოემბერს დაკავებული 8 პირის საქმეს. დაკავებულები აცხადებენ, რომ მათ მიმართ ადმინისტრაციული საქმეების წარმოებისას დაირღვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, ადმინისტრაციული დაკავებისთვის გამოყენებული იქნა 48 საათი სრულად, როდესაც ამის საჭიროება არ არსებობდა. სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ზემოხსენებული საქმეების მასალები, რომელიც ამ დრომდე არ წარმოდგენილა.

სამართლიანი სასამართლოს უფლება

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა რამდენიმე სასამართლო მეგობრის მოსაზრება და საჯარო განცხადება გამოაქვეყნა. დევნის მიმდინარეობისა და სასამართლო

[259] კერძოდ, აღნიშნული პირები დააკავეს 2021 წლის 30 ოქტომბერს 10:25-11:25 საათების პერიოდში, სასამართლოში მასალები წარადგინეს 2021 წლის 1 ნოემბერს 10:15 საათზე. 2021 წლის 1 ნოემბრის 11:25 საათისთვის ამოწურული იყო მათი დაკავების მაქსიმალური, 48-საათიანი ვადა, თუმცა დაკავებულები არ გათავისუფლებულან. ისინი მოსამართლეს წარუდგინეს და სასამართლო სხდომები დაიწყო 2021 წლის 1 ნოემბრის 12:13, 14:13, 15:30 და 15:42 საათებზე.

განხილვის პროცესში დაფიქსირებული პრობლემები შეეხებოდა როგორც მატერიალური გარანტიების (მათ შორის, კანონიერების პრინციპისა და ნორმის განჭვრეტადობის), ისე - საპროცესო გარანტიების (სხდომაში უშუალოდ მონაწილეობის, მოწმის დაკითხვის, ადვოკატთან კომუნიკაციისა და განაჩენის გაცნობის) უხეშ დარღვევებს.

ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას ბრალდება („კარტოგრაფების საქმე")

ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას ბრალდების საქმის მასალების შესწავლის შედეგად, 2021 წლის 25 თებერვალს, სახალხო დამცველმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა.[260] დოკუმენტი მიმოიხილავს ორ ძირითად საკითხს: წარდგენილი ბრალდების შესაბამისობას კანონიერების კონსტიტუციურ პრინციპსა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლთან.

დოკუმენტში გაანალიზებულია კანონიერების პრინციპის ელემენტები, რომლის თანახმადაც, ექსპერტის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, მის მიერ წარდგენილ საექსპერტო მოსაზრებასთან დაკავშირებით, როდესაც მის მიერ სისხლის სამართლის კანონით აკრძალული ქმედების ჩადენა არ დასტურდება, ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისა და ქმედების კრიმინალიზაციის ძირითად პრინციპებს. საქმეში არსებული მტკიცებულებებით ვერ დასტურდება, რომ ბრალდებულები არაკეთილსინდისიერად ასრულებდნენ საკუთარ მოვალეობებს, ან გააჩნდათ კორუფციული, თაღლითური, მოტყუების, ანგარების, ან სხვა ელემენტი, რომელიც მათ მიერ საექსპერტო საქმიანობის ფარგლებში ბოროტ განზრახვას დაადასტურებდა.[261] 1:200 000 მასშტაბის რუკა, რომლის არგამოყენებასაც ეფუძნება ბრალდება, საქმის არსებითი განხილვის დროისთვის ბრალდების მხარეს ვარგისიანობის კუთხით შემოწმებული არც ჰქონდა.

სისხლისსამართლებრივი დევნის სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა ასევე იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ტესტით და შეაფასა ბრალდების წარდგენის დროს არასამართლებრივი, აკრძალული (პოლიტიკური ან სხვა) მოტივის სავარაუდო არსებობა. ევროპული სასამართლოს უახლესი პრაქტიკის გათვალისწინებით, შეფასდა, (1) არსებობდა თუ არა საქმეში პოლიტიკური ან სხვა უკანონო ქვენა მოტივი; და (2) უპირატესი იყო თუ არა პოლიტიკური ან სხვა მოტივი შესაძლო კანონიერ მოტივთან შედარებით.[262] გამოძიების დაწყებისა და მიმდინარეობის აშკარა პოლიტიკური მდგენელისა[263] და საქმეში არსებული

---

[260] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 25 თებერვლის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.

[261] საგულისხმოა, რომ ბრალდებულების მიერ მოწმის სახით გამოკითხვისას მითითებული ინფორმაცია დადასტურდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებებითაც.

[262] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ [GC], 72508/13, § 309, 292.

[263] გამოძიებისა და დევნის დაწყება საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას დაემთხვა, მთავარ განსახილველ წინასაარჩევნო საკითხად იქცა და სახელისუფლებო პარტიის წინასაარჩევნო პოლიტიკური კამპანიისთვის გამოიყენებოდა. ამას მოწმობს დოკუმენტში მოხმობილი, მმართველი პოლიტიკური

მძიმე სამართლებრივი ხარვეზების[264] გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეს აშკარად გააჩნია პოლიტიკური ან სხვა უკანონო მოტივი, რომელიც საქმეში არსებული ხარვეზების ფონზე, კანონიერ მოტივს გადაწონის, რაც, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევად ფასდება.

მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის საქმე

2022 წლის 12 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლომ მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე უდანაშაულოდ ცნო უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში, თუმცა დამნაშავედ ცნო დიდი ოდენობით წინასწარი შეთანხმებით ჩადენილ ჯგუფურ თაღლითობაში. დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, აღნიშნული ქმედებისთვის ჩადენილი სასჯელი გაუქმდა.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 2020 წლის 9 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა აღნიშნულ საქმეზე სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარადგინა[265] და სწორედ იმას მიუთითებდა, რომ სახეზე არ იყო ფულის გათეთრების ქმედების შემადგენლობა.

სასამართლო მეგობრის მოსაზრება მიმოიხილავს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) შინაარსობრივ, სტრუქტურულ და მიზნობრივ ელემენტებს და განიხილავს, თუ რატომ არის ფულის გათეთრება კონვენციური წარმომავლობის დანაშაული, რა სპეციალური წინაპირობები, სქემა და მიზანი ესაჭიროება ამ დანაშაულის ჩადენას და რატომ უნდა განიმარტოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული შესაბამისი ნორმა მისი ავტონომიური შინაარსის მიხედვით. სამართლებრივი ანალიზის შემდგომ, სასამართლო მეგობრის მოსაზრება მიმოიხილავს კონკრეტული ბრალდების საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რომელიც მიუთითებდა ფულის გათეთრებისთვის საკვანძო ელემენტების - რეგულარული და არაერთგზისი პრედიკატული დანაშაულის, უკანონო ლეგალიზაციის მრავალჯერადი და დაწვრილმანებული სქემისა და უკანონო ლეგალიზაციის მიზნის - თანხის ბრალდებულთა ანგარიშზე დაბრუნების არარსებობაზე, რაც ცალსახად მიუთითებდა, რომ ბრალდებაში აღწერილი ქმედება ფულის გათეთრება ვერ იქნებოდა.

პარტიის მაღალჩინოსნების, პოლიტიკური საბჭოსა და მთავრობის წევრების, პარლამენტარებისა და სხვების მიერ წინასაარჩევნო პერიოდში გაკეთებული ათეულობით განცხადება, რომლებიც ამ საქმეს სხვა პოლიტიკური პარტიების კრიტიკისთვის იყენებდნენ. მეტიც, საქმის მასალებიდან გამოიკვეთა, რომ ამ საქმეზე გამოძიების დაწყება განაპირობა პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირმა და წინასწარ შეთანხმებული იყო შესაბამისი პარტიის ხელმძღვანელთან.

[264] ზემოთ აღნიშნული საკითხების გარდა, დაწყებული გამოძიების ფარგლებში უმნიშვნელოვანესი ექსპერტიზა ჩატარდა 4 დღეში და მასში მონაწილეობდა ბრალდების მთავარ მოწმეზე სამსახურებრივად დაქვემდებარებული პირი. ამასთან, პირებს ბრალდება ისე წარედგინათ, რომ 1936-38 წლების 1:200 000 მასშტაბის რუკის ვარგისიანობა არც კი იყო დადგენილი და შესაბამისი ექსპერტიზა თვეების განმავლობაში არ დანიშნულა. ბრალდება, რომლის შინაარსი რუკის არგამოყენებაა, არ უნდა წარდგენილიყო იქამდე, სანამ რუკის ვარგისიანობა არ დადგინდებოდა.

[265] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3H2dODx > [ბოლოს ნანახია: 26.01.2022].

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 12 იანვრის განაჩენიდან იკვეთება, რომ სასამართლომ აღნიშნული პოზიცია სრულად გაიზიარა, მიმოიხილა ფულის გათეთრების ხსენებული სქემა და წინაპირობები და დარწმუნდა, რომ განხილული ქმედება არ წარმოადგენდა სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებულ კონვენციურ დანაშაულს.[266] სახალხო დამცველის აპარატი აღნიშნული საქმის მიმდინარეობას სააპელაციო სასამართლოშიც დააკვირდება.

საქმის მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ განხილვის უფლება

2021 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა რამდენიმე საქმე, სადაც განმცხადებლები მიუთითებდნენ, რომ მათი საქმის განმხილველი მოსამართლე ყოფილი გენერალური პროკურორი იყო, რის გამოც ირღვეოდა მათი უფლება მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის განხილვაზე. სახალხო დამცველის აპარატი აღნიშნულ საქმეებს განიხილავს ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი მიუკერძოებლობის ტესტის მიხედვით.

კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი მოითხოვს, რომ სასამართლო უნდა იყოს „მიუკერძოებელი". მიუკერძოებლობა ჩვეულებრივ ნიშნავს წინასწარი განწყობის ან ტენდენციურობის არარსებობას, რაც სხვადასხვა გზით შეიძლება შემოწმდეს.[267] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სასამართლოს მიუკერძოებლობის საკითხს განიხილავს სუბიექტური და ობიექტური ტესტის დაკმაყოფილების ჭრილში.

- სუბიექტური ტესტი

სასამართლოს განმარტებით, დაცული უნდა იყოს მოსამართლის პირადი მიუკერძოებლობის პრეზუმფცია, სანამ არ იქნება წარმოდგენილი საკმარისი მტკიცებულებები საწინააღმდეგო ვარაუდისთვის.[268] სასამართლომ შეიძლება მოითხოვოს მტკიცებულებები იმის დასადგენად, გამოავლინა თუ არა მოსამართლემ კეთილგანწყობილი ან მტრული დამოკიდებულება პირადი მიზეზების გამო.[269] მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოსამართლეს შესაძლოა მიეღო დაცვის მხარისთვის არახელსაყრელი პროცედურული გადაწყვეტილებები, არ მიუთითებს მიუკერძოებლობის ნაკლებობაზე.[270] როდესაც მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის უარყოფისათვის მტკიცებულების მოპოვება რთულია, განსახილველი ხდება ობიექტური მიუკერძოებლობის გარანტია.[271]

---

[266] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 12 იანვრის განაჩენი, გვ. 36-40.
[267] Kyprianou v. Cyprus N73797/01 15.12.2005 წ. §118; Micallef v. Malta N17056/06 15.10.2009 წ. §93.
[268] Kyprianou v. Cyprus N73797/01 15.12.2005 წ. §119; Hauschildt v. Denmark N10486/83 24.05.1989 წ. §47.
[269] De Cubber v. Belgium N9186/80 26.10.1984 წ. §25.
[270] Khodorkovskiy and Lebedev v. Russia N11082/06 და N13772/05 25.07.2013 წ. §538.
[271] Morice v. France N29369/10 23.04.2015 წ. §75.

- ობიექტური ტესტი

ობიექტური მიუკერძოებლობის მიდგომა, ძირითადად, ეხება იერარქიულ და სხვა სახის კავშირებს მოსამართლესა და საქმეში ჩართულ სხვა პირებს შორის, რომლებიც ობიექტურად ამართლებს ეჭვს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.[272] ამგვარად, თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს, შესაბამის საქმეში კონკრეტული ურთიერთობის ხასიათი თუ არის იმ ხარისხის, რომელიც მიანიშნებდა მიუკერძოებლობის არარსებობაზე სასამართლოს მხრიდან.[273]

ობიექტური ტესტის მიხედვით, უნდა დადგინდეს, არის თუ არა ფაქტები და გარემოებები, რამაც შეიძლება ეჭვი გააჩინოს სასამართლოს მიუკერძოებლობაში. კონკრეტულ საქმეში გადაწყვეტილების მიღების პროცესში არის თუ არა საფუძველი, რომ კონკრეტული მოსამართლე არ არის მიუკერძოებელი. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, არის თუ არა ობიექტურად გამართლებული ასეთი ეჭვი.

მაგალითისთვის, ევროპულმა სასამართლომ მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძვლად მიიჩნია მისი მონაწილეობა კანონმდებლობის მიღებაში, რომლის გამოყენებითაც შემდეგ, როგორც მოსამართლეს უნდა გადაეწყვიტა საქმე.[274] ერთ-ერთ საქმეში კი სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გარემოებაზე, რომ ახალ სასამართლო აქტს შესაძლოა მოჰყვეს თავდაპირველ სამართალწარმოებაში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების გადახედვა.[275]

ამასთან, ევროპული სასამართლომ არაერთ საქმეში აღნიშნა, რომ მოსამართლის მიუკერძოებლობის საკითხის განხილვისას, ობიექტური ტესტის მიხედვით, დაინტერესებული მხარის პოზიცია და შიში მნიშვნელოვანია, თუმცა არა გადამწყვეტი და საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, არის თუ არა მოსამართლის მიუკერძოებლობის შესახებ ეჭვები გამართლებული ობიექტური გარემოებებით.[276]

სასამართლოს მიუკერძოებლობის საკითხი დგება ისეთ შემთხვევებში, სადაც არის ფუნქციონალური ხასიათის.[277] მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოსამართლე ადრე იყო პროკურატურის თანამშრომელი, არ არის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი.[278] ანალოგიურად, მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოსამართლემ მიიღო წინასასამართლო გადაწყვეტილებები იმავე საქმეზე, მათ შორის, წინასწარი პატიმრობის

[272]Micallef v. Malta N17056/06 15.10.2009 წ. §97.
[273]Pullar v. the United Kingdom N22399/93 10.06.1994 წ. §38.
[274] McGONNELL v. UNITED KINGDOM N28488/95 08.02.2000 წ. §55.
[275]INDRA v SLOVAKIA N46845/99 01.02.2005 წ. §53.
[276]PETUR THOR SIGURDSSON v. ICELAND N39731/98 10.04.2003 წ. §37.
[277]პროცესის ფარგლებში სხვადასხვა ფუნქციის განხორციელება ერთი და იმავე პირის მიერ, ან იერარქიულ ან სხვა კავშირები სამართალწარმოებაში მონაწილე პირთან) და პიროვნული (მოსამართლის ქცევიდან გამომდინარეობს, იხ. Kyprianou v. Cyprus N73797/01 15.12.2005 წ. §121
[278]Paunović v. Serbia N54574/07 03.12.2019 წ. §§ 38-43.

შესახებ, თავისთავად არ წარმოადგენს მიკერძოებულად ჩაითვალოს - მნიშვნელობა აქვს მიღებული გადაწყვეტილების შინაარსს და ბუნებას.[279]

ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, რადიკალურია საკითხის იმგვარად გადაწყვეტა, რომ ბრალმდებლის როლში მყოფ ყოფილ სასამართლო თანამდებობის პირებს არ შეუძლიათ გამოვიდნენ მოსამართლედ იმ საქმეზე, რომელიც, თავდაპირველად, გამოძიებული იყო მათი უწყების მიერ, თუნდაც მათ პირადად არასოდეს ჰქონოდათ საქმე წარმოებაში. ამიტომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოსამართლე ერთ დროს დასაქმებული იყო სახელმწიფო ბრალმდებლის უწყებაში, არ არის მის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი.[280]

თუმცა სწორედ იმ საქმეში, სადაც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულ სტანდარტს გაუსვა ხაზი, ასევე აღინიშნა, რომ მხოლოდ ფუნქციურ კრიტერიუმზე დაყრდნობა არ არის საკმარისი. მხედველობაში მისაღებია შიდაორგანიზაციული საკითხებიც. ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, პირი, რომელიც წარსულში იმგვარ პოზიციას იკავებდა, რომლის ხასიათის გათვალისწინებით, მოვალეობათა განხორციელების პროცესში შესაძლოა მოცემულ საქმესთან ჰქონოდა შეხება და შემდგომ იმავე საქმის განხილვაში მონაწილეობს მოსამართლის სტატუსით, საზოგადოებას უჩენს გონივრულ ეჭვს, რომ არ არის უზრუნველყოფილი მიუკერძოებლობის საკმარისი გარანტიები. [281]

სასამართლო ყურადღებას ამახვილებს თითოეული საქმის ინდივიდუალური გარემოებების შეფასების საჭიროებაზე.[282] მაგალითისთვის, განმცხადებლის ეჭვი ობიექტურად გამართლებულად ჩაითვალა მაშინ, როცა წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების გადაწყვეტილება მოითხოვდა ბრალის საკითხის შეფასებას გამომძიებელი მოსამართლის მიერ.[283] გამომძიებელი მოსამართლისა და საქმის განმხილველი მოსამართლის ფუნქციების განხორციელებამ ერთი და იმავე პირის მიერ გამოიწვია მიუკერძოებლობლობის პრინციპის დარღვევა.[284] სასამართლო მიუკერძოებლობის პრობლემა არ არის ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლემ უკვე გამოიტანა ფორმალური და პროცედურული გადაწყვეტილებები პროცესის სხვა ეტაპებზე,[285] თუმცა მიუკერძოებლობის პრობლემა დგება, თუ პროცესის სხვა ეტაპებზე მოსამართლემ უკვე გამოთქვა მოსაზრება პირის ბრალეულობის შესახებ.[286]

---

[279]Fey v. Austria N14396/88 24.02.1993 წ. §30; Sainte-Marie v. France N12981/87 16.12.1996 წ. §32; Nortier v. Netherlands N13924/88 24.08.1993 წ. §33.

[280]PIERSACK v. BELGIUM N8692/79 01.10.1982 წ. §30.

[281]PIERSACK v. BELGIUM N8692/79 01.10.1982 წ. §30.

[282]Borg v. Malta N37537/13 12.04.2016 წ. §89.

[283]Hauschildt v. Denmark N10486/83 24.05.1989 წ. §§49-52.

[284]De Cubber v. Belgium N9186/80 26.10.1984 წ. §§27-30.

[285]George-Laviniu Ghiurău v. Romania N15549/16 16.06.2020 წ. §67, Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights Right to a fair trial (criminal limb)31.12.2021 წ. გვ. 28.

[286]Gómez de Liaño y Botella v. Spain N21369/04 22.07.2008 წ. §§67-72, Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights Right to a fair trial (criminal limb)31.12.2021 წ. გვ. 28.

- საქართველოს შიდა კანონმდებლობა

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ზოგადი და აბსტრაქტული განცხადება კონკრეტულ და/ან მატერიალურ ფაქტებზე მითითების გარეშე, გონივრულ ეჭვს მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ვერ გამოიწვევს. ამასთან, იგი ყურადღებას ამახვილებს, იყო თუ არა მოსამართლის მიკერძოებაზე საჩივრის უარყოფის ადეკვატური საფუძველი და გამოსწორდა თუ არა პროცედურული ხარვეზი *ზემდგომი სასამართლოს* მიერ[287].

სასამართლო ხაზს უსვამს საკასაციო სამართალწარმოების უმნიშვნელოვანეს როლს, რომელიც წარმოადგენს განსაკუთრებულ ეტაპს სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში და რომელსაც პოტენციურად გადამწყვეტი შედეგები მოაქვს ბრალდებულისათვის. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების არსებობისას პირებმა ისარგებლონ მე-6 მუხლის ძირითადი გარანტიებით, მათ შორის, სასამართლოს მიუკერძოებლობით[288].

„პროკურატურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, გენერალური პროკურორი ხელმძღვანელობს საქართველოს პროკურატურას[289] და პასუხისმგებელია პროკურატურის საქმიანობაზე.[290] ამასთან, პროკურატურის საქმიანობა ერთიანი და ცენტრალიზებულია, რაც გულისხმობს ყველა ქვემდგომი პროკურორის დაქვემდებარებას გენერალური პროკურორისადმი[291] და მის წინაშე პასუხისმგებლობას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.[292]

გარდა ამისა, გენერალური პროკურორი, როგორც ზემდგომი პროკურორი, უფლებამოსილია გააუქმოს ან ცვლილება შეიტანოს ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში, და, რომლის შესრულებაც სავალდებულოა,[293] მათ შორის გააუქმოს ან შეცვალოს ქვემდგომი პროკურორის მიერ ქმედების კვალიფიკაციასთან, პირის ბრალდებასთან ან სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები.[294]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კასატორს (ბრალმდებელს, ზემდგომ პროკურორს) უფლებას ანიჭებს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე გაითხოვოს საკასაციო საჩივარი[295]. ამასთან, ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილია გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებული უკანონო ან/და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, შეიტანოს მასში ცვლილება ან შეცვალოს იგი ახალი

---

[287]Mikhail Mironov v. Russia N58138/09 06.10.2020 წ. §36.
[288] Morice v. France N29369/10 23.04.2015 წ. §88.
[289]„პროკურატურის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 15, პუნქტ. 1.
[290] იქვე, მუხ. 15, პუნქტ. 2, ქვეპუნქტ. „ვ".
[291]იქვე, მუხ. 5 ქვეპუნქტ. „დ"; მუხ. 9, პუნქტ. 1.
[292]იქვე, მუხ. 9, პუნქტ.2, ქვეპუნქტ. „ბ".
[293] იქვე, მუხ. 9, პუნქტ. 4; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 33, ნაწ. 3.
[294]საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლი 33. ნაწ. 6, ქვეპუნქტ. „გ", „ვ", „ზ", „ი".
[295]იქვე, მუხ. 303, ნაწ. 7.

გადაწყვეტილებით.[296] დამატებით, გენერალური პროკურორი უფლებამოსილია, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, ჩაატაროს ნებისმიერი საპროცესო მოქმედება.[297]

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სამი სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც საკასაციო საჩივრის განმხილველი საკასაციო პალატის ერთ-ერთი მოსამართლე იყო ყოფილი მთავარი/გენერალური პროკურორი შალვა თადუმაძე.

ს.გ.-ის საქმე

2021 წელს სახალხო დამცველის აპარატი გაეცნო ს.გ.-ის საქმეს, სადაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე შალვა თადუმაძე საქმის საკასაციო განხილვის დროს მონაწილეობდა სასამართლო პროცესში, ხოლო იმავე საქმეზე სააპელაციო სამართალწარმოების დროს ეკავა გენერალური პროკურორის თანამდებობა.

სახალხო დამცველი იზიარებს ევროპული სასამართლოს მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ, ცხადია, მარტოოდენ ის ფაქტი, რომ მოსამართლე წარსულში ახორციელებდა პროკურორის უფლებამოსილებას, არ არის საკმარისი მის მიუკერძოებლობაში ეჭვის შესატანად. თუმცა, დადგენილი სტანდარტით, მხედველობაში მისაღებია მისი სტატუსი პროკურატურის სისტემაში, იერარქიული წყობა და კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში მის მიერ გავლენის მოხდენის შესაძლებლობები.

საქართველოს პროკურატურის ვერტიკალური იერარქიიდან გამომდინარე, გენერალური პროკურორი არის პირი, რომლის მითითების შესრულება სავალდებულოა ნებისმიერი პროკურორისათვის. ევროპული სასამართლოს პოზიციით, მიუკერძოებლობის საკმარის გარანტიას არ უზრუნველყოფს ეროვნული სასამართლოების მხრიდან შემოწმება, იკვეთება თუ არა ყოფილი პროკურორის მხრიდან მოვალეობათა განხორციელების პროცესში სადავო საქმეში ჩარევის შემთხვევა. სწორედ იმიტომ, რომ *ფუნქციური თვალსაზრისით*, გენერალური პროკურორის უფლებამოსილების პერიოდში მას ჰქონდა შესაძლებლობა, რომ გავლენა მოეხდინა სისხლის სამართლის საქმეზე და არსებითი შეხება ჰქონოდა მასთან, ობიექტური მიუკერძოებლობის ტესტი დაკმაყოფილებულად ვერ ჩაითვლება.

აღსანიშნავია, რომ მოცემულ საქმეზე საკასაციო საჩივარი წარადგინა ბრალდების მხარემ. როგორც საჩივრის წარდგენის, ისე სრული სააპელაციო სამართალწარმოების განმავლობაში, შალვა თადუმაძე იკავებდა გენერალური პროკურატურის თანამდებობას. მაშინ, როდესაც მოსამართლის ობიექტური მიუკერძოებლობისა და შესაბამისად, აცილების პერსპექტივის საკითხი მრავალ ინდივიდუალურ გარემოებასა თუ ფაქტორზეა დამოკიდებული, მიგვაჩნია, რომ მოცემული შემთხვევა მკაფიოდ წარმოაჩენს პროკურატურის აქტიურ მოქმედებას, პროკურატურის ნებას მიმდინარე საქმის კონკრეტული შეფასებისა და კონკრეტული სამართლებრივი გავლენის მოხდენისა,

[296]საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხ. 33, ნაწ. 3.
[297]საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ, მუხ. 15, პუნქტ. „კ".

რომელიც ასახავს გენერალური პროკურორის ნებას. სწორედ ამიტომ, მსგავს პირობებში, დაუშვებელია საქმეზე მოსამართლედ მონაწილეობა.

ი.ფ.-ს და დ.ი.-ს საქმე

მსგავსი გარემოებები გამოიკვეთა მსჯავრდებული ი. ფ.-ს და დ. ი.-ს საქმეშიც. მსჯავრდებულების საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება[298] მიიღო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მოსამართლე შალვა თადუმაძის მონაწილეობით, რომელიც იმავე საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის, განაჩენის გამოტანის და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების დროს მთავარი/გენერალური პროკურორის თანამდებობას იკავებდა. შესაბამისად, არსებობდა მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი, რაც მოსამართლის საქმის განხილვაში მონაწილეობის შესაძლებლობას გამორიცხავდა მიუკერძოებლობის ობიექტური ტესტის დარღვევის გამო.

დავით კეზერაშვილის საქმე

დავით კეზერაშვილისა და ა.ნ.-ს საქმეში უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა მოსამართლე შალვა თადუმაძის აცილების შესახებ. განჩინების თანახმად, გენერალური პროკურორი არ წარმოადგენდა განსახილველ საქმეზე პასუხისმგებელი გამომძიებლებისა და პროკურორების ზედამხედველ პირს, ამასთან, მან მთავარი პროკურორის თანამდებობა დაიკავა მას შემდეგ, რაც განსახილველ საქმეზე საკასაციო საჩივარი შეტანილ იქნა უზენაეს სასამართლოში, ხოლო დაცვის მხარეს არ წარუდგენია რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება და არც საქმის მასალებიდან იკვეთება, რომ შალვა თადუმაძეს განსახილველ საქმესთან დაკავშირებით მიღებული აქვს რაიმე სახის გადაწყვეტილება.

იმის გათვალისწინებით, რომ შალვა თადუმაძის მთავარ/გენერალურ პროკურორად არჩევისთვის საკასაციო საჩივარი უკვე იყო გაგზავნილი საკასაციო სასამართლოში, საკასაციო საჩივრისა და შესაგებლის წარდგენიდან საქმის განხილვამდე არ იკვეთება რაიმე საპროცესო მოქმედების განხორციელება, რომლის განხილვასა და გადაწყვეტაში მონაწილეობდა ბრალდების მხარე. შესაბამისად, დავით კეზერაშვილისა და ა.ნ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან არ იკვეთება ობიექტური გარემოებები, რომლებიც ეჭვქვეშ დააყენებდა მოსამართლე შალვა თადუმაძის ობიექტურ მიუკერძოებლობას.

მიუკერძოებლობის ტესტის დაკმაყოფილების მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული განაჩენი ცალსახად არ აკმაყოფილებს დასაბუთებულობის მოთხოვნას.

2017 წლის 30 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოსა და 2018 წლის 23 მაისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენებით დავით კეზერაშვილი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ მისთვის წარდგენილ ბრალდებაში - გაფლანგვაში. ბრალდების თანახმად, დავით კეზერაშვილის ბრძანებით, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების

[298]საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 23 სექტემბრის განჩინება N229აპ-21.

დარღვევით, გაფორმდა ფიქტიური ხელშეკრულება დავით კეზერაშვილთან დაკავშირებული პირის ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ კომპანიასთან. ხელშეკრულების საგანი იყო სამინისტროს შესაბამისი ქვედანაყოფების გეგმიური საბრძოლო მომზადება. ბრალდების თანახმად კი, მსგავსი სწავლება საჯარისო დანაყოფებში უკვე მიმდინარეობდა.

ორი ინსტანციის განაჩენებში მითითებულია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით, სადავო ქმედების ჩადენის პერიოდში, სამინისტროს შესაბამის სამხედრო დანაყოფებში მიმდინარეობდა გარკვეული წვრთნები, თუმცა არ წარმოდგენილა რაიმე მტკიცებულება, რომ უკვე მიმდინარე წვრთნები იგივე წვრთნები იყო, რაზეც სადავო ხელშეკრულებები გაფორმდა. შესაბამისად, სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ ბრალდების მხარის მიერ მითითებული გარემოება ხელშეკრულებების ფიქტიურობის შესახებ დასაბუთებული არ იყო. სააპელაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ პროკურატურამ ვერ წარმოადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ სადავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული წვრთნები არ ჩატარებულა.

დავით კეზერაშვილის ქმედების გაფლანგვად შერაცხვისას საკასაციო სასამართლოს არ უმსჯელია ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებაზე, რომ ბრალდების მხარეს არ წარუდგენია დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები. კერძოდ, არ ჩატარებულა სადავო ხელშეკრულებების შედარებითი ანალიზი, არ მომხდარა სადავო ხელშეკრულებებით შესყიდული პროდუქტის იდენტიფიცირება და არ დადასტურებულა, რომ სადავო წვრთნები არ ჩატარებულა. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე არ გაიზიარეს საქალაქო და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა ბრალდების მხარის პოზიცია, უზენაესი სასამართლოსგან განსხვავებით.

საკასაციო სასამართლომ გაფლანგვის ჩადენის დამადასტურებლად მიიჩნია მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტისა და სხვა წერილობითი დოკუმენტაციის არარსებობა და განმარტა, რომ სხვა მტკიცებულებებთან შედარებით, უპირატესობა დოკუმენტურ მტკიცებულებებს ენიჭება. ამრიგად, სასამართლომ გაფლანგვის შემადგენლობა, ხელშეკრულებების ფიქტიურობა, ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომსახურების არმიღება და სხვა საკვანძო საკითხები ბრალდებულისთვის საწინააღმდეგოდ გადაწყვიტა მხოლოდ იმ ფაქტის საფუძველზე, რომ შედგენილი არ იყო მიღება-ჩაბარების აქტი.

გაფლანგვის დანაშაული გულისხმობს, რომ გადახდილი საფასურის სანაცვლოდ პირს არ მიუღია შესაბამისი ხარისხისა და ოდენობის პროდუქტი ან მომსახურება. სამივე ინსტანციის სასამართლოს განაჩენები დადასტურებულად მიიჩნევდა, რომ სადავო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული შესყიდვისა და გაწეული მომსახურების ამსახველი დოკუმენტაცია სათანადოდ არ იყო შედგენილი. ეს შესაძლებელია შეიცავდეს სამოხელეო დანაშაულის ნიშნებს, თუმცა, მხოლოდ წერილობითი მტკიცებულებების

არარსებობა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ვერ დაადასტურებს გაფლანგვის შემადგენლობის ჩადენას.

ამრიგად, დავით კეზერაშვილის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი ვერ აკმაყოფილებს გონივრული ეჭვს მიღმა სტანდარტის კონსტიტუციურ სტანდარტს და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს განაჩენის არასაკმარისი დასაბუთების გამო. განაჩენის დასაბუთებულობის ხარვეზი განსაკუთრებით დამაზიანებელია იმის გათვალისწინებით, რომ განაჩენის ავტორი საქართველოს უზენაესი სასამართლოა, რომლის გადაწყვეტილებაც გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე ჩატარებული ჩხრეკის კანონიერება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2020 წლის 25 დეკემბერს არაკონსტიტუციურად ცნო საპროცესო კოდექსის რიგი ნორმების ნორმატიული შინაარსი, რითიც გაუქმდა ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა მაშინ, როდესაც ჩხრეკის ჩამტარებელ გამომძიებლებს შეეძლოთ, მაგრამ არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად.[299]

2021 წელს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა გ. მ-ს და ს. ჯ.-ს საქმე, რომელშიც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან პირადი ჩხრეკის განხორციელების და გამოძიების დროს აშკარად დარღვეული იყო ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვების სტანდარტი.[300] საგულისხმოა, რომ გ. მ.-ის და ს. ჯ.-ის მიმართ პირადი ჩხრეკის განხორციელების შუამდგომლობებზე სასამართლომ განჩინებები გამოსცა 4 დღით ადრე, ვიდრე მოხდებოდა პირადი ჩხრეკა, ანუ პოლიციის თანამშრომლებს ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვებისთვის (თუნდაც, ჩხრეკის ვიდეოკამერით გადასაღებად) საკმარისი დრო და შესაძლებლობა ჰქონდათ, რაც არ განხორციელდა. მითითებული გარემოებების საფუძველზე, სახალხო დამცველმა 2021 წლის 12 აპრილს სასამართლოს მეგობრის (Amicus curiae) მოსაზრებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

---

[299] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-104.

[300] კერძოდ, საქმის მასალების თანახმად, გამოძიებას არ აუღია ბიოლოგიური (დნმ) ნიმუში გ. მ.-ს პირადი ჩხრეკის დროს ამოღებული ოქროს სამაჯურზე, არ შემოწმებულა ს. ჯ. შემოწმება ნარკოლოგიურ თრობაზე, არ განხორციელებულა რაიმე საგამოძიებო მოქმედება ნარკოტიკული ნივთიერების შეძენის და სხვა გზით დაუფლების ფაქტის შესასწავლად (გადაადგილების მარშრუტი, სატელეფონო ზარები, სატელეფონო ანძები და სხვა). არ გამოკითხულა ს.- ჯ.-ის პირადი ჩხრეკისა და დაკავების ადგილზე მყოფი არც ერთი ნეიტრალური მოწმე.

განაჩენის ხელმისაწვდომობის პრობლემა

გასული წლების მსგავსად,[301] საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა მხარისთვის დასაბუთებული განაჩენის გადაცემის კანონით დადგენილი ვადის არაგონივრული გაჭიანურების შემთხვევები. მსჯავრდებულ ბ. ა.-ს სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 9 ივნისის განაჩენი 2021 წლის 20 სექტემბერს გაეგზავნა, რაც, სიღნაღის სასამართლოს განმარტებით, მოსამართლის დატვირთულობით იყო გამოწვეული.[302] ანალოგიური მიზეზი - მოსამართლის საქმეთა სიმრავლე დაასახელა გორის რაიონულმა სასამართლომ მსჯავრდებულ ნ.ფ.-ის მიმართ გამოტანილი განაჩენის ორ თვეზე მეტი ხნის დაგვიანებით გაგზავნის მიზეზად.[303]

განსაკუთრებით საგანგაშოა განაჩენის მხარისთვის გაგზავნის გაჭიანურება უზენაესი სასამართლოს მიერ. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა გ. ე. უდანაშაულოდ სცნეს, ხოლო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იგი გაამტყუნა და განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით. განაჩენის დასაბუთებული ასლი მხარეს მხოლოდ 8 თვისა და 10 დღის შემდეგ გაეგზავნა. მთელი ამ დროის განმავლობაში მსჯავრდებულისთვის უცნობი იყო ის სამართლებრივი არგუმენტაცია, რომელსაც უზენაესი სასამართლო დაეყრდნო. განსაკუთრებით მაღალია სასამართლო განაჩენის დასაბუთების ვალდებულება მაშინ, როდესაც ზემდგომი ინსტანციის სასამართლო აუქმებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების განაჩენს და პირს დამნაშავედ სცნობს. განაჩენის გაგზავნის დაგვიანების მიზეზად უზენაესმა სასამართლომაც საქმეთა სიმრავლე დაასახელა.[304] ამ შემთხვევებში რთულდება და შეუძლებელი ხდება ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმების გამოყენება.

ასევე კვლავ მწვავედ დგას უცხოენოვანი მსჯავრდებულებისთვის მათთვის გასაგებ ენაზე ნათარგმნი განაჩენის ხელმისაწვდომობის პრობლემა. უცხოენოვანი მსჯავრდებულებისთვის განაჩენის გადაცემა ხშირად ჭიანურდება, რის გამოც მათ არ იციან, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამტყუნდნენ და არ შეუძლიათ გასაჩივრების უფლებით სრულყოფილად სარგებლობა. მაგალითისთვის, N2 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის ჯ. მ.-ს საქმის განხილვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 2021 წლის 29 ივნისს დასრულდა, თუმცა განაჩენის ნათარგმნი ვერსია მას განაჩენის გამოცხადებიდან დაახლოებით ხუთი თვის შემდეგაც კი არ ჰქონდა მიღებული. ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებთან წერილობითი

---

[301] გორის რაიონულ სასამართლოში გამოვლენილი სისტემური პრობლემის თაობაზე იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, 381-383, 405; 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, 445-449, 469-470.

[302] სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 4 ოქტომბრის N2812 წერილი.

[303] გორის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 23 აპრილის N4407/21 წერილი.

[304] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 15 ოქტომბრის წერილი.

კომუნიკაციის[305] შედეგად გაირკვა, რომ განაჩენი ბერძნულ ენაზე სათარგმნად გაგზავნილი იყო სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტში, თუმცა წერილის მიღების დროისთვის იგი თარგმნილი კვლავ არ იყო.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა სცადა განაჩენების თარგმანთან დაკავშირებით სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება ბათუმის, ქუთაისისა და თბილისის საქალაქო სასამართლოებიდან. თუმცა სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ უცხო ენაზე განაჩენების თარგმნისა და მსჯავრდებულებისთვის გაგზავნის შესახებ სტატისტიკური აღრიცხვა და მონაცემების დამუშავება არ ხდება.

განაჩენის გარდა, გვიანდება საჩივრის გადაგზავნა ზემდგომ ინსტანციაში. გორის რაიონულმა სასამართლომ კ. თ. დამნაშავედ ცნო, თუმცა მისი სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გადააგზავნა განაჩენის გამოტანიდან 1 წლისა და 8 თვის შემდეგ. მსჯავრდებულის მიმართ სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა მიმართა დამოუკიდებელ ინსპექტორს. ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, დისციპლინური სამართალწარმოების საფუძველზე მომზადებულ დასკვნას განიხილავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

ნორმის განჭვრეტადობის პრინციპი სსკ 375-ე მუხლთან მიმართებით

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ე. ც.-ს, გ. ნ.-ს, ბ. წ.-ს და შ. წ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმის მასალები, რომელთაც ბრალი ედებათ სსკ 375-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის - დანაშაულის დაფარვისთვის. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, მათ აქტიური მოქმედებით უზრუნველყვეს ძებნილი, ბრალდებული და მსჯავრდებული პირის - მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ტრანსპორტირება, დამალვა და დროებით საცხოვრებლად ბინისა და სახლის გადაცემა.

სსკ 375-ე მუხლი მოთავსებულია დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში. 2000 წლის 1 ივნისამდე ამ მუხლის დისპოზიცია დამნაშავის დაფარვასაც მოიცავდა, თუმცა ხოლო 2000 წლის 01 ივნისიდან ამ ნორმით პასუხისმგებლობა მხოლოდ დანაშაულის და არა დამნაშავის დაფარვისთვის დაწესდა.[306]

---

[305] სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 18 აგვისტოს №15-13/8092 და 2021 წლის 2 ნოემბრის №15-13/10427 წერილები; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 23 აგვისტოს №1/140-20 და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 18 ნოემბრის №1/ბ-760-21წ. პასუხები.

[306] 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის (1960 წლის რედაქცია) 205-ე მუხლით დანაშაულის დაფარვის ფორმულირება: <u>დამნაშავის,</u> აგრეთვე დანაშაულის ჩადენის იარაღებისა და საშუალებების ან დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების წინასწარ შეპირების გარეშე დაფარვა. სახელმწიფო დანაშაულის დაფარვა სხვა მუხლით (90.1.) კვალიფიცირდებოდა.

დამატებით, საქართველოს უზენაეს სასამართლოს აღნიშნულ ნორმასთან დაკავშირებით გააჩნია მყარი პრაქტიკა, რომლის ანალიზით ირკვევა, რომ *დამნაშავის* დაფარვა *დანაშაულის* დაფარვად ჩაითვლება მხოლოდ იქამდე, სანამ ამ ქმედებით ხელი ეშლება დანაშაულის აღკვეთას და გახსნას.[307] ეს ნორმა არ მოიცავს იმ შემთხვევებს, როდესაც დანაშაული გახსნილია, ბრალდებული პირი იდენტიფიცირებულია და მით უფრო, იმ შემთხვევებს, როდესაც პირის მიმართ განაჩენია გამოტანილი. ასეთ დროს *დამნაშავის* დახმარებას უნდა ფარავდეს კოდექსის სხვა ნორმა, რომელიც გაცილებით მსუბუქ სასჯელს ითვალისწინებს.

მოცემულ საქმეში ძებნილი პირი ყველა საქმეში ცნობილი იყო ბრალდებულად ან მსჯავრდებულად, შესაბამისად, სამართალდამცავ ორგანოებს დანაშაულის გახსნაში ხელი არ შეშლიათ. მოცემულ საქმეში სსკ 375-ე მუხლით პირთა ბრალდება დაარღვევს განჭვრეტადობის პრინციპს და წარმოადგენს 375-ე მუხლის იმგვარ ფართო ინტერპრეტაციას, რომელსაც არ გულისხმობს კანონი და სასამართლო განმარტება.

კანონიერების პრინციპის დარღვევა

2021 წელს აპარატმა შეისწავლა ი.გ.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის კანონიერების საკითხი. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, 2021 წლის 25 ივნისს, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში, ი. გ.-ს ჩანთიდან ამოიღეს დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერება „პრეგაბალინი". ბრალდებული აღნიშნავდა, რომ ექიმის დანიშნულებით, 2020 წლის სექტემბრის შემდეგ სხვა მედიკამენტებთან ერთად სისტემატურად იღებდა აღნიშნულ ნივთიერებას, როგორც ტკივილგამაყუჩებელ მედიკამენტს. ბრალდებულმა წარმოადგინა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან სათანადო წესით მიღებული სამედიცინო დოკუმენტაცია, მათ შორის, ექიმის წერილი, რომელიც აღნიშნულ ფაქტს ადასტურებდა. არც პროკურატურამ და არც წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ აღნიშნული მტკიცებულებები არ გაითვალისწინა, რის შემდეგაც სისხლის სამართლის საქმე არსებითად განსახილველად წარიმართა.

2021 წლის 27 სექტემბერს სახალხო დამცველმა კანონიერების პრინციპის შემადგენელი - ნორმის განჭვრეტადობის (lex certa) პრინციპის პრაქტიკული განმარტების მიზნით სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს. დოკუმენტის თანახმად, კანონიერად შეძენილი ნივთიერების საქართველოში

[307] სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა 2003-2021 წლების საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა აღნიშნულ მუხლებთან დაკავშირებით, კერძოდ: 18.09.2003 წ. განჩინება N188-აპ; 26.09.2003 წ. განჩინება N108-აპ; 05.02.2004 წ. განჩინება N17-კოლ.; 21.04.2005 წ. განჩინება N136-აპ; 25.05.2006 წ. განჩინება N207კოლ.; 19.12.2006 წ. განჩინება N114-აპ.; 16.05.2007 წ. განჩინება N1101აპ; 03.01.2008 წ. განჩინება N2112აპ.; 31.01.2008 წ. განჩინება N2103აპ.; 13.10.2015 წ. განჩინება N203აპ-1.; 27.10.2017 წ. განჩინება N304აპ-17.; 10.07.2017 წ. N111აპ-17.; 16.01.2020 წ. განჩინება N640აპ-19; 03.07.2020 წ. განაჩენი N2აპ-20; 29.07.2020 წ. N319აპ-20; 22.07.2008 წ. განჩინება N147აპ; 12.11.2008 წ. განჩინება N107313; 05.12.2008 წ. განჩინება N1054აპ; 20.04.2007 წ. განჩინება N21საზ; 05.03.2008 განჩინება N988აპ; 30.10.2002 წ. განჩინება N84-კოლ; 25.12.2013 წ. განაჩენი N104აპ-13; 02.11.2018 წ. განჩინება N241აპ-18; 15.11.2006 წ. განჩინება N9-აპ ; 05.03.2007 წ. განჩინება N224 საზ; 05.11.2008 წ. განჩინება N70საზ.

შემოტანისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება ეწინააღმდეგებოდა (1) უშუალოდ ნორმის დისპოზიციას, რომელიც მოითხოვს ნივთიერების უკანონოდ შეძენას; (2) ქმედების სუბიექტურ მხარეს, რომელიც, საერთო სასამართლოების პრაქტიკით, პირდაპირი განზრახვის არსებობას მოითხოვს; და (3) სისხლისსამართლებრივ თეორიაში დამკვიდრებულ დოქტრინალურ განმარტებას, რომელიც იდენტურ კაზუსს განიხილავს, როგორც შეცდომას აკრძალვაში და პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას კრძალავს.

არასრულწლოვანი მოწმის კანონიერი წარმომადგენლის დაკითხვა

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ბრალდებულ ე. თ.-ს საქმე, სადაც დაცვის მხარეს არ მიეცა არასრულწლოვნის დედის მოწმის სახით დაკითხვის შესაძლებლობა, რადგან იგი წინა სხდომაზე კანონიერი წარმომადგენლის სტატუსით ესწრებოდა არასრულწლოვნის დაკითხვას. დაცვის მხარეს წინასწარ ჰქონდა მოთხოვნილი, რომ არასრულწლოვნის დაკითხვას საპროცესო წარმომადგენლის სახით მისი დედა არ დასწრებოდა, თუმცა სასამართლომ მიუთითა, რომ კანონიერი წარმომადგენლის შეცვლის მსგავს საფუძველს კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა.

საქმის შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველმა საკანონმდებლო წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, რათა განხორციელებულიყო ცვლილება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში. ცვლილების შედეგად, პროკურორს/მოსამართლეს მიეცემოდა არასრულწლოვანი მოწმის/დაზარალებულის კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის ჩანაცვლების უფლებამოსილება, თუკი: (1) მოქმედი კანონიერი/საპროცესო წარმომადგენელი არის რომელიმე მხარის მიერ მოწმის სახით დასაკითხი პირი; (2) მხარე ასაბუთებს, რომ მისი დაკითხვა მნიშვნელოვანია მისი პოზიციის გამყარებისთვის; (3) კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის ჩანაცვლება არ დააზიანებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

პარლამენტმა არ გაიზიარა სახალხო დამცველის წინადადება, მიიჩნია რა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ამჟამადაც ითვალისწინებს კანონიერი წარმომადგენლის შეცვლის შესაძლებლობას. სახალხო დამცველის აპარატი განიხილავს აღნიშნულ საკითხზე პარლამენტთან სხვა სამუშაო ფორმატის ფარგლებში მუშაობას, რადგან ამჟამად არსებული საკანონმდებლო ჩანაწერი აშკარად არ იძლევა კანონიერი წარმომადგენლის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე ჩანაცვლების შესაძლებლობას, რაც ხსენებულ საქმეზე მოსამართლის განმარტებითაც დადასტურდა.

დისტანციური სასამართლო პროცესების მიმდინარეობა

საანგარიშო პერიოდში კვლავ გამოვლინდა გასული წლის სპეციალურ ანგარიშში[308] დაფიქსირებული ხარვეზები დისტანციური წესით ჩატარებულ სასამართლო სხდომებთან დაკავშირებით, რომელიც განსაკუთრებით პენიტენციური დაწესებულებიდან პატიმრების ჩართვისას ხდის პრობლემურად.

N6 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულმა მსჯავრდებულმა შ. ა.-მ განაცხადა, რომ 2021 წლის 17 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის განხილვის დისტანციურად სხდომაში მონაწილეობდა, რა დროსაც იგი განთავსებული იყო ოთახში არსებულ მცირე ფართობის რკინის გისოსებით მთლიანად შემოსაზღვრულ სივრცეში (რასაც სასამართლოს სხდომის ოქმის ვიდეო/აუდიო ჩანაწერიც ადასტურებს[309]). მსჯავრდებული აცხადებდა, რომ მართლმსაჯულების სრულყოფილად განხორციელება შეუძლებელია მოცემულ პირობებში, კერძოდ, იგი ძალიან დაშორებული იყო მიკროფონიდან და მოსამართლის ხმა არ ესმოდა. მისასალმებელია, რომ ეს სხდომა მოსამართლემ მსჯავრდებულის შუამდგომლობის საფუძველზე გადადო.

ადვოკატთან კომუნიკაციის შეზღუდვა პენიტენციურ დაწესებულებაში

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ ბრალდებულებს ექმნებოდათ ადვოკატებთან კომუნიკაციის პრობლემა. აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენდა პროკურორის დადგენილებისა და ადმინისტრაციული სახდელის შინაარსის არასწორი განმარტება დაწესებულების ადმინისტრაციების მხრიდან.

სახალხო დამცველის აპარატს მიმართეს ბრალდებულებმა, რომლებსაც პროკურორის დადგენილებით შეზღუდული ჰქონდათ სატელეფონო საუბრის უფლება და ამის გამო ვერ უკავშირდებოდნენ ადვოკატებს. პენიტენციური დაწესებულებების ცნობის თანახმად[310], ბრალდებულებს არ აძლევენ ადვოკატებთან დარეკვის უფლებას აღნიშნული აკრძალვის გამო, რადგან ადვოკატი არ არის მითითებული პატიმრობის კოდექსის საგამონაკლისო ჩამონათვალში.[311] სისხლისსამართლებრივი დევნის ფარგლებში პროკურორისთვის ისეთი უფლებამოსილების მიცემა, რომლითაც ბრალდებულს სატელეფონო კავშირი ეზღუდება ადვოკატთან არღვევს შეჯიბრებითი პროცესის პრინციპს. მხარეთა თანასწორობის პრინციპი მოითხოვს, რომ დაცვის მხარეს სრულყოფილად შეეძლოს დაცვის უფლების

---

[308] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისტანციური წესით ჩატარებული სისხლის სამართლის სხდომების მონიტორინგის შესახებ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3tANb4y > [18.01.2022].

[309] თბილისის საქალაქო სასამართლოს 04.10.2021 წ. N3/4694-20 წერილი და დანართი სხდომის ოქმის ვიდეო აუდიო ჩანაწერი.

[310] 2021 წლის 9 დეკემბრის N12 პენიტენციური დაწესებულების N297077/27 წერილი, 2021 წლის 9 დეკემბრის N8 პენიტენციური დაწესებულების N296746/24 წერილი, 2021 წლის 9 დეკემბრის N5 პენიტენციური დაწესებულების N296736/22 წერილი, 2021 წლის 6 დეკემბრის N2 პენიტენციური დაწესებულების N293017/20 წერილი, 2021 წლის 6 დეკემბრის N6 პენიტენციური დაწესებულების N293525/23 წერილი.

[311] პატიმრობის კოდექსი, მუხ.79, ნაწ. 2^1.

განხორციელება, რომლის მთავარი ელემენტი ბრალდებულისა და ადვოკატის შეუფერხებელი და კონფიდენციალური კომუნიკაციაა. შესაბამისად, პროკურორის მიერ ბრალდებულისთვის დაწესებული შეზღუდვა გარესამყაროსთან სატელეფონო კომუნიკაციაზე არ უნდა მოიცავდეს მისთვის ადვოკატთან სატელეფონო საუბრის შეზღუდვას.

ადვოკატთან კომუნიკაციის უფლება შეეზღუდა N5 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულ ხ. ბ.-ს, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულებს ვ. ზ.-ს და შ. გ.-ს, ასევე ი. ჩ.-ს, რომელსაც დისციპლინური სახდელის სახით დაეკისრა სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა 2 თვის ვადით. პენიტენციური დაწესებულების პოზიციით, სახდელი და სატელეფონო საუბრის შეზღუდვა ასევე ვრცელდებოდა პატიმრის ადვოკატთან სატელეფონო კომუნიკაციაზე.[312] მსგავსი განმარტება ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, რომელიც კრძალავს ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობაზე ისეთი შეზღუდვების დაწესებას, რომლებიც ხელს შეუშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას.[313] შესაბამისად, დისციპლინური სახდელის გავრცელება ადვოკატთან კომუნიკაციაზე 3 თვის განმავლობაში (სახდელის მოქმედების პერიოდი), არაგონივრულ და არაპროპორციულ შეზღუდვას წარმოადგენს.

საპროცესო შეთანხმების გაფორმების სხდომაზე მიცემული განმარტების გამოყენება

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საქმე, რომელშიც გამოვლინდა არაფორმალური დაკითხვის ოქმის გამოყენება გამამტყუნებელ განაჩენში.

პირველი ინსტანციის სასამართლოში 4 ბრალდებული არ აღიარებდა დანაშაულს. სააპელაციო ინსტანციაში 2 ბრალდებულის პოზიცია შეიცვალა - მათ გააფორმეს საპროცესო შეთანხმება, აღიარეს ბრალდება, ითანამშრომლეს გამოძიებასთან და სასჯელი მნიშვნელოვნად შეუმცირდათ.[314] საპროცესო შეთანხმების გაფორმების სხდომაზე მათ პროკურორის კითხვებზე პასუხად ისაუბრეს ამავე საქმეზე ორი სხვა მსჯავრდებულის - ი. ფ.-სა და დ. ი.-ს დამნაშავეობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ მსგავსი კითხვების დასმა კანონით გათვალისწინებულ პროცედურას სრულიად ცდება, რაზეც მოსამართლემაც განაცხადა და პროკურორს მიუთითა, რომ „დაკითხვა" არ უნდა ეწარმოებინა. მიუხედავად ამ განმარტებისა, ამავე მოსამართლემ, მაინც მისცა ბრალდების მხარეს კითხვების ბოლომდე დასმის და პასუხების მიღების საშუალება. შედეგად, პროკურორმა ისინი ფაქტობრივად დაკითხა პირდაპირი წესით, მიუხედავად იმისა, რომ არც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის გაფრთხილებულან და არც ფიცი დაუდიათ. ამასთან, ი. ფ.-სა და დ. ი.-ს არ მისცემიათ ამ ინფორმაციის გამოკვლევის

[312] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 დაწესებულების 12.10.2021 წ. N241828/24 წერილი.
[313] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილი.
[314] ერთი მსჯავრდებული განაჩენის გამოტანის დღეს გათავისუფლდა, მეორე - 2 თვის შემდეგ გათავისუფლებოდა.

შესაძლებლობა ან ჯვარედინი დაკითხვის უფლება. ამ მსჯავრდებულების განმარტებები გამოყენებულ იქნა ი. ფ.-სა და დ. ი-ს მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენში, როგორც მტკიცებულება. კერძოდ, სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენში ერთ-ერთ მტკიცებულებად მითითებული იყო სწორედ ამ თანამსჯავრდებულის მიმართ დამტკიცებული საპროცესო შეთანხმების განაჩენი.

ამ საქმეზე სახალხო დამცველმა საქართველოს უზენაეს სასამართლოს წარუდგინა სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება.[315] დოკუმენტში განხილულია კანონმდებლობისა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შედეგად გამოტანილი განაჩენის გამოყენება სხვა პირების - წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეში უკიდურესად დიდ სიფრთხილეს საჭიროებს. ევროპული სასამართლოს თანახმად, ასეთ შემთხვევაში ბრალდებულს უნდა ჰქონდეს საპროცესო შეთანხმების გამფორმებელი პირის ჯვარედინი დაკითხვის უფლება. შესაბამისად, ი. ფ.-სა და დ. ი.-ს მიმართ სამართალწარმოების პროცესში ხსენებული სტანდარტები დაცული არ ყოფილა და მათ არ მისცემიათ პროკურორის მსგავსად ორი თანაბრალდებულის ფაქტობრივი დაკითხვის უფლება. სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე ი. ფ.-სა და დ. ი.-ს არ ჰქონიათ ხსენებული 2 პირის ჯვარედინი დაკითხვისა და მათი გაჟღერებული ინფორმაციის გამოკვლევის შესაძლებლობა.

უზენაესმა სასამართლომ განჩინებაში მიუთითა, რომ იზიარებს სახალხო დამცველის პოზიციას, თუმცა მაინც არ დაუშვა ი. ფ.-სა და დ. ი.-ს საჩივრები განსახილველად.[316] სასამართლომ მიუთითა, რომ მოწმეთა სადავო გამოკითხვის ოქმები არ წარმოადგენს ი. ფ.-სა და დ. ი.-ს მსჯავრდების ერთადერთ ან ძირითად მამხილებელ მტკიცებულებას. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ფაქტობრივ დაკითხვას უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია მიმდინარე სამართალწარმოების სამართლიანობაზე. უზენაესმა სასამართლომ ყურადღების გარეშე დატოვა ის გარემოება, რომ ი. ფ.-ს და დ. ი.-ს მიმართ გამოტანილ სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ერთ-ერთ მტკიცებულებად მითითებული იყო სწორედ ამ თანამსჯავრდებულის მიმართ დამტკიცებული საპროცესო შეთანხმება. შესაბამისად, ი.ფ.-სა და დ.ი.-ს მიმართ დაირღვა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, რადგან მათ არ მიეცათ მტკიცებულების გამოკვლევისა და სანდოობის შემოწმების შესაძლებლობა.

სასჯელის პროპორციულობა შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ჟურნალისტ ვახტანგ სანაიას საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 25 აგვისტოს განაჩენი ს.ს.-ს, ვ.გ.-ს და გ.ს.-ს მიმართ. სასამართლომ მსჯავრდებულების მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების

[315]სახალხო დამცველის 12.04.2021 წ. N15-5/3371 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.
[316] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 23 სექტემბრის განჩინება N229ა3-21.

აღკვეთა დაადგინა, რადგან ნაკლებად მკაცრი სასჯელი სასჯელის მიზნებს ვერ უზრუნველყოფდა, თუმცა დანიშნა ყველაზე მსუბუქი საპატიმრო სასჯელი, 6 თვით თავისუფლების აღკვეთის სახით. სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის ფაქტი, რომ დანაშაული ჩადენილი იყო დაზარალებულის მცირეწლოვანი შვილისა და მეუღლის თანდასწრებით, ასევე, მხედველობაში არ მიიღო ბრალდებულების დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ.[317]

აღნიშნულ საქმეზე მოსამართლემ არასწორად განმარტა სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლის შინაარსი და სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ მიიღო ვალდებულება, კონკრეტული მუხლის სანქციით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადაზე სულ მცირე 1 წლით უფრო მაღალი სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებით. შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის მსუბუქად დასჯა არღვევს სისხლისსამართლებრივი ნორმის დაცვის ობიექტის ინტერესებს და ცალსახად არაპროპორციულია, იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებულები აღნიშნული ნიშნის არსებობას ბოლომდე არ აღიარებდნენ, ხოლო წინამდებარე საქმეს შესაძლოა გავლენა ჰქონდეს გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.[318]

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

პირადი ცხოვრების უფლების მხრივ 2021 წლის მთავარი გამოწვევა სექტემბერში სავარაუდოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ უკანონოდ მოპოვებული მასალების გავრცელებაა, რომელზე დაწყებული გამოძიებაც, გასულ წლებში ამ კატეგორიის საქმეებზე დაწყებული გამოძიებების მსგავსად, ამ დრომდე უშედეგოდ მიმდინარეობს. გასული წლების ტენდენცია ასევე გაგრძელდა პენიტენციურ სისტემაში, ბრალდებულთა პირადი ცხოვრების უფლების უსაფუძვლო შეზღუდვის სახით.

სავარაუდოდ სუს-ის მიერ უკანონოდ მოპოვებული ფარული მასალების გავრცელება

2021 წლის სექტემბერში მედიით გავრცელდა მონაცემთა ბაზა, რომელიც სავარაუდოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ე. წ. კრებსებს წარმოადგენს. გავრცელებული კომპიუტერული ფაილები შეიცავს პირადი ცხოვრების ამსახველ დიდ მონაცემებს, რომელიც სავარაუდოდ უკანონო მოსმენებისა და თვალთვალის შედეგად მოიპოვებოდა. გარდა ამისა, მასალები სავარაუდოდ შეიცავს არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტებს, დანაშაულის სავარაუდო შეუტყობინებლობასა და

[317] ბრალდებულები მართალია ადასტურებდნენ ვახტანგ სანაიასთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს, თუმცა უარყოფდნენ იმ გარემოებას, რომ აღნიშნული მისი პროფესიული მოღვაწეობის, ჟურნალისტური საქმიანობის გამო მოხდა და ამტკიცებდნენ რომ კონფლიქტი ყოფით ნიადაგზე დაიწყო.
[318] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 27 ოქტომბრის №15-13/10217 სასამართლოს მეგობრის (Amicus curiae) მოსაზრება.

სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელთა მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებს. მასალები შეიცავს ინფორმაციას სასულიერო პირების, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების, პოლიტიკოსებისა და სხვა პირთა კომუნიკაციის შესახებ. საგულისხმოა, რომ კომუნიკაციის მონაწილე არაერთმა მოქალაქემ საჯაროდ დაადასტურა ე. წ. კრებსებში ასახული ინფორმაციის სინამდვილე.

2021 წლის 18 სექტემბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, გამოძიება დაიწყო სსკ 158-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.[319] მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მსგავსი კატეგორიის საქმეებზე წინა წლებში ჩატარებული გამოძიებების არაეფექტიანობის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს და მოითხოვა დაწყებული გამოძიების მასალების საგამონაკლისო წესით გაცნობა.[320] პროკურატურამ აღნიშნულ მოთხოვნაზე უარი განაცხადა.

სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია მიმდინარე გამოძიების შეახებ.[321] გენერალურმა პროკურატურამ, მსგავსი კატეგორიის სხვა საქმეების მსგავსად, ამ გამოძიების შესახებაც მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია წარმოადგინა. გამოძიების ფარგლებში კონკრეტული პირი ბრალდებულად ან დაზარალებულად კვლავ არ არის ცნობილი.[322]

დამატებით, 2021 წლის 11 ოქტომბერს სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა პირადი ცხოვრების უფლების საკითხებში გაეროს სპეციალურ მომხსენებელს ჯოზეფ კანატაჩის. სახალხო დამცველმა სპეციალურ მომხსენებელს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოში სავარაუდოდ უკანონო, ფართომასშტაბიანი მოსმენებისა და პირადი ცხოვრების უფლებაში მასობრივად და უხეშად ჩარევის ფაქტებზე და თხოვა, მანდატის ფარგლებში შეისწავლოს და შეაფასოს საქართველოში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კუთხით არსებული მდგომარეობა, ასევე ამავე მიზნით ეწვიოს საქართველოს.

ამავე დღეს, სახალხო დამცველმა ასევე მიმართა საქართველოს პარლამენტს და მოუწოდა - უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მოწვევა, სავარაუდოდ უკანონო და სისტემური მოსმენებისა და პირადი ცხოვრების უფლებაში მასობრივად და უხეშად ჩარევის ფაქტების საკითხზე.[323]

---

[319] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3IfEpNx >, [ბოლოს ნანახია 01.12.2021].
[320] 2021 წლის 27 სექტემბრის და 4 ნოემბრის საქართველოს სახალხო დამცველის N15-2/9225 და N15-2/10536 წერილები.
[321] 2021 წლის 2 დეკემბრის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის N15-2/11390 წერილი.
[322] 2021 წლის 28 დეკემბრის საქართველოს გენერალური პროკურატურის N13/78738 წერილი.
[323] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3GBE72i >, [ბოლოს ნანახია 07.02.2021].

ანა დოლიძის მიყურადების საქმე

2021 წლის 21 მარტს ტელეკომპანია „მთავარი არხის" ეთერში გავიდა სუს-ის ყოფილი თანამშრომლის ი.გ-ს ინტერვიუ[324], სადაც იგი აცხადებდა, რომ ანა დოლიძისა და სხვა პოლიტიკურად აქტიური პირების საცხოვრებელ ბინებში ხორციელდებოდა ვიდეო კამერების მონტაჟი, ფარული მიყურადება და პირადი ინფორმაციის ამსახველი კადრების მოპოვება. ინტერვიუში მითითებული ფაქტები დაადასტურა ანა დოლიძემ.

საქმეზე სახალხო დამცველის აპარატმა, 2021 წლის მარტიდან წლის ბოლომდე, ოთხჯერ მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას[325]. უწყების საპასუხო წერილებით[326] დგინდება, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში გამოძიება მიმდინარეობს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების შესაძლო დარღვევისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებზე.[327] გენერალური პროკურატურის წერილები ხასიათდება შაბლონური და ზოგადი ტექსტით, საიდანაც დგინდება, რომ მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, 9 თვის განმავლობაში,[328] გამოიკითხნენ მოწმეები, გამოთხოვილ იქნა საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, თუმცა, არც დაზარალებულადაა ვინმე ცნობილი და არც ბრალდებულად.

ვ.კ.-ს საქმე

2021 წლის 2 ივნისს სახალხო დამცველის აპარატისთვის გახდა ცნობილი[329], რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუქრუთში მიმდინარე საპროტესტო აქციის ერთ-ერთ მონაწილეს ვ.კ.-ს ემუქრებოდა უცნობი პირი. კერძოდ, 2021 წლის 24 მაისს, ვ.კ.-ს ტელეფონით დაუკავშირდა უცნობი მამაკაცი, რომელმაც უთხრა, რომ იმ შემთხვევაში თუ საპროტესტო აქცია არ შეწყდება, გამოაქვეყნებს მისი რძლის პირადი ცხოვრების ამსახველ ვიდეო-ჩანაწერებს. მოქალაქის განმარტებით, იმავე დღეს მიაწოდა ჭიათურის რაიონულ სამმართველოს საუბრის ამსახველი აუდიო-ჩანაწერი.

სახალხო დამცველის აპარატმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო მითითებული საკითხის შესწავლა. ფაქტზე მიმდინარე გამოძიების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა არაერთხელ მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.[330]

---

[324] იხ. https://mtavari.tv/news/36763-sus-saidumlo-pailebi-interviu-pirtan-romelits (ბოლოს ნანახია 25.03.2021 წელს)

[325] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 26 მარტის N15-10/2933, 2021 წლის14 მაისის N15-10/4608, 2021 წლის 13 სექტემბრის N15-10/8807, 2021 წლის 12 დეკემბრის N15-10/11438 წერილები.

[326] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 30 მარტის N3408/21, 2021 წლის 25 მაისის N5509/21, 2021 წლის 24 სექტემბრის N10255/21, 2021 წლის 16 დეკემბრის N 13552/21 წერილები.

[327] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტითა და 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ნიშნებით.

[328] 2021 წლის მარტი-დეკემბრის პერიოდი.

[329] < https://oc-media.org/shukruti-protester-blackmailed-with-sex-tape/ >

[330] სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 7 ივნისის №15-13/5352, 2021 წლის 5 აგვისტოს №15-13/7684 და 2021 წლის 31 დეკემბრის №15-13/12762 წერილები.

მიღებული პასუხებით სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა დაწყებული გამოძიებისა და საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების შესახებ ინფორმაცია. 2022 წლის 18 იანვრის მდგომარეობით, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ იყო და კვლავ მიმდინარეობდა გამოძიება.

პატიმართა გარე სამყაროსთან კომუნიკაციის უფლების დარღვევა

2021 წელს პენიტენციურ სისტემაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა პირადი ცხოვრების უფლების არაერთი დარღვევა გამოვლინდა, რომელიც, ძირითადად, მათი სატელეფონო საუბრის უფლების სხვადასხვა ფორმით შეზღუდვას უკავშირდებოდა.

N3 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულმა მსჯავრდებულმა ნ.ლ.-მ განაცხადა, რომ ვერ ახერხებდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ცხელ ხაზზე, ასევე 29 სხვადასხვა აბონენტთან დაკავშირებას.[331] სახალხო დამცველის რწმუნებულმა რამდენჯერმე დააფიქსირა, რომ დაწესებულებიდან აღნიშნულ უწყებებთან და ადრესატებთან დაკავშირება შეუძლებელი იყო. დამატებით, შეუძლებელი იყო დაკავშირება სახალხო დამცველის რწმუნებულის პირად და სამსახურებრივ ნომრებზე.[332] აღნიშნული საკითხის შესწავლის მოთხოვნით, სახალხო დამცველმა საქართველოს იუსტიციის მინისტრს წინადადებით მიმართა.[333] იუსტიციის სამინისტროს განმარტებით, სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, მსჯავრდებულის გარესამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვის ფაქტი არ დადგინდა.[334]

ასევე N3 პენიტენციურ დაწესებულებაში გამოვლინდა მსჯავრდებულთა სატელეფონო საუბრის კონფიდენციალობის დარღვევის ფაქტი. მსჯავრდებულებმა რ. ი.-მ და რ. კ.-მა განაცხადეს, რომ ტელეფონზე საუბრისას დაწესებულების თანამშრომელი იმყოფებოდა სატელეფონო საუბრისთვის გამოყოფილ სივრცეში, უსმენდა მათ საუბარს და მათი მოთხოვნის მიუხედავად არ ტოვებდა სატელეფონო საუბრის ოთახს. N3 დაწესებულების განმარტებით, თანამშრომლის აღნიშნულ სივრცეში ყოფნა განპირობებული იყო მსჯავრდებულის ვიზუალური კონტროლის მიზნით.[335] თუმცა, საგულისხმოა, რომ სატელეფონო საუბრისთვის გამოყოფილ საკნებსა და სატელეფონო ჯიხურებში მიმდინარეობს მუდმივი ელექტრონული მეთვალყურეობა,[336] რაც დამატებითი

---

[331] საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის 2021 წლის 29 იანვრის სატელეფონო ოქმი N3203-ო, 2021 წლის 17 მარტის საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრის ოქმი.

[332] საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის 2021 წლის 12 თებერვლისა და 2021 წლის 17 მარტის ოქმები.

[333] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 23 აპრილის N15-15/3885 წინადადება.

[334] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) 2021 წლის 28 ოქტომბრის N14211 საპასუხო წერილი.

[335] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულების 2021 წლის 17 ნოემბრის N274758/21 წერილი.

[336] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულების 2021 წლის 26 ნოემბრის N284057/21 წერილი.

ვიზუალური კონტროლის საჭიროებას გამორიცხავს და პატიმართა სატელეფონო საუბრის კონფიდენციალობის უფლებაში არათანაზომიერ ჩარევას წარმოადგენს.

მსჯავრდებულების საუბრის კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულება ჯერ კიდევ 2019 წელს გეგმავდა სატელეფონო საუბრისთვის განკუთვნილი სივრცეების დამატებითი ხმის საიზოლაციო საშუალებებით აღჭურვას, რის შემდეგაც მსჯავრდებულის საუბარი აღარ იქნებოდა სხვა პირისთვის გასაგები.[337] თუმცა, დაწესებულებაში აღნიშნული სამუშაოები კვლავ არ არის ჩატარებული.[338]

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა, რომ პატიმრები ვერ ახერხებენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფ პირებთან სატელეფონო ზარის მეშვეობით დაკავშირებას. N8 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული გ. ლ. მიუთითებდა, რომ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფ ოჯახის წევრებს ბოლო თვეების განმავლობაში ვერ ურეკავდა. პენიტენციური სამსახურის ინფორმაციით, ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით სატელეფონო ზარები ხორციელდება სხვა ოპერატორების გავლით და ხარვეზები მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო პერიოდულად ფიქსირდება.[339]

მსჯავრდებულთა წერილობითი მიმოწერის უფლების დარღვევა

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატმა მსჯავრდებულთა მრავალი განცხადება განიხილა, სადაც ისინი კორესპონდენციის გაგზავნის უფლებისა და მიმოწერის კონფიდენციალობის დარღვევებზე მიუთითებდნენ. რამდენიმე შემთხვევაში, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ აპარატის მიმართვის საფუძველზე დარღვევა დადასტურდა.

მაგალითისთვის, პირადი მიმოწერის უფლების დარღვევა დადგინდა ნ.ტ.-ს საქმეზე, რომელმაც N6 დაწესებულების სოციალურ მუშაკს გადასცა ორი განცხადება, რომლებიც არ დარეგისტრირდა და არ გაიგზავნა. ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, დისციპლინური სახდელი დაეკისრა შესაბამის თანამშრომელს.[340] ანალოგიური შედეგით დასრულდა N8 დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის, ნ. ბ.-ს მიმოწერის უფლების უკანონო შეზღუდვის ფაქტი.[341] ასევე დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც დაწესებულების თანამშრომელმა ადვოკატს სრულად არ გადასცა ბრალდებულის მიერ მიწოდებული დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც აღნიშნული თანამშრომელი მოგვიანებით დაისაჯა.[342]

---

[337] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულების 2019 წლის 27 იანვრის N354931/21 წერილი.
[338] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულების 2021 წლის 7 სექტემბრის N210871/21 წერილი და 2022 წლის 26 იანვრის №22780/21 წერილი.
[339] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის 19.08.2021 წ. N195924/01 წერილი.
[340] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2021 წლის 24 იანვრის N19656/01 წერილი.
[341] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2021 წლის 8 იანვრის 3465/01 წერილი.
[342] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2021 წლის 7 მაისის N105862/01 წერილი.

საკუთრების უფლება

მინისტრის მიერ სავარაუდო დანაშაულის ჩადენის ფაქტი

2021 წლის 22 ივლისს საჯაროდ გავრცელდა კადრები, რომელიც ასახავდა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის თეა წულუკიანის მიერ ტელეკომპანია „მთავარი არხის" ჟურნალისტისათვის მიკროფონის წართმევას მაშინ, როდესაც ჟურნალისტი ახორციელებდა ჟურნალისტურ საქმიანობას და შეკითხვას უსვამდა მინისტრს. მინისტრმა ნივთი ტელეკომპანიას მომხდარიდან მხოლოდ 3 თვის შემდეგ დაუბრუნა.[343]

2021 წლის 15 ნოემბერს სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალურ პროკურატურას გამოძიების დაწყების შესახებ წინადადებით მიმართა.[344] სახალხო დამცველმა მიუთითა, რომ მინისტრის ქმედებაში რამდენიმე შესაძლო დანაშაულის ჩადენის ნიშნები იკვეთებოდა:

- სსკ 154-ე მუხლი (ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა): შემთხვევის დროს ჟურნალისტი ასრულებდა პროფესიულ საქმიანობას, ხოლო მიკროფონის წართმევით მინისტრმა ხელი შეეშალა მას აღნიშნულ საქმიანობაში;
- სსკ 360-ე (თვითნებობა) ან 178-ე მუხლი (ძარცვა): სახალხო დამცველმა წინადადებაში მიმოიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომელსაც ფაქტობრივად იდენტური ფაქტობრივი გარემოებების შემცველი საქმეები დაკვალიფიცირებული აქვს თვითნებობის ან ძარცვის მუხლებით.

სახალხო დამცველი მიუთითებდა სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ პოზიტიურ ვალდებულებაზე, დაეწყო და ეწარმოებინა ეფექტიანი გამოძიება გამოხატვის თავისუფლებასა და საკუთრების ძირითად უფლების შელახვის ფაქტზე. გენერალურმა პროკურატურამ წერილით სახალხო დამცველს აცნობა, რომ მინისტრის ქმედებაში ვერ იქნა აღმოჩენილი დანაშაულის ნიშნები, რის გამოც გამოძიება არ დაწყებულა.[345] პროკურატურის წერილში აღნიშნულია, რომ ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის დანაშაულებრივი ნიშნები ვერ დადგინდა, რადგან ჟურნალისტმა მიკროფონის წართმევის მომენტში და შემდეგ შეუფერხებლად შეძლო საკუთარი საქმიანობის გაგრძელება (კითხვების დასმა), ხოლო ძარცვის დანაშაული გამოირიცხა, რადგან მინისტრმა მოგვიანებით არაერთხელ გამოხატა ნივთის დაბრუნებისადმი მზაობა. სამწუხაროდ, აღნიშნული პოზიციის გაზიარება შეუძლებელია, რადგან (1) ფაქტის მიუხედავად

[343] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2XUJTvB > [05.01.2022].
[344] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 15 ნოემბრის N 15-4/10817 წინადადება.
[345] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 9 დეკემბრის №13/74495 წერილი.

ჟურნალისტის მიერ საქმიანობის გაგრძელება არ ნიშნავს, რომ მის საქმიანობას მიკროფონის წართმევით ხელი არ შეეშალა (რაზეც მიუთითებს კიდეც უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა), და (2) ნივთის უკანონოდ დაუფლებიდან რამდენიმე კვირის შემდგომ მისი დაბრუნებისადმი მზაობა დანაშაულებრივ ფაქტს არ აქარწყლებს.

დაკავებული პირისთვის ტელეფონის უკანონო ჩამორთმევა

2020 წლის 9 ნოემბერს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ტერიტორიაზე მოქალაქე ბ. შ. ადმინისტრაციული წესით დააკავეს და მისი პირადი გასინჯვის შედეგად „ამოიღეს" მობილური ტელეფონი. მომდევნო დღეს, დაწყებული გამოძიების ფარგლებში, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, სისხლის სამართლის საპროცესო წესით გაფორმდა იმავე მობილური ტელეფონის ამოღება.[346]

ამოღება საგამოძიებო მოქმედებაა, რომელიც დანაშაულის ფაქტზე დაწყებული გამოძიების პროცესში ტარდება სასამართლოს განჩინებით ან გადაუდებელი აუცილებლობისას.[347] ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფარგლებში ამოღებას კანონი საერთოდ არ ითვალისწინებს. პირადი გასინჯვის დროს შეიძლება მხოლოდ იმ ნივთების ჩამორთმევა, რომელიც სამართალდარღვევის იარაღია.[348] არაკანონსაწინააღმდეგო საგნები, მათ შორის, მობილური ტელეფონი, ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირს დროებითი მოთავსების იზოლატორში შემოწმებისას ჩამოერთმევა.[349]

ამრიგად, ადმინისტრაციული წესით დამკავებელმა პოლიციელებმა დაარღვიეს კანონი, როდესაც ადმინისტრაციული საქმისწარმოების ფარგლებში პირს მობილური ტელეფონი თვითნებურად ჩამოართვეს. სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, პოლიციელების მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების მიზნით.[350] აღნიშნულ წინადადებაზე სახალხო დამცველს პასუხი ამ დრომდე არ მიუღია.

გამოძიების ფარგლებში საკუთრების უფლების არაგონივრული შეზღუდვა ა.მ.-ს საქმე

2018 წლის 13 აგვისტოს მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ფაქტზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, მოქალაქე ა. მ.-ს კუთვნილ ავტომობილთან დაკავშირებით, სხვადასხვა ტიპის ექსპერტიზა ჩატარდა. ექსპერტიზის ბოლო დასკვნა ავტოსატრანსპორტო

---

[346] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 12 აპრილის NMIA52100902547 წერილი.
[347] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლი.
[348] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 249-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[349] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 02.08.2016 წ. N423 ბრძანების N2 დანართის მე-5 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების შინაგანაწესის დანართი N1.
[350] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 27 ივლისის N15-5/7355 წინადადება.

საშუალებასთან დაკავშირებით 2020 წლის 14 ივლისს გაიცა.[351] ამ პერიოდის - 3 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში - ავტომობილი საჯარიმო ავტოსადგომზე იყო გადაყვანილი, რაც მოქალაქისთვის იწვევდა არაგონივრულ ხარჯებსა და საკუთრების განკარგვის უფლების არაპროპორციულ შეზღუდვას.

საგულისხმოა, რომ ა.მ.-ს არ გააჩნდა ბრალდებულის სტატუსი[352] და იგი შეზღუდული იყო უფლებაში, სამოქალაქო წესით ედავა საკუთრების შეზღუდვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისთვის.[353]

სახალხო დამცველის აპარატის კომუნიკაციის შემდგომ, ნოემბრის თვეში, ავტომობილი დაუბრუნდა მესაკუთრეს, რომელსაც მოუწია ავტოსადგომზე დგომისა და გადმოყვანის დარიცხული საფასურის გადახდა, რამაც საერთო ჯამში 1 262 ლარი შეადგინა.[354]

ა.ბ-სა და შ.ბ.-ს საქმე

სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს ა.ბ.-სა და შ.ბ.-ს საქმეს. 2020 წლის მარტში, გამოძიების ფარგლებში, მათი კომპანიიდან ამოღებულ იქნა კომპიუტერული ტექნიკა და მობილური ტელეფონები. ამოღებიდან თითქმის ორი წლის გასვლის შემდეგაც კი, საექსპერტო კვლევა დღეის მდგომარეობით არ არის დასრულებული და კომპიუტერული ტექნიკა კვლავ გამოძიების ხელთ არის, რის გამოც კომპანიის საქმიანობა შეჩერებულია.

საქმე შეეხება 2020 წლის 16 მარტს პირის მიერ 6 ტექსტური სმს შეტყობინების გაგზავნას სამსახურებრივი კომპიუტერისა და სერვერის გამოყენებით, რომელიც ცრუ ინფორმაციას შეიცავდა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ. 2020 წლის 26 მარტს დაინიშნა ორი საინფორმაციო–ტექნოლოგიური ექსპერტიზა, ზემოხსენებული კომპანიისა და თანამშრომლებისგან ამოღებულ 89 ერთეულ კომპიუტერულ ტექნიკაზე, რომელზეც ექსპერტიზა კვლავ არ არის დასრულებული. ამასთან, კვლავ შეუძლებელია ექსპერტიზის დასრულების მიახლოებითი თარიღის განსაზღვრა.

გამოსაკვლევი ობიექტების რაოდენობისა და მოცულობის მიუხედავად, შეუძლებელია, რომ საკუთრების უფლების ამგვარი ხანგრძლივი შეზღუდვა გამართლებულად ჩაითვალოს. გასათვალისწინებელია, რომ საწარმოს ჩამორთმეული აქვს საკუთრებაში არსებული თითქმის მთლიანი კომპიუტერული ტექნიკა, რაც, ბუნებრივია, შეუძლებელს ხდის კომპანიის ნორმალურ ფუნქციონირებას.

---

[351] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 08 იანვრის N133/21 და 2021 წლის 17 მაისის NN5110/21 წერილები და შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის 2021 წლის 07 მაისის N4858/21 წერილი.

[352] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 01 აპრილის N3522/21 წერილი.

[353] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს სამოქალაქო წესით ზიანის ანაზღაურებას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით.

[354] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 02 დეკემბრის N12909/21 წერილი.